

დრო მშვიდობისა №3, 2001

PT/3/2001/EB



ჩვენი მულტკულტურების ზამთარი • The Winter of Our Discontent



Hands off Free Media!

There is No Alternative to Reconciliation and Nonviolent Settlement of the Abkhazia Problem

სამოქალაქო დიალოგის“ საინიციატივო ჯგუფის მიმართვა საქართველოს მოსახლეობასა და საქართველოს ხელისუფლებას

დიონიჯი სანდოლი და პარადიგმატული გარდატეხა ჩვენში

ლენის სანდოლე / პარადიგმები, თეორიები და მეტაფორები კონფლიქტის მოგვარებაში: შეთანხმება თუ დაბნეულობა?

შოთა ნადირაშვილი / საქართველოს თავისუფალ ქვეყნად ჩამოყალიბების პრობლემები ნინო წიკლაური / სქესთა კონფლიქტი და ოჯახი

გაგა ნიჟარაძე / ძველი ბიჭები

Ho-Won Jeong - Redefining Third Party Roles in Peace Building

ჰო უან ჟონგი / მშვიდობის მშენებლობის პროცესში მესამე მხარის როლის ახლებური განსაზღვრა

Ho-Won Jeong / Feminist Understandings of Violence

Dena L .Hawes / Artists of Color: De-Constructing Racism, Multiculturalism and Identity Politics

დინა ჰოუზი / ფერადკანიანი ხელოვანი: რასიზმის, მულტიკულტურუზმის და იდენტურობის პოლიტიკის დეკონსტრუქცია

Johan Galtung / September 11 2001: Diagnosis, prognosis, Therapy

დალაი ლამა / სულიერების განზომილებანი

George Margvelashvili / Next comes Democracy: of this the origin and nature have still to be considered by us

ლიკა კვიციანიშვილი / ძალადობა თბილისის ქუჩებში

ჩემი მშვენიერი ლედი - რიან აისლერი

რიან აისლერი / თასი და მახვილი

დალი ბერეკაშვილი / ერთი ცნების გარკვევისათვის

[შალვა კეცია / მე მიყვარს ელაიზა დულიტი ან ორი სიტყვა კლასობრივი შოვინიზმის შესახებ](#)

[გიო მგელაძე / ბლუზი ომის მერე](#)

[მაგდა ჩინიჯიშვილი / წარწერა კედელზე](#)

[უშანგი ხასხასაშვილი / მუდმივი კატეგორიები დამთავრდა: ხელოვნების ახლებური განსაზღვრა](#)

[Ushangi Has-hasashvili / Forever is all over: the perpetual re-definition of art](#)

[Tamuna / Flowers](#)

[დათო მარაძე / სამსხვერპლო ცხენი](#)

[Revaz Tabukashvili Jr. / The girl, Who looks like you](#)

[ირაკლი კაკაბაძე / სიყვარულის დოქტრინა](#)

Hands off Free Media!

Statement of International Center on Conflict and Negotiation on the recent events in Georgia

(published in the Georgian press and spread via Internet)

October 30, 2001 the state security raids on the office of the independent Georgian TV company Rustavi 2 and the following waves of public protest have attracted wide attention.

Politicians and representatives of different social groups have demonstrated a kind of unanimity that has not been observed for a long while; the happening has been appraised as an unintelligent attempt of the government, which totally lost credit of the public confidence, to underpin its power while in fact attacking free mass media, abusing existing remnants of democracy and overall apparently violating legal norms.

No intelligent citizen, being an adherent of the future of Georgia, can ignore such an assessment. The acts of protest might be emotionally over-charged which is understandable. But it would be erroneous to claim and blame the demonstrators in sponsoring destabilization, where the power agencies themselves push the society towards destabilization.

It is still not clear what exactly happened on 30 October, who backed those events and whose interests did they serve. Though whatever the end results, undoubtedly the happening was a logical consequence of President Shevardnadze's internal politics.

President Shevardnadze, whatever are praises for his political talents, still is the descendant of the old Nomenklatura system and his understanding of state building hardly desists from old Soviet stereotypes. His political course brought about the short-lived stabilization during 1995-1998, but afterwards the situation turned worse year by year. The reasons for Shevardnadze's failure in this regard have to be sought in the inherent tribulations of the Soviet-type management that he still pursues.

We will avoid the discussions on overwhelming corruption and economic short fallings that turned into indispensable components of this system but emphasize only a single factor, that is directly related to 30 October events. As a matter of fact, security, police and other power structures moved beyond the spheres of social control and placed themselves above the rule of law. Apart from establishing a policing regime in the country, such a practice also helps the rapid

degradation and degeneration of ruling structures themselves. The employees of the privileged agencies lose the sense of reality, imagine themselves as unrestrained proprietors and rulers of the country and pursue respectively the actions that are closer to feeble-mindedness than to anything else.

One of the major reasons of Soviet collapse was a tendency of intellectually degrading ruling elites coming to power one after another. This, in turn, could be explained by the syndrome of uncontrollability, struggle for privileges and deliberate ejection of progressive minds from recruitment well established in Soviet practice. As we are getting convinced, such a process is unfolding in its classical mode in modern Georgia. Moreover, the process here has been developed much speedier than in the former USSR.

There is an urgent need for rapid response to the challenge. We do not intend to start out campaign for radical measures or call for coup d'état since we realize the possibility of destructive impact and outcomes of 'revolutionary' ways and consider that we still have something to lose if such undertakings take place. However, we also realize that the action-oriented anti-corruption policy and structural reforms in security and law-enforcement agencies are to be launched immediately, although people have lost hope for such changes long ago. In other case, the president and the government have to resign and preliminary presidential and parliamentary elections have to be held.

There is No Alternative to Reconciliation and Nonviolent Settlement of the Abkhazia Problem

Statement of the International Center on Conflict and Negotiation on the Latest Developments in Abkhazia and Their Possible Consequences (spread via Internet)

Throughout last years the situation in Abkhazia was periodically deteriorating that resulted into numerous casualties among local peaceful population as well as peacekeepers and international observers. Such a turnout makes all efforts to drive the process of peaceful settlement out of the deadlock virtually unfeasible.

The recent outbreak of violence and continuous bloodshed in the region unfolding up to now is of highly destructive potential within the context of the chain of regional conflicts in the Caucasus. These developments are hardly coincidental with wider international events following the terrorist attacks on the United States. Quite naturally there are number of questions that arise: 1) Is this process really spontaneous, uncontrollable and unpredictable, as being presented? Or we deal with well planned provocation aiming to make the Abkhazia issue irresolvable? 2) Who are the actors, and what are means and interests standing behind the escalation of tension in Abkhazia? 3) If the process develops in the same direction as for now, what would be its consequences for Russia-Georgia bilateral relations and the stability in the region overall?

The general background for the latest developments in Abkhazia is certainly unfavorable for peaceful negotiations. More specifically, the prevalence of inflexible, rigid positions of principal negotiators on all sides of the process, unwillingness or inability to utilize existing opportunities for discovering common points of interests, rapprochement of positions and, finally, the accomplishment of the mutually acceptable agreement serves as one of the major reasons hampering the peace process. Another factor is adversity of public approaches in Georgian and Abkhazian societies defined by the very strong "image of the enemy" in people's consciousness. Severe social-economic conditions of people exiled from Abkhazia during the wartime

(overwhelmingly ethnic Georgians) makes their psychological status even more vulnerable and turns them into a social group much easier to manipulate. All these only promote further destabilization and aggravation of the situation. Also, inconsistency of Russia's role and policy as a mediator in the process of negotiations and insufficiency of endeavors of international organizations determines the course of such developments.

The following conclusions could be drawn from the analysis of current situation (as of mid-October, 2001):

- The Georgian guerilla groupings (mainly comprising of the displaced persons from Abkhazia) and North-Caucasian paramilitary units participate in current armed clashes on the territory of Abkhazia. Great part of the Georgian public morally supports guerilla activities but cautiously refers to the involvement of the Chechen combatants. The official Tbilisi claims, there is lack of information in regard to these issues (especially, the involvement of North-Caucasian mercenaries in military operations) but increasingly demonstrates its verbal support for the guerilla activities. Only a few non-governmental organizations in Georgia have criticized Georgian power structures for their stated or latent support for the escalation of guerilla actions, and claimed for the immediate termination of bloodshed.
- The modalities of current process remind in many terms the events of May, 1998 in Gali region on the territory of Abkhazia. The latter brought about new casualties, a new mass exodus of Georgian returnees from Gali, burned villages and housing, stalemated process of negotiations and stronger enmity between the sides to the conflict. The analysis of May, 1998 events led to the logical assumption that the happening was a clear provocation triggered by the forces countering peaceful ways of settlement. Yet those events have not yielded an adequate assessment, notably also not from the side of international organizations involved. It should be noted that present public opinion in Georgia over the ongoing process in Abkhazia is hardly as balanced and moderate as it was in May, 1998 aftermath. By that time, the attitude dominating in public assessments deemed armed clashes and further provocations totally unacceptable stating that Georgian government should not support such menacing undertakings.
- There is a large and quite influential group of people in Georgia being critical about the prospects of peaceful solution to Abkhazia conflict. They consider military way to be the only feasible option left in order to ensure the restoration of Georgian jurisdiction over territory of Abkhazia. The so called "Abkhazia Government in Exile" residing in Tbilisi and being empowered by high authorities represents the political center of this platform. Real magnitude of such an approach in Georgian society is not precisely 'measured'. As a matter of fact, at critical points people and groups advocating a military scenario tend to be in the center of public and mass media attention, as well as dominate wide political circles of Georgia that helps them create false impression on the public support for their position, as if being shared by the whole Georgian society. In such cases, we observe certain leftovers of the totalitarian mentality, weakness and disarray of the state authority, mass frustration of the IDPs, and, quite often, the failure to realize and acknowledge that military or any other forcible solution to the problem is principally implausible and impossible.
- There is a 'double standard' pursued by Georgian officials when, on the one hand, stating their compliance to the UN Security Council resolutions, whereas, on the other hand, many of the same high-rank officials openly speak about their support for escalation of guerilla activities in Abkhazia, and meanwhile bypassing the issue of Chechen militia involvement. There are rumors that Russia might 'hand back' Abkhazia in exchange for Georgia shutting down Pankisi corridor for Chechens. For their part, almost all political forces in Georgia try to use present disposition

of circumstances in the political struggle prior to pending elections maximally in favor of their own political campaigns.

· Traditionally rigid position of the Abkhaz authorities and sources of propaganda controlled by them tend to view the entire peace process merely as a mechanism reinforcing de facto separation of Abkhazia from Georgia proper, and not as a platform for reconciliation and mutually acceptable settlement. Such an approach of the Abkhaz side indeed invokes skepticism and pessimism of Georgian public regarding the perspectives of peaceful regulation of Abkhazia issue and underpins positions of radicals and the ‘war party’.

· Certain military-political circles in Russia deliberately encourage further partition of Abkhazia from Georgia proper conforming their purpose to dismantle the Caucasus region in a manner that would ensure the maintenance of Russian military presence there. It is hard to exclude the possibility of the same forces taking part and sponsoring provocations in Kodori Gorge and the rest of Abkhazia territory.

· Georgian society and mass media became lately more supportive to guerilla activities. Adherence of such position derives from past experience, namely, inefficacy of negotiation process, absence of tangible progress in ‘defreezing’ the conflict, failure of long debated repatriation of refugee and IDPs, etc. unfolding, in turn, against the background of deep political crisis in Georgia, (“in given conditions none may start allegations against the other, since everybody fights via means available”). In addition, the moral intricacy of the situation accentuated lately the unanimity of public opinion around the ultimate demand for Russian (nominally CIS) peacekeepers’ withdrawal from the conflict zone, while distracting attention from other more delicate questions still to be answered. The request for the withdrawal could be viewed from another angle: the question here is to ensure that virtual “Georgia-Abkhazia border guards” who have discredited themselves as peacekeepers leave the territory, might open an opportunity for Tbilisi to regulate bilateral relations with Sukhumi without an intermediary. But how is this option compatible with risky manifestations of Georgian officials’ support to guerilla activities? Could we speak about any direct bilateral negotiations at all under given circumstances?

The stance of ICCN is that the Georgian government has to enact all measures at hand to immediately terminate armed confrontation in Abkhazia, clearly and strictly address such a course of developments as unacceptable, especially criticize any further encouragement or support of the war, denounce provocation, which turned already into death tool of many and now endangers last hopes for peaceful settlement to disappear. We call Georgian, Abkhazian and Russian politicians for mobilizing their efforts to reach rapidly an adequate agreement. We consider it a necessity to urgently organize an international conference on Abkhazia under the aegis of international organizations and adopt respective document on non-resumption of hostilities by the sides to the conflict.

საზოგადოებრივი გაერთიანება „სამოქალაქო დიალოგის“

საინიციატივო ჯგუფის

მიმართვა

საქართველოს მოსახლეობასა და საქართველოს ხელისუფლებას

ჩვენ, საზოგადოებრივი გაერთიანება “სამოქალაქო დიალოგისათვის” საინიციატივო ჯგუფის წევრებს, არ შეგვიძლია არ ავიმალლოთ ხმა მაშინ, როდესაც საქართველო დაღუპვის პირას დგას. ამის ნათელი დადასტურებაა ახლანდის აფხაზეთში ფართომასშტაბიანი ომის პროვოცირების მცდელობა, ყოველგვარ ავანტიურებზე წამსვლელი პოლიტიკური და სახელისუფლებო ჯგუფების საყოველთაოდ გაბატონებული კორუფცია, ძალოვანი სტრუქტურების ყოვლად უზნეო აღვირახსნილობა საკუთარ მოსახლეობასთან ურთიერთობაში და ქვეყნის პირველი პირის გასაოცარი უმოქმედობა კატასტროფის წინაშე მყოფი ქვეყნისათვის ასეთ საშინელ პერიოდში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ყველაფერი ეს ჯაჭვია იმ საერთო გეგმაში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის იმდენად დასუსტებას, რომ ქვეყანამ საბოლოოდ დაკარგოს დამოუკიდებლობა. ამისათვის მთავარი გასათამაშებელი კარტი ისევ და ისევ აფხაზეთის საკითხი ხდება. ჩვენ კარგად გვახსოვს, თუ რა როლი ითამაშა აფხაზეთის საკითხმა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ ერის გაერთიანებისათვის რუსეთის იმპერიისაგან, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსა-პოვებლად. 2001 წელს აფხაზეთის თემა გამოიყენება იმისათვის, რომ საქართველომ დაკარგოს ასე ძნელად მოპოვებული დამოუკიდებლობა და ისევ გადაიქცეს ნომენკლატურული ფეოდალიზმის ანკლავად. ამას ხელს უწყობენ პირველ რიგში საქართველოში არსებული რეაქციული წრეები, რომელთათვისაც არაფერს ნიშნავს სახელმწიფოებრივი ინტერესი. ბოლო დროს აშკარად გამოიკვეთა დესტაბილიზაციის მოსურნე ერთი შეხედვით სრულიად განსხვავებული ძალების გაერთიანება და ინტერესთა თანხვედრა.

აფხაზეთის კონფლიქტის სამხედრო გზით გადაწყვეტის ყოველგვარი მცდელობა სინამდვილეში აძლიერებს რუსეთის ფაქტორს საქართველოში და მთლიანად კავკასიაში. ჩვენი აზრით, არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოში გარკვეული პოლიტიკური ძალები ხელს უწყობენ ამ სახიფათო პროცესს.

ჩვენ ვსვამთ რამდენიმე მეტად მტკივნეულ კითხვას:

1. ვინ დააფინანსა ჩეჩენთა შეიარაღებული რაზმების გადაყვანა აფხაზეთის ტერიტორიაზე?
2. როგორია ძალოვან სტრუქტურათა როლი ამ ავანტიურაში?
3. ვინ ახდენს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციას? ვინ ყიდულობს საკომუნიკაციო სივრცეს საქართველოში?
4. რატომ არ არის გამჭვირვალე სხვადასხვა ცნობილ ოლიგარქთა მოღვაწეობა და მათი შესაძლო როლი სამხედრო და სხვა სახის ავანტიურებში?
5. რატომ არ უწყობს ხელს საქართველოს ხელისუფლება სახალხო დიპლომატიის წარმოებას ქართველებსა და აფხაზებს შორის, რისთვისაც დიდი თანხები იყო მიღებული?
6. ვის ინტერესებშია ქართველი ერის კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფუჭება ჩრდილოკავკასიელებთან?
7. რატომ არ ხდება იმ შედეგების გათვლა და პროგნოზირება, რაც მოჰყვება საომარი მოქმედებების სპონტანურ ესკალაციას?

8. რატომ სწირავს საქართველოს ხელისუფლება დევნილებსა და აფხაზეთის მოსახლეობას და რატომ არ ღვამს ქმედით ნაბიჯებს ამ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარებისათვის?

ჩვენ ველით პასუხებს ამ კითხვებზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ პროტესტის მწვავე ფორმებს.

სამოქალაქო დიალოგის საინიციატივო ჯგუფის სახელით:

*გიორგი ხუციშვილი
ზვიად ბოკუჩავა
ირაკლი კაკაბაძე
გივი გიგაური*

(გამოქვეყნდა საქართველოს პრესაში და გავრცელდა ინტერნეტით)

დიონიჯი სანდოლი და პარადიგმატული გარდატეხა ჩვენში



დოქტორი დენის ჯეი დი სანდოლე, ანუ იტალიურად რომ ვთქვათ, დიონიჯი სანდოლი, ძალიან კარგად ნაცნობი სახე-ლია კონფლიქტოლოგიისა და სოციალურ მეცნიერებათა სამყაროში. ქრისტოფერ მიტჩელთან და მაიქლ ბენქსთან ერთად იგი იყო იმ მეცნიერთა ჯგუფის წევრი, რომელმაც მუშაობა დაიწყო ჯონ ბარტონის ხელმძღვანელობით და დაამუშავა “ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებათა” თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. 1960-იან წლებში ბიჰევიორისტულ ფსიქოლოგიაზე, განმათავისუფლებელ პოლიტიკურ მეცნიერებაზე და პროგრესულ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობილი მათი მოძღვრება აგებს ნამდვილი მშვიდობის წინაპირობას, რომელიც ეყრდნობა სამართლიან ადამიანურ ურთიერთობებს. “არ არსებობს მშვიდობა სამართლის გარეშე!” – ეს სიტყვები ხშირად ისმოდა სამოქალაქო უფლებების დაცვის მოძრაობის მიმდინარეობისას. დენის სანდოლე და მისი კოლეგები ყოველთვის ამ ფილოსოფიის ერთგულნი იყვნენ.

დოქტორმა სანდოლემ განათლება ამერიკისა და ინგლისის საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიიღო. ლონდონის უნივერსიტეტში იყო დოქტორი ბარტონის სტუდენტი ისევ და ისევ ქრისტოფერ მიტჩელთან ერთად. სწორედ აქ ეყრება საფუძველი 60-იანი წლების შუაგულში ძირეული ადამიანური მოთხოვნილებების თეორიასა და კონფლიქტების მოგვარების ფასილიტატორულ პრაქტიკას. 1982 წელს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში (აშშ) იხსნება მსოფლიოში პირველი კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ცენტრი ბრიან ვეჯის ხელმძღვანელობით და დენის სანდოლემ ერთ-ერთი პირველია, ვინც

კონფლიქტოლოგიის სწავლება დაიწყო მაგისტრატურაში და 1987 წლიდან დოქტორანტურაში. დენის სანდოლე იყო აგრეთვე ის ადამიანი, რომელმაც შექმნა მსოფლიოში უძლიერესი კონფლიქტოლოგიური სკოლა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში, მოიზიდა რა სოციალური მეცნიერების ისეთი გრანდები, როგორებიც არიან ჯონ ბარტონი, ქრისტოფერ მიტჩელი, მერი კლარკი, იოჰან გალტუნგი, რაჯმოჰან განდი, მიშელ ლე ბარონი, სენდი შელდელინი, რიჩარდ რუბინშტაინი, ჰო უან ჟონგი და სხვები.

დოქტორი სანდოლე გამოირჩევა თავისი მეცნიერული მიდგომით და ის მკვეთრ აქცენტს აკეთებს გონისმიერ საწყისზე. აგრეთვე იგი საკუთარ თავს თვლის შეგნებულ ჰუმანისტად, რომელიც ჟან ჟაკ რუსოსა და ვოლტერის გზის გამგრძელებელია. ის იყო პირველი, რომელმაც წამოაყენა პარადიგმატული გარდატეხის იდეა სოციალურ მეცნიერებაში. თომას კუნის ნაშრომის “მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურაზე” დაყრდნობით მან გააკეთა მეტად მნიშვნელოვანი ნახტომი პოლიტიკურ აზროვნებაში. რატომ უნდა იყოს ძალადობაზე დაყრდნობილი “რეალპოლიტიკა” - ერთადერთი სააზროვნო კატეგორია. სანდოლე იწყებს ალტერნატივის ძიებას, თანაც ისეთი ჰუმანისტური ალტერნატივისა, რომელიც ძალადობას აუცილებლად არ მიიჩნევს. 1993 წელს ის აქვეყნებს თავის ცნობილ წერილს, რომლის ქართულ თარგმანსაც გთავაზობთ ჩვენს ჟურნალში.

იმედი გვაქვს, საქართველოში შესაძლებელი იქნება ახალი პარადიგმის გამოძებნა, რომლის თანახმადაც ჩვენ არა გვაქვს მოსჯილი ერთმანეთის ჭამა და დომინაცია.

აგრეთვე, იმედი გვაქვს, დენის სანდოლეს ნააზრევი სასარგებლო იქნება მომავალი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის და მშვიდობის მოსურნე ადამიანებისათვის.

პარადიგმები, თეორიები და მეტაფორები კონფლიქტსა და კონფლიქტის მოგვარებაში:

შეთანხმება თუ დაბნეულობა?

დენის სანდოლე

შესავალი

ნებისმიერი მცდელობა, კონფლიქტების წარმოშობის რეგიონები რუკაზე იქნას აღნიშნული, ინტელექტუალურ ვარჯიშზე მეტია, რადგან კონფლიქტის მონაწილე მხარეები განაგრძობენ ძალადობას. ისინი არ ცდილობენ დაეხმარონ კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებულ მხარეებს კონფლიქტების მოგვარების გზების ძიებაში.

ისმის კითხვა: შეგვიძლია თუ არა ჩვენ, კონფლიქტების ანალიტიკოსებს, კონფლიქტების მოგვარების თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს, მშვიდობის მკვლევარებსა და „სხვა დაინტერესებულ პირებს“, რაიმეს თქმა ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციების შესახებ? შეგვიძლია თუ არა, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს კონფლიქტის მოგვარების მისაღები გზები შევთავაზოთ?

თომას კუნმა გააკრიტიკა კარტეზიანული მიდგომის „უნაკლო აღქმა“ და განაცხადა, რომ მეცნიერებისა და „ჭეშმარიტების მლალადებელთა“ მიერ აღქმული რეალობა მათი შინაგანი პრინციპებიდან მომდინარეობს. შესაბამისად, ეს პარადიგმები ერთმანეთისაგან განსხვავდება და რეალობის მრავალგვარი სურათები ყალიბდება; წარმოიშობა რეალობისადმი განსხვავებული მიდგომები.

ყველაფერი, რაც ეხება მეცნიერებს, უნდა გვეხებოდეს ჩვენც. როგორც აღნიშნავს სერ კარლ პოპერი (1959, გვ. 22), მეცნიერული ცოდნა არის „ვრცლად დაწერილი, საყოველთაოდ გაზიარებული ცოდნა“. მეცნიერებაში არსებობს ‘რეალობის’ განმსაზღვრელი, განსხვავებული და, ხშირ შემთხვევაში, წინააღმდეგობრივი კონცეფციები. ამის შედეგად, ‘პარადიგმების’ კონცეფცია დაკავშირებულია კონფლიქტებსა და კონფლიქტების მოგვარებასთან, სადაც მონაწილე მხარეები მზად არიან მსხვერპლი გაიღონ საკუთარი მსოფლმხედველობის დასაცავად.

არსებობს ოთხი საერთაშორისო და პიროვნებათშორისი პარადიგმა, რომელიც ნებისმიერ დონეზე უკავშირდება კონფლიქტებსა და მათი მოგვარების გზებს: (1) პოლიტიკური რეალიზმი ანუ რეალპოლიტიკა; (2) პოლიტიკური იდეალიზმი ანუ იდეალპოლიტიკა, (3) მარქსიზმი, (4) არამარქსისტული რადიკალური აზროვნება.

პირველი ორი პარადიგმა, რომელზეც ქერი საუბრობდა (1939 წელი) ‘დიდი დებატების’ საგანია და რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პოლიტიკური რეალიზმი ანუ რეალპოლიტიკა უფრო დომინანტურია, ვიდრე პოლიტიკური იდეალიზმი და სამი შემადგენელი კომპონენტი გააჩნია (იხ. სანდოლე, 1984 წელი):

1. აღწერილობითი რეალიზმი: მოსაზრება იმის შესახებ, რომ მსოფლიო პოტენციური საბრძოლო ველია;

(2) განმარტებითი რეალიზმი: მოსაზრება არსებული მდგომარეობის მიზეზების შესახებ:

(ა) პირველადი მიზეზი: ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორი არის მისი უარყოფითი გენეტიკური ბუნება. ნაკლი, რომლითაც ჩვენ ვიბადებით (იხ. კოსტლერის ‘მოჩვენება მანქანაში’ 1967 წელი);

(ბ) მეორადი: საერთაშორისო დონეზე არ არსებობს კონფლიქტის მოგვარების შესაფერისი მექანიზმები. უოლცი (1959 წელი, გვ. 232) რუსოზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ „ომები წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ არ არსებობს მათი შემაჩერებელი მექანიზმები“;

(3) განმსაზღვრელი რეალიზმი: თუ უარყოფითი ბიოლოგიური დეტერმინიზმი და პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმის არარსებობა იწვევს სახელმწიფოების აგრესიას ყველა დონეზე, მაშინ ჩვენ, გადაწყვეტილების მიმღებებმა, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ძირითადი ინტერესების დასაცავად: ვიზრუნოთ საკუთარი თავის, როლისა და/ან ჯგუფის (ერის) გადარჩენისათვის. ‘მორალი’ ამ შემთხვევაში არის აღნიშნული ინტერესების წარმატებული განხორციელება.

რეალპოლიტიკის მიერ განსაზღვრული სამყარო ფერმკრთალია და ხელს უწყობს მორტონ ლოიხის მიერ განსაზღვრული კონფლიქტის მოგვარების ‘წინააღმდეგობრივი’ პროცესის წარმოშობას. აქ იგულისხმება ძალაზე დაფუძნებული, მტრული, კონფრონტაციული, ნულოვანი შედეგის მქონე, მოგება-წაგების“ მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი. რეალპოლიტიკა განმსაზღვრელი მსოფლმხედველობა იყო ზესახელმწიფოების პოლიტიკოსებისათვის „ცივი ომის“ პერიოდში. რეალპოლიტიკა განსაზღვრავდა სერბებისა და ხორვატების ქცევას ხორვატიასა და ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე ომების დროს, სომხებისა და აზერბაიჯანელების ქცევას მთიან ყარაბაღში. რეალპოლიტიკა დღემდე განსაზღვრავს სხვადასხვა ხალხების ქცევას (მაგ.: ჩრდილოეთ ირლანდიაში, პალესტინასა და შრი ლანკაში). გასაკვირი არ არის, რომ რეალპოლიტიკა და შესაბამისად, წინააღმდეგობრივი პროცესები უკავშირდება გამანადგურებელ შედეგებს.

პოლიტიკური იდეალიზმის მომხრეები, ისევე როგორც რეალისტები, მიიჩნევენ, რომ ძალადობის საფრთხე და ინტენსივობა იზრდება (აღწერილობითი რეალიზმი), თუმცა ისინი რეალისტებისგან განსხვავებით ომისა და ძალადობის განსხვავებულ მიზეზებზე მიუთითებენ (განმარტებითი რეალიზმი) ასევე პრობლემის გადაწყვეტის სხვა გზებს გვთავაზობენ (განმსაზღვრელი რეალიზმი) იდეალპოლიტიკოსებისათვის ძალადობრივი კონფლიქტის მიზეზად მრავალი ფაქტორი შეიძლება იქცეს. ძალადობაზე რეაქცია მრავალგვარია და შეიძლება მოიცავდეს როგორც “საპასუხო ძალადობას“, ისე არაძალადობრივ საშუალებებს, რომლებიც შეცვლის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სისტემებს იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ძალადობრივი კონფლიქტის წარმოშობის პირობები.

კონფლიქტების მოგვარების “თანამშრომლობითი“ პროცესები: არაწინა-აღმდეგობრივი, არაკონფრონტაციული, არანულოვანი ჯამის (პოზიტიური ჯამის), “მოგება-მოგების“ მიდგომები—დოინის მიერ მხარდაჭერას პოულობს. იდეალპოლიტიკა კონსტრუქციულ შედეგებთან ასოცირდება.

განსხვავება რეალპოლიტიკას და იდეალპოლიტიკას შორის შემდეგში მდგომარეობს: „ბუნება აღზრდის წინააღმდეგ“: რეალპოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს ადამიანის აგრესიულ ბუნებაზე, ხოლო იდეალპოლიტიკა ამტკიცებს, რომ შესაძლებელია გარემოსა და, შესაბამისად, ქცევის შეცვლა. უოლცის თანახმად (1959 წელი), პირველი პარადიგმის თვალთახედვა პესიმისტურია, ხოლო მეორის - ოპტიმისტური.

ჩვენს მიერ მოყვანილი დანარჩენი ორი პარადიგმა რეალპოლიტიკისა და იდეალპოლიტიკის კომბინაციას წარმოადგენს. რეალიზმის მსგავსად, მარქსიზმი ხაზს უსვამს კონფლიქტის გარდაუვალობას (სოციალურ-ეკონომიკურ კლასებს შორის). იდეალიზმის მსგავსად, მარქსიზმი აღიარებს, რომ შესაძლებელია სტრუქტურული ცვლილება, განსაკუთრებით, წარმოების საშუალებების სწორად გადანაწილების შედეგად. ამავე დროს, მარქსისტულ თეორიაში, ისევე როგორც იდეალიზმში, არის მრავალი კონცეფცია ადამიანის ბუნების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია გარემოზე და ამით ეწინააღმდეგება რეალიზმის მიერ დადგენილ კონცეფციას ადამიანის ბუნების შესახებ (გარემოს უგულებელყოფა).

არამარქსისტული რადიკალური აზროვნება რეალიზმის მსგავსია და აღიარებს ადამიანის ბიოლოგიური ბუნების სიძლიერეს (‘ადამიანის მოთხოვნილებათა სიძლიერე მსოფლიოს საზოგადოებაში“, (იხილეთ ქოუთი და როსატი, 1998 წელი), მაგრამ იდეალიზმის მსგავსად, ხაზს უსვამს სტრუქტურული ცვლილებების შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ინსტიტუტების დაახლოებას „ადამიანის ძირითად მოთხოვნილებებთან“. არამარქსისტული რადიკალური აზროვნება, მარქსიზმის მსგავსად, აღიარებს ცვლილებათა აუცილებლობას, რაც გამოიწვევს ინსტიტუტების მოთხოვნილებებთან დაახლოებას – გარემოს დაახლოება „ადამიანის ბუნებასთან“.

ცვლილებები ხშირად რადიკალურად ხორციელდება და ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ძალადობრივი კონფლიქტების ახალი ციკლის წარმოშობას.

მარქსიზმი და არამარქსისტული რადიკალური აზროვნება, რეალიზმის მსგავსად, აღიარებს, რომ კონფლიქტების მოგვარების პროცესს (მას ხშირად თან სდევს დესტრუქციული შედეგები) თან ახლავს შეჯიბრი. ძალაუფლებას ჩამოშორებული პიროვნებები და უმცირესობათა ჯგუფები, რომელთა უფლებებიც ხშირად ირღვევა, ცდილობენ თავიდან განსაზღვრონ საკუთარი ურთიერთობები სტატუს-კვოს მხარდამჭერებთან ერთად, მაგრამ აღნიშნული მცდელობები ხშირ შემთხვევაში სასარგებლოა მხოლოდ უმრავლესობის ჯგუფებისათვის. არამარქსისტული რადიკალური აზროვნება, იდეალიზმის მსგავსად, აღიარებს თანამშრომლობითი პროცესის (მას თან სდევს კონსტრუქციული შედეგები) რაციონალურობას და მის მნიშვნელობას გრძელვადიანი გადაწყვეტილების მიღებაში გამოვლენილ კონფლიქტთან დაკავშირებით. მარქსისტული თეორიისა და არამარქსისტული რადიკალური აზროვნების

პარადოქსი მდგომარეობს შემდეგში: შეჯიბრის თანმხლები პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებასა და თანამშრომლობითი პროცესების განვითარებას, წარმოშობენ თვითგამაგრძელებელი ძალადობრივი კონფლიქტის სისტემებს და ამით პირდაპირ უკავშირდებიან რეალისტურ კატეგორიას (იგივე ბედი შეიძლება ეწიოს იდეალისტურ თეორიას, რომელიც მხარს უჭერს „ომის წარმართვას ომის შესაჩერებლად“).

არსებობს კონფლიქტის განსაზღვრის ორი ორიენტაცია (რეალიზმი, იდეალიზმი, მარქსიზმი და არამარქსისტული რადიკალური აზროვნება) და კონფლიქტის მოგვარებისადმი ორი მიდგომა (კონფრონტაციული და თანამშრომლობითი). აუცილებელია გავანალიზოთ, რომ კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა შეიძლება ერთმანეთის ჟღერა დაიწყონ, მაგრამ ისინი ამ გადაწყვეტილებამდე სხვადასხვა საწყისი პოზიციიდან (ეკვიფინალურობა) მიდიან. აღსანიშნავია, რომ კონფლიქტების ანალიტიკოსები, კონფლიქტის მოგვარების თეორეტიკოსები, მკვლევარები და სხვები ცდილობენ ნებისმიერ კონფლიქტს ან კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას შინაარსი მიანიჭონ და მოაგვარონ.

პირადად მე, მირჩენია შევაჯერო (4+2) პერსპექტივები, ზოგადად გამოვიკვლიო კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები და პირობები და მოვნახო მისი მოგვარების გზები. ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროზე დაფუძნებული „მრავალპარადიგმული“ გამოკვლევა, რომელიც მოიცავს კონფლიქტის წარმოშობის მიზეზებსა და გარემოებებს და მისი მოგვარების გზებს. პირველ რიგში, განვსაზღვრავ ზოგიერთ ძირითად ტერმინს.

ძირითადი ტერმინები: კონფლიქტი, გამოვლენილი კონფლიქტის პროცესი და აგრესიულად გამოვლენილი კონფლიქტის პროცესი

კონფლიქტი დინამიური ფენომენია (სანდოლი, 1980, 1986 წლები), გამოვლენილი კონფლიქტის პროცესი შედგება შემდეგი ფაზებისაგან: ინიციატივა, ესკალაცია, კონტროლირებადი მხარდაჭერა, შესუსტება, დასასრული/მოგვარება. უფრო ზუსტად თუ განვსაზღვრავთ, გამოვლენილი კონფლიქტის პროცესი არის: სიტუაცია, რომელშიც მონაწილეობს ორი ან მეტი აქტორი, ან მათი წარმომადგენლები; ისინი ცდილობენ დაიცვან საკუთარი ინტერესები, რომელიც მოწინააღმდეგისათვის მიუღებელია და, პირდაპირ თუ ირიბად, ასუსტებენ მოწინააღმდეგის შესაძლებლობას, მიაღწიოს მიზანს.

ამ განსაზღვრების თანახმად, კონფლიქტი უარყოფით ემოციას არ იწვევს. ჯონ ბარტონი აღნიშნავს (1972 წელი, გვ. 137-138): „კონფლიქტი, სექსის მსგავსად, ადამიანებს შორის ურთიერთობების ძირითადი შემოქმედებითი ელემენტია. კონფლიქტი არის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია მატერიალური კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სამართლიანობის და პიროვნული განვითარების მიღწევა... კონფლიქტის არსებობა არის გარანტია იმისა, რომ საზოგადოების მოთხოვნები დაკმაყოფილდება. კონფლიქტი, სექსის მსგავსად, სიამოვნების განცდას უნდა იწვევდეს.“

ჩემი ინტერესის საგანია, აქვთ თუ არა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მისი მოგვარების საშუალებები. მიუხედავად იმისა, აირჩევენ თუ არა ისინი შეჯიბრის თანმხლებ პროცესს იდეალპოლიტიკის ან არამარქსისტული რადიკალური აზროვნების ასპექტში, მაინც არსებობს საშიშროება, რომ გამოვლენილი კონფლიქტის პროცესი გადაიზრდება აგრესიულად გამოვლენილ კონფლიქტის პროცესში: „აგრესიულად გამოვლენილი კონფლიქტის პროცესი არის ისეთი სიტუაცია, რომელშიც ორი ან მეტი მონაწილე ან მათი წარმომადგენლები ცდილობენ დაიცვან ერთიმეორის საწინააღმდეგო ინტერესები მოწინააღმდეგის ქონებისა და

ღირებული სიმბოლოების ფიზიკური განადგურების გზით; ან/და ცდილობენ ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ზიანი მიაყენონ და სხვა ძალისმიერი საშუალებით გაანადგურონ ერთმანეთი“ (სანდოლი, 1980, 1986 წლები).

დავუბრუნდეთ ჩვენს პირვანდელ კითხვას: რისი გაკეთება შეგვიძლია იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ხანგრძლივი ძალადობრივი კონფლიქტი? რა დასკვნის გამოტანა შეიძლება თეორიისა და პრაქტიკიდან გამოვლენილი კონფლიქტის პროცესის (ჩ) აგრესიულად გამოვლენილი კონფლიქტის პროცესში (AMCP) გადაზრდის შესახებ?

თეორია და კვლევა კონფლიქტსა და კონფლიქტის მოგვარებაში

ზემოაღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაციის კარგად გასაანალიზებლად ის გარკვეულ ჩარჩოში უნდა მოვაქციოთ. აღსანიშნავია უოლცის (1959) სისტემა, რომელიც შემდეგ განზომილებებს მოიცავს:

- (1) ინდივიდუალური დონე;
- (2) სოციალური/ეროვნული დონე;
- (3) ტრანს-სოციალური/საერთაშორისო დონე;
- (4) გლობალური დონე დაამატეს რობერტ ნორტმა (1990 წელი) და ნაზლი ჩოუკრიმ (ჩოუკრი და ნორტი, 1990 წელი), იმისათვის, რომ ამ სისტემაში მოექციათ გლობალური პროცესები (ბუნებრივი თუ სოციალური), რომლებიც პირველი სამი განზომილების ზემოქმედების შედეგია. მაგალითად, მსოფლიოში არსებული ტროპიკული ტყეების განადგურება, ოზონის ფენის შეთხელება, სათბურების გავლენა ეკოლოგიაზე, შიდს-ის პანდემია და სხვა გლობალური პრობლემები, რომლებიც მოგვარებას საჭიროებს.

ინდივიდუალური დონე

ბევრი თეორეტიკოსი და მკვლევარი მუშაობს ამ დონეზე. არსებობს დიდი მოცულობის ინფორმაცია, რომელიც მე ოთხ ქვეკატეგორიად დავყავი: (1) ბიოლოგიური, (2) ფიზიოლოგიური, (3) სწავლის და (4) შეუთავსებლობა.

ბიოლოგიური ქვეკატეგორია

ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური ქვეკატეგორიები „ადამიანის ბუნებას“ იკვლევენ. პირველი ცდილობს ასახოს ფილოსოფოსების, თეოლოგებისა და იმ მეცნიერების ნაშრომები, რომლებიც ადამიანის ბუნების „ცხოველურობაზე“ საუბრობენ. ისინი ადამიანის ბუნებას მხოლოდ ერთი კუთხით უდგებიან. ფიზიოლოგიური ქვეკატეგორია ასახავს ფსიქოლოგების, ფიზიოლოგებისა და სხვა მეცნიერების ნაშრომებს, რომლებიც ცდილობენ ადამიანის ბუნება სხვადასხვა კუთხით განიხილონ.

ბიოლოგიური ქვეკატეგორიის თეორეტიკოსებს შორის არიან კლასიკური რეალისტი მოაზროვნეები. ჰანს მორგენტაუს განსაზღვრებით, „ცივი ომის“ პერიოდში „უზენაესი რეალისტური ჭეშმარიტება იყო „ძალის პოლიტიკა“, – თავდაცვა და ძალის დემონსტრირების გახშირება ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად – რომელიც იმართებოდა ადამიანის ბუნებიდან აღმოცენებული ობიექტური კანონებით“. რეალისტი და პროტესტანტი თეოლოგის, რეინჰოლდ ნიბურის (1940, 1953 წლები) აზრით, ადამიანი ცოდვილი იბადება და ამის გამო, ბოროტების ჩადენა შეუძლია; ადამიანს გააჩნია „სიცოცხლისა და ძალაუფლების ქონის სურვილი“, რაც მას აიძულებს სხვების ხარჯზე საკუთარი ძალა გაზარდოს და გადარჩენისათვის იბრძოდოს.

უფრო ადრეულ პერიოდში მცხოვრები მოაზროვნეები, როგორც იყო ნეტარი ავეუსტინე, ეთანხმება იმ თეორიას, რომ ადამიანის ნეგატიური ქცევის საფუძველი კაცობრიობის პირველი ცოდვაა. სპინოზა, მეორე მხრივ, აცხადებს, რომ ძალადობის საფუძველი არის ვნება, რომელიც საღ აზრზე უფრო ძლიერია.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, ზიგმუნდ ფროიდი (1922, 1959, 1961 წლები) წერდა, რომ ადამიანის განადგურების უნარი „ღიალექტიკური ბრძოლა“ სიცოცხლესა (ეროსი) და სიკვდილს (თანატოსი) შორის. როდესაც ეროსი დომინირებს, აგრესია მიმართულია გარე სამყაროსკენ, ხოლო თანატოსის დომინირებისას აგრესია მიმართულია ადამიანის შიდა სამყაროსკენ. აღნიშნული ენერგია ყოველთვის განთავისუფლებას ცდილობს. ამის შედეგად: „ომისა და კონფლიქტის გამოვლენა პერიოდულად აუცილებელი ხდება. ჯგუფები ცდილობენ დაიცვან საკუთარი თავი თვითგამანადგურებელი ენერგიის სხვებისადმი მიმართვით (დოგერტი და ეპალცგრაფი 1990 წელი, გვ. 277)“.

ბიოლოგიური ქვეკატეგორიის მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ეთნოლოგები, განსაკუთრებით კონრად ლორენცი (1967 წელი), რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანს, ისევე როგორც სხვა ცოცხალ არსებებს, აგრესია დაბადებიდან თან სდევს, მაგრამ ცალკეულ სახეობებს შორის აგრესია სასიკვდილო არ არის და გადარჩენის ღირებულება გააჩნია. ადამიანებთან მიმართებაში ეს მოსაზრება გამართლებული არ არის, რადგან მათი ტექნოლოგიური და კულტურული ევოლუციის დონემ გაუსწრო პილოგენეტური ევოლუციის დონეს; ადამიანებში „ბუნებრივად“ განვითარდა რიტუალიზებული აგრესიის მექანიზმები. სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, ადამიანებს შორის არსებული აგრესია გადარჩენის ინსტინქტით არ არის განპირობებული და ის სასიკვდილო და დისფუნქციური ხასიათის მატარებელია.

ბიოლოგიური ქვეკატეგორიის თეორიებს იზიარებენ პოლიტიკური რეალიზმის წარმომადგენლები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ადამიანის აგრესიული ქცევის საფუძველი ადამიანის ბიოლოგიურად განსაზღვრული ბუნებაა. ბიოლოგიური ქვეკატეგორიის წარმომადგენლები იზიარებენ რეალპოლიტიკის ფუძემდებლების შეხედულებებს კონფლიქტსა და მისი მოგვარების გზების შესახებ.

ფიზიოლოგიური ქვეკატეგორია

ამ ქვეკატეგორიას მიეკუთვნებიან ის თეორეტიკოსები და მკვლევარები, რომლებიც ცდილობენ „გაზომონ“, ან სხვაგვარად, სისტემაში მოაქციონ ადამიანის ბუნების „სიმპტომები“: ისინი ორგანიზმის ცალკეულ ნაწილებს გამოიკვლევენ იმისათვის, რომ გაარკვიონ მისი ზეგავლენა ადამიანის ბუნებაზე. ჯონ პოლ სკოტი (1958 წელი) მიიჩნევდა, რომ „ადამიანს გააჩნია შიდა ფიზიოლოგიური მექანიზმი, რომელიც სტიმულირების დროს ჩხუბის მოთხოვნილებას წარმოშობს“ (გვ. 62-63). ამის შედეგად, მექანიზმი სპონტანური არ არის; მისი გამოხატვის ფორმა დამოკიდებულია შესწავლაზე: „ჩვენთვის ჩხუბის მოტივაცია განისაზღვრება წარმატებით; რაც უფრო დიდხანს გრძელდება წარმატება, უფრო ძლიერია მოტივაცია“ (გვ. 126). სკოტის თეორიის თანახმად, ადამიანის აგრესიული ქცევის ფიზიოლოგიური საწყისი (წყარო) არის მრავალფაქტორიანი ჩარჩო, რომელიც განაპირობებს ურთიერთქმედებას ორგანიზმსა („ნატურე“) და გარემოს („ნურტურე“) შორის – „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ნებისმიერ რეალურ სიტუაციაში ქცევა განსაზღვრავს ყველა დონეზე არსებული ფაქტორის შედეგი“.

პოლ მაკლეინმა (1975, 1978 წლები) განავრცო თეზისი იმის შესახებ, რომ ადამიანებს „სამმაგი ტვინი“ გააჩნიათ, რომელიც შედგება (ა) რეპტილიური, (ბ) ლიმბური და (გ) ცერებრალური კორტექსის ქვესისტემებისაგან. ისინი პილოგენეტური ევოლუციის

პროგრესული დონეების მსგავსია (რეპტილიური ქვეკომპონენტი ყველაზე პრიმიტიულია). ცხოველებში ტვინის ორივე ნახევარსფეროს სტიმულაცია (რესტაკი, 1979 წელი, გვ. 41) – ჰიპოთალამუსი რეპტილიურ განაყოფში და ამიგდალა ლიმბურში – იწვევს ფიზიოლოგიურ რეაქციას, რომელიც იგივედება ‘თავდასხმისთვის მომზადებასთან’. რეპტილიური და ლიმბური ქვესისტემებით განსაზღვრულ ქცევაზე დაკვირვებისას მაკლეინმა დაასკვნა, რომ ჩვენ შეგვიძლია გადავხედოთ პალეოფსიქიკურ პროცესს – ქცევის უძველესი ფორმები, რომლებიც ჩვენი ძუძუმწოვარა და ქვეწარმავალი წინაპრებისგან მოგვყვება (რესტაკი, 1979 წელი, გვ. 42). მაგრამ ცოცხალ არსებებს გააჩნიათ ცერებრალური კორტექსიც, „რომელიც ყველაზე მეტად ადამიანშია განვითარებული“ (ჰილგარდი, 1979 წელი, გვ. 321; რესტაკი, 1979 წელი, გვ. 46); აქედან გამომდინარე, ადამიანის ქცევა უფრო მეტად არის განპირობებული ცერებრალური კორტექსით, ვიდრე რეპტილიური ან ლიმბური ტვინით.

მაკლეინი ამბობს, რომ ნებისმიერ სოციალურ სიტუაციაში „სამივე ტვინი (რეპტილიური, ლიმბური, ნეოკორტიკული) სხვადასხვა სახით ერთსა და იმავეს განიცდის“ (რესტაკი, 1979 წელი, გვ. 51). განცდა, რომელსაც ერთი ან ორი ტვინის ნაწილი აკონტროლებს, შეიძლება კონფლიქტში შევიდეს დარჩენილ ტვინის ნაწილ[ებ]თან. ამასთან დაკავშირებით, მაკლეინმა შექმნა კონცეფცია “შიზოფიზიოლოგიის” შესახებ, რომელიც ეხება კონფლიქტს გრძნობასა (ლიმბური ტვინი) და აზროვნებას (ნეოკორტიკული) შორის. თუ ამგვარ კონფლიქტში ლიმბური ტვინი დომინირებს და აკონტროლებს ადამიანის ქცევას, მაშინ მონაწილეს უჩნდება ძლიერი გრძნობა, რომელიც ხშირად მცდარია. ასეთი ძლიერი გრძნობა “შეიძლება იყოს რაიმე პარანორმული ფსიქოზის ფორმა: შიზოფიზიოლოგია, სადაც რწმენა ხდება დანახვის შემდეგ (ნებით თუ უნებლიეთ, მაკლეინმა ფიზიოლოგიური თვალსაზრისით გაამართლა სპინოზას თეზისი იმის შესახებ, რომ ძალადობა არის ვნება, რომელიც საღ აზრზე უფრო ძლიერია).

არსებობს არგუმენტი იმის შესახებ, რომ სტრესის ქვეშ რეპტილიურ და ლიმბურ „რაციონალურობას საღი აზრი“ ანუ ნეოკორტიკული ტვინის სისტემა ვერ გააკონტროლებს. აღნიშნული არგუმენტი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება არტურ კოესტლერის შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ჩვენს ნერვულ სისტემაში არსებობს პოტენციურად საშიში ნაკლი“. კოესტლერის “მოჩვენება მანქანაში“ არის მაკლეინის შიზოფიზიოლოგია ლიმბური და ნეოკორტიკული ტვინების შესახებ (კოესტლერი, 1967, გვ. 281-282).

კოესტლერის მოსაზრება „ძირითადი მოთხოვნების“ თეორიას ეფუძნება; მაგალითად, მოთხოვნდება ვინმეს ეკუთვნოდეს: „ადამიანების შესაძლებლობა და სურვილი გააიგივონ ტომთან, ერსა და ეკლესიასთან“ (კოესტლერი, 1978 წელი). კოესტლერი მიიჩნევს, რომ ეს ინტეგრაციული, თვითამაღლების მიმართულებები არის კაცობრიობის ისტორიის მანძილზე არსებული ძალადობის საფუძველი (კოესტლერი, 1967 წელი, გვ. 234): „ეგოისტური, პირადული მოტივების საფუძველზე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულს ისტორიული მნიშვნელობა არ გააჩნია... უფრო საყურადღებოა თავგანწირული ერთგულება დროშის, ლიდერის, რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური რწმენისადმი“.

კოესტლერის სქემაში „ომი არის სასიკვდილო რიტუალი, რომლის საფუძველიც არის თვითამაღლების იდენტიფიკაცია (კოესტლერი, 1967 წელი, გვ. 253), რომლის დროსაც საკუთარი თავის (მე-ს) ამაღლების პროცესში ადამიანი იდენტიფიცირდება ტომთან, ეკლესიასთან, დროშასა და იდეალთან. ამის შემდეგ ადამიანი განიცდის აგრესიულ ემოციებს და განახორციელებს ძალადობრივ ქმედებებს (კოესტლერი, 1967 წელი, გვ. 244-245); პირადული სიძულვილი ამ პროცესის შემადგენელი ნაწილი არ არის: „თითოეული მსხვერპლი ისჯება არა როგორც ინდივიდუალური პირი, არამედ როგორც მტრის სიმბოლური წარმომადგენელი“ (კოესტლერი, 1967 წელი, გვ. 252-253). ყველაფერი ზემოთქმული ადასტურებს “მოჩვენების“, „პოტენციურად საშიში ნაკლის“, არსებობას; ეს

არის ლიმბური და ნეოკორტიკული ტვინის შიზოფიზიოლოგია – გარკვეულწილად ეს შეხედულება ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ადასტურებს დოქტრინას პირველადი ცოდვის შესახებ!

კოესტლერის თეორიას, რომელიც მაკლეინის ნაშრომის ავტორისეულ ვარიანტს მოიცავს, რეალისტი მოაზროვნეები იყენებენ იმისათვის, რომ დაამტკიცონ თეორია ადამიანის აგრესიული ბუნების შესახებ.

შესწავლა

ჯონ პოლ სკოტის მსგავსად, ალბერტ ბანდურა (1973 წელი) მიიჩნევს, რომ აგრესია არის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს შორის ურთიერთქმედების, ამ მექანიზმების სტიმულაციისა და შესწავლის შედეგი. სკოტის აზრით, აგრესიის წყარო ფიზიოლოგიურ პროცესებშია, მაგრამ აგრესიის სტიმულის წყარო – გარემოში (დოგერტი და პლაცგრაფი, 1990 წელი, გვ. 278). ბანდურას თეორიის საფუძველი მდგომარეობს არა “შინაგან იმპულსებში, არამედ სოციალურ შესწავლაში, სოციალურ კონტექსტსა და როლებში, საპასუხო რეაქციაზე, მოდელირებასა და შესაძლებლობაში, შეფასდეს წახალისება -დასჯის შედეგები ნებისმიერი ქმედების დროს.“

მაკლეინი აცხადებს, რომ სტრესულ სიტუაციაში ლიმბური ტვინი დომინირებს ცერებრალურ კორტექსზე და “შიზოფიზიოლოგია“ იწვევს ძალადობრივი პასუხის წარმოშობას სტრესულ სტიმულზე; ძალადობრივი ქმედების განხორციელების შედეგად ხდება სტიმულის აღქმა, როგორც საფრთხის განადგურება და ორგანიზმი “სწავლობს“ როგორ განასხვავოს დამოკიდებულება კონკრეტულ სტიმულსა (x) და პასუხს (y) შორის. ეს არის „დისკრიმინანტული შესწავლა“. როდესაც იქმნება კავშირი და ის ინდივიდისთვის კონკრეტულ სიტუაციაში ქცევის ნორმა ხდება, შესაძლებელია ხ-ყ კავშირი ადამიანის ნერვულ სისტემასაც დაუკავშირდეს.

ზემოაღნიშნულმა თეორიამ შეიძლება ახსნას რეალპოლიტიკის წარმომადგენელთა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ომები და საერთაშორისო კონფლიქტები წარმოიქმნება იმის შედეგად, რომ არ არსებობს მათი შემაჩერებელი მექანიზმი.“

შესაბამისად, შესწავლამ შეიძლება დიდი როლი შეასრულოს ძალადობრივი კონფლიქტების ესკალაციასა და გაგრძელებაში. კონფლიქტოლოგიის შესწავლის მომხრე თეორეტიკოსები ხშირად ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და ამის გამო იდეალპოლიტიკის წარმომადგენლებთან ივივდებიან.

დისონანსი

ეს ქვეკატეგორია ძალადობას განიხილავს, როგორც რეაქციას სასურველ და რეალურ ვითარებაზე. მოვიყვანო ლეონ ფესტინჯერის (1962 წელი) კონცეფციას კოგნიტიური დისონანსის შესახებ, რომელიც ეხება წინააღმდეგობას სასურველ და რეალურ ვითარებას შორის; ჩვენ გაგვაჩნია რწმენა, ფასეულობები, ქცევა და გარემო, რომელიც რეალურად არსებობს და ამავე დროს, წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს თითოეული მათგანი. „დისონანსი“ შეიძლება იმართებოდეს ან საერთოდ განადგურდეს დისონანსის წარმომქმნელი სიტუაციების აღმოფხვრით. დისონანსი შეიძლება აღმოფხვრას ჩვენი რწმენის, ფასეულობების, ქცევისა და გარემოს შეცვლის შედეგად და შეიქმნას ახალი ბალანსი რეალურ და სასურველ ვითარებას შორის არსებულ წინააღმდეგობაში. დისონანსის შემზღვეველი ქცევა შეიძლება ძალადობაშიც გამოვლინდეს, მიუხედავად იმისა მიმართული იქნება ეს ძალადობა გარე თუ ადამიანის შიდა სამყაროსაკენ.

აღნიშნულ თეორიას ემხრობა ზოგიერთი თეორეტიკოსი და მკვლევარი. პირველ რიგში უნდა ვისაუბროთ იოჰან გალტუნგზე (1969 წელი), რომლის თეორია სტრუქტურული ძალადობის შესახებ დღემდე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია კონფლიქტოლოგიაში. გალტუნგის აზრით, არსებობს სტრუქტურული განსხვავება სომატური და ფსიქიკური კეთილდღეობის რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს შორის, მისი აღქმა „მსხვერპლს“ და ფიზიკური ძალადობის გამოვლენას არ მოითხოვს. რეალურ და პოტენციურ შესაძლებლობებს შორის არსებული განსხვავების შესამცირებლად ყველასათვის თანაბარი საშუალებები არ არსებობს. ურთიერთობათა იერარქიის ქვედა საფეხურზე მყოფთ გარკვეულ ეთნიკურ, რელიგიურ ან სხვა ჯგუფში უნებლიეთ გაწევრიანების გამო ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა დაიკმაყოფილონ ეკონომიკური, პოლიტიკური, განათლების, სამართლებრივი და სხვა მოთხოვნილებები. სტრუქტურული ძალადობა წარმოიქმნება ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც არსებობს ინსტიტუციონალიზებული რასიზმი და გარშემორტყმულია იმპერიალისტური საზოგადოებებით: „თვითონ მთავრობის წარმომადგენლებს შორის, რომლებიც რესურსებს ანაწილებენ, ძალაუფლება არათანაბრად არის გადანაწილებული“ (1969 წელი, გვ. 171).

როდესაც სტრუქტურული ძალადობა ობიექტურიდან სუბიექტურ სფეროში გადაიზრდება, ლიბერული სისტემა ამოქმედდება და მონაწილეები (აქტორები) განახორციელებენ ძალადობრივ ქმედებებს იმ პირობის მიმართ, ვინც მათ ავიწროებს ან აპირებს შეავიწროოს.

თედ რობერტ გურმა (1970 წელი) განავრცო სტრუქტურული ძალადობის თეორია და შემოიტანა შედარებითი დებრივაციის კონცეფცია, რაც გულისხმობს აღიარებულ განსხვავებას „ფასეულობის მოლოდინსა“ (რესურსები, რომლებსაც ადამიანი მის კუთვნილად მიიჩნევს) და „ფასეულობის ქონის შესაძლებლობას“ (რესურსები, რომლის მოპოვება ადამიანს შეუძლია) შორის. რაც უფრო დიდია „ფასეულობის მოლოდინსა“ და „ფასეულობის ქონის შესაძლებლობას“ შორის „საშუალო ხარისხი“, მით უფრო დიდი მოცულობისაა შედარებითი დებრივაცია; რაც უფრო დიდია შედარებითი დანაკლისის ინტენსივობა და მოცულობა კოლექტივის წევრებს შორის, მით უფრო დიდია მათ მიერ კოლექტიური ძალადობის განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც პოლიტიკურ ძალადობასაც მოიცავს (გური, 1970 წელი, თავი 2, 3, 6, 8; გვ. 360-367).

გალტუნგის (1964 წელი, სმიტის გამოცემა, 1974 წელი, გვ. 275) “რანგის უთანასწორობის” კონცეფცია გულისხმობს სოციალურ-ეკონომიკური განზომილების სხვადასხვა ინდიკატორის მონაწილეების (აქტორების) არათანაბარ მდებარეობას ურთიერთობათა იერარქიაში. ერთი ინდივიდი შეიძლება გარკვეული ინდიკატორით (მაგ. განათლება) უფრო მაღლა იყოს, მაგრამ სხვა ინდიკატორით (მაგ. დასაქმება, შემოსავალი, საცხოვრებელი პირობები) უფრო დაბლა. გალტუნგის სქემაში აქცენტი კეთდება არა იმ მონაწილეზე, რომელიც ყველა ინდიკატორით დაბლა დგას, არამედ იმ მონაწილეზე, რომელსაც გააჩნია „ზემდგომი-ქვემდგომი“ სტატუსები და იგი ძალადობრივ ქმედებას განახორციელებს ბალანსის დამრღვევი წყაროს მიმართ (გალტუნგი, 1964 წელი, სმიტი 1971 წელი, გვ. 275): „აგრესია, უმეტეს შემთხვევაში წარმოიქმნება ისეთ სოციალურ გარემოში, სადაც არის რანგის უთანასწორობა. ინდივიდთა სისტემაში აგრესიამ შეიძლება მიიღოს დანაშაულის, ჯგუფის სისტემაში რევოლუციის, ხოლო ერის სისტემაში ომის ფორმა. მაგრამ აღნიშნული უკიდურესი ფორმები შეიძლება არ გამოვლინდეს იმ შემთხვევებში, თუ: (1) რანგის გათანაბრების სხვა საშუალებები სრული ზემდგომი კონფიგურაციის მიმართ უკვე გამოყენებულია და (2) მოცემულ კულტურაში ძალადობრივი აგრესიის შემთხვევები უკვე არსებობს.“

როდესაც სტრუქტურული ძალადობა – იქნება ეს გურის “შედარებითი დებრივაციის” კონცეფცია თუ გალტუნგის “რანგის უთანასწორობა” – გადაიზრდება ძალადობის გამოვლენის ფორმაში ინდივიდის მდგომარეობის შეცვლის მიზნით, მაშინ იგი მოიცავს

ფრუსტრაცია—აგრესიას.

დოლარდისა და მისი კოლეგების განსაზღვრებით, რომელთა ნაშრომი „ფრუსტრაცია და აგრესია“ (1939 წელი) „ყველაზე მეტ გამოკვლევას მოიცავს აგრესიის თეორიის შესახებ“ (მეგარე და ჰოკანსონი, 1970 წელი, გვ. 22), ფრუსტრაცია არის: „მიზნისა და მისი მიღწევის გამოვლენაში ჩარევა ქცევის თანმიმდევრობის შესაფერის მომენტში“ (დოლარდი, 1939 წელი, გვ. 7). პირველადი განსაზღვრების მიხედვით გალიზიანება (ფრუსტრაცია) მოიცავს აგრესიის აუცილებელ და საჭირო პირობებს:

ამ კონცეფციას საფუძვლად უდევს მოსაზრება იმის შესახებ, რომ აგრესია ყოველთვის ფრუსტრაციის შედეგია. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, აგრესიული ქცევის გამოვლენას ყოველთვის წინ უძღვის ფრუსტრაციის არსებობა და პირიქით, ფრუსტრაციის არსებობას ყოველთვის მოჰყვება აგრესიის გარკვეული ფორმის გამოვლენა“.

დოლარდმა და მისმა კოლეგებმა ჩამოაყალიბეს აგრესიის მრავალგანზომილებიანი განსაზღვრება: აგრესია შეიძლება იყოს აშკარა და ფარული, ფიზიკური და იდეოლოგიური, გააზრებული და გაუაზრებელი, შიდა და გარე.

აგრესიის გამოვლენა არის აგრესიის გამომწვევ ძალასა და აგრესიული აქტების აკრძალვას შორის არსებული რთული ურთიერთქმედების შედეგი:

აგრესიის გამომწვევი ძალა იცვლება ფრუსტრაციის მოცულობის მიხედვით. ფრუსტრაციის მოცულობას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: (1) ფრუსტრაციაზე პასუხის გამომწვევი ძალა; (2) ფრუსტრაციაზე პასუხის გაცემაში ჩარევის დონე და (3) ფრუსტრაციაზე გაცემული პასუხების რაოდენობა (დოლარდი, 1939 წელი, მეგარესა და ჰოკანსონის გამოცემა, 1970 წელი, გვ. 29).“

პირველადი შესწავლის დროს, ფრუსტრირებული ინდივიდი სასჯელს აღიქვამს, როგორც კონკრეტულ ქმედებას, ჩადენილს კონკრეტული ობიექტის მიმართ; შემდეგ, იმისდა მიხედვით, რომელი იქნება უფრო გავლენიანი აგრესიისადმი დარწმუნება თუ სასჯელის მოლოდინი ინდივიდი განსაზღვრავს საკუთარ ქცევას კონკრეტული ობიექტის მიმართ. აგრესიის გამომწვევამ შეიძლება უკიდურესი ფრუსტრაცია გამოიწვიოს და წარმოიქმნება შემდეგნაირი ციკლი: ფრუსტრაცია — აგრესია — აგრესიული ჩარევა — უკიდურესი ფრუსტრაცია. ამ ციკლის მართვა შეიძლება ობიექტის ან პასუხის შეცვლით: ფრუსტრირებულმა ინდივიდმა შეიძლება შეიცვალოს მიზანი ან საშუალებები, რათა შეამციროს აგრესიის გამომწვევი მიზეზების მოცულობა და გამოიწვიოს კათარზისი. გარემოებებიდან გამომდინარე, ობიექტის შეცვლამ შეიძლება მოიცვას საკუთარი თავის დასჯა: „საკუთარი თავის მიმართ აგრესიისაკენ მიდრეკილება უფრო ხშირია მაშინ, როდესაც ინდივიდს მიაჩნია, რომ თავად იგი და არა გარე აგენტი არის დამნაშავე პირველადი ფრუსტრაციის წარმოქმნაში; აგრეთვე მაშინ, როდესაც პირდაპირ აგრესიას აკავენს ინდივიდი და არა გარე აგენტი“ (მეგარე და ჰოკანსონი, 1970 წელი, გვ. 32).

დღესდღეობით, დოლარდისა და სხვა კრიტიკოსების ზეგავლენით (ბანდურა და უოლტერსი, 1963 წელი), ფრუსტრაციის განსაზღვრება შეიცვალა და მიიღო აგრესიის ხელისშემწყობი პირობის სტატუსი. ჩვენი დაინტერესების საგანი შემდეგში მდგომარეობს: რა იწვევს ინდივიდში გალიზიანებას, რაც შემდეგ ძალადობრივ ქცევაში ვლინდება?

ჯეიმს ჩოუინგ დევისმა (1962, 1973, 1986 წლები) ერთმანეთს დაუკავშირა დოლარდის ჯგუფის ფორმულირება ფრუსტრაცია—აგრესიის შესახებ და აბრაჰამ მასლოუს თეორია „მოთხოვნილებათა იერარქიის“ შესახებ. დევისის განსაზღვრებით, არსებითი და განხორციელებადი მოთხოვნილებები განაპირობებს გამოვლენილი კონფლიქტის პროცესის

გადაზრდას აგრესიულად გამოვლენილი კონფლიქტის პროცესში: „ძალადობა... წარმოიქმნება მაშინ, როდესაც კონკრეტული ბუნებრივი მოთხოვნილებები არ არის დაკმაყოფილებული“ (დევისი, 1973 წელი, გვ. 251).

ჯონ ბარტონმა (1979, 1990, 1990 წლები) თავის ჰიპოთეზაში დააკავშირა ფრუსტრაცია და ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, როგორცაა პიროვნული, უსაფრთხოების, აღიარების, ავტონომიის, ღირსებისა და სიამაღლის მოთხოვნილებები: 'თეორია ადამიანის მოთხოვნილებების შესახებ ამტკიცებს, რომ არსებობს გარკვეული ონტოლოგიური და გენეტიკური მოთხოვნილებები, რომლებიც სოციალიზაციის პროცესში უნდა დაკმაყოფილდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიქმნება ფრუსტრაცია, რომელიც ინდივიდებსა და ჯგუფებს ანტი-სოციალური ქცევისაკენ უბიძგებს. ისეთ გარემოში, სადაც ინდივიდის პიროვნული და სხვა მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია, სოციალიზაცია შეუძლებელია. ინდივიდები ასეთ გარემოში აგრესიულად იქცევიან. ისეთი ქცევა, რომელიც წარმოადგენს პასუხს ფრუსტრაციაზე, ხშირ შემთხვევაში, აგრესიული და გამანადგურებელია, მაგრამ ამგვარ კონტექსტში სავსებით გასაგებია' (ბარტონი, 1990 წელი, გვ. 33-34).

ოთხივე პარადიგმა კონფლიქტის შესახებ ასახულია "დისონანსის" ქვეკატეგორიაში: სტრუქტურული ძალადობა მოიცავს შედარებით ღებრივაციას და რანგის უთანასწორობას; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი გამოხატულია ინსტიტუციონალიზებულ რასიზმსა და იმპერიალიზმში; ეს შეიძლება მიეკუთვნოს როგორც პოლიტიკურ იდეალიზმს, მარქსიზმსა და არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებას, ისე პოლიტიკურ რეალიზმს.

ფრუსტრაცია—აგრესია ოთხივე კატეგორიას მიეკუთვნება. ძირითადი მოთხოვნილებების თეორია პირადად მე მივაკუთვნე არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებას; მაგრამ ამავე დროს, დანარჩენ სამ კატეგორიასაც ეხება (უსაფრთხოების მოთხოვნილება ძალიან ახლოსაა პოლიტიკურ რეალიზმთან).

ძალადობრივი კონფლიქტი შეიძლება განიხილოს პიროვნულ, ჯგუფურ, ორგანიზაციების, საერთაშორისო და სხვა დონეებზე. კონფლიქტის მონაწილეებზე გავლენას ახდენს ყველა დონეზე მიმდინარე პროცესი. ამას მოიცავს უოლცის 'ფასეულობათა ჩარჩო' (მიუხედავად იმისა, რომ უოლცის დაინტერესების საგანს საერთაშორისო ომის წარმოშობის მიზეზების დადგენა წარმოადგენს). უნდა გავითვალისწინოთ ჯონ პოლ სკოტის (1958 წელი, გვ. 2) მოსაზრება: 'ნებისმიერ სიტუაციაში ადამიანის ქცევას განაპირობებს ყველა დონეზე მიმდინარე პროცესი.'

სოციალური დონე

ყველაფერი, რაც ითქვა ინდივიდუალურ დონეზე მიმდინარე პროცესების შესახებ, შეიძლება დაუკავშიროთ სოციალურ დონეს. მართალია, არსებობს სერიოზული განსხვავებები განქორწინების პროცესსა და საერთაშორისო ომს შორის, მაგრამ ანალიზის ნებისმიერ დონეზე ინდივიდს, როგორც გადაწყვეტილების მიმღებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამის გამო, ინდივიდუალურ დონეზე მიმდინარე პროცესები და მოვლენები მნიშვნელოვანია. ჯონ ბარტონი ინდივიდუალურ დონეს აიგივებს ახსნის ერთეულთან: 'ესაა სოციალური ცვლილებისა და მისდამი წინააღმდეგობის გაწვევის ახსნის საფუძველი' (ბარტონი, 1984 წელი, გვ.19). ეს არგუმენტი რელუქციონიზმს მხარს არ უჭერს (იხ. კელმანი, 1965 წელი, გვ. 5-6): განქორწინების პროცესი არ შეიძლება ავტომატურად გადაიზარდოს საერთაშორისო ომში (თუმცა არსებობს გარკვეული მსგავსება ამ ორ პროცესს შორის: ინიციატივა და ესკალაცია).

აღსანიშნავია რობერტ ნორტისა და მისი კოლეგების ნაშრომი იმ კრიზისის შესახებ, რომელიც შემდეგ პირველ მსოფლიო ომში გადაიზარდა. ერთობლივი ანალიზის შედეგად მათ

დაადგინეს დამოკიდებულება მოლოდინსა და ქმედებას შორის და ჩამოაყალიბეს შემდეგი მოსაზრება:

თუ შფოთვის, შიშის, საფრთხისა და ტრავმის მოლოდინი სერიოზულია, მაშინ ადამიანს წაგების მოლოდინიც ვერ შეაჩერებს ომში მონაწილეობისაგან (ზინესი, ნორტი, კოხი, 1961 წელი);

ისეთ სიტუაციაში, რომელშიც ინდივიდის ჩარევა სერიოზულია, მონაწილე შეეცდება:

– გადაჭარბებული რეაგირება მოახდინოს მოწინააღმდეგის ქმედებებზე (პოლსტი, ნორტი და ბროდი, 1968 წელი).

ზემოაღნიშნული მოსაზრება “კონკურენციას “ უწევს სპინოზას თეზისს იმის შესახებ, რომ ძალადობა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ვნება დომინირებს საღ აზრზე; აგრეთვე მაკლეინის თეორიას შიზოფიზიოლოგიის შესახებ – შესაძლო ან რეალური თავდასხმის საშიშროებით გამოწვეულ სტრესულ მდგომარეობაში, ლიმბური ტვინი დომინირებს ნეოკორტიკულ ტვინზე, რაც იწვევს მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობაზე ემოციურ (ძალადობრივ) პასუხს.

როდესაც ასე ხასიათდება კონფლიქტის მონაწილე ორი მხარე, კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს დეტერმინისტულ და უმართავ პროცესში. ლუის რიჩარდსონმა (1939 წელი) შექმნა თეორია ქმედება-რეაგირების შესახებ. იგი შეეცადა მათემატიკურად გამოეთვალა ამგვარი პროცესების დინამიკა. მისი აზრით, ასეთი პროცესები მაშინ წარმოიქმნებოდა, როდესაც ადამიანები არ წყვეტდნენ ფიქრს (ჩემი პირადი აზრი არის ის, რომ ადამიანები, განსაკუთრებით მამაკაცები, “წყვეტენ ფიქრს“ ესკალირებული კონფლიქტის სიტუაციაში. ჩემი მოსაზრება მიეკუთვნება რეალპოლიტიკის ჩარჩოს).

თუ აღნიშნული დინამიკა წარმოიქმნება საზოგადოების შიგნით პოლიტიკური სტატუს-კვოს დამცველებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, მაშინ დამცველებმა შეიძლება მიმართონ (რასაც მე ვუწოდებ) “უძველეს პოლიტიკურ ჰიპოთეზას“ – “როდესაც ქვეყნის მკვიდრი შფოთავენ და ომში მონაწილეობის მიღების ემინიათ!“ გეორგ რიმელმა (1959 წელი, გვ. 98) ჩამოაყალიბა მოსაზრება: “კონკრეტულ ჯგუფში ელიტარები ცდილობენ ჰყავდეთ მტრები, რათა ჯგუფის წევრებისთვის ერთად ყოფნა სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს.“

არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ადამიანმა უნდა “გამოიგონოს“ მტრები, იმ მიზნით, რომ შეინარჩუნოს საკუთარი როლი და “ჯგუფისადმი იდენტურობა“. ეს მოსაზრება ფროიდის თეორიასთან არის ახლოს: იმისათვის, რომ მონაწილეებმა (აქტორებმა) თავიდან აიცილონ თანატოლის მიერ გამოწვეული „აფეთქება“, ისინი უნდა შეეცადონ ეროსის მიერ გამოწვეული მტრული გრძნობა სხვებზე გადაიტანონ. აღსანიშნავია ვამიკ ვოლკანის (1985, 1987 წლები) თეზისი იმის შესახებ, რომ არსებობს როგორც მტრის, ისე მოკავშირის ყოლის მოთხოვნილება.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ინდივიდმა საკუთარი როლი და ჯგუფისადმი იდენტურობა ყველა ღონეზე აგრესიის გამოვლენით უნდა შეინარჩუნოს, შეიძლება დაუკავშირდეს უილიამ გრეკემ სამნერის (1906 წელი) ეთნოცენტრიზმის თეორიას. მისი აზრით, ეთნოცენტრიზმი მთელი კაცობრიობისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა: “თითოეული ჯგუფი იღვივებს სიამაყის გრძნობას, ხაზს უსვამს საკუთარ უპირატესობას და ზიზღით უყურებს ჯგუფის გარეთ მყოფთ“ (უილიამ გრეკემ სამნერი, 1906 წელი, გვ. 12-13; ლევინი და კემპელი, 1972 წელი, გვ. 8).

მცდელობა, ხალხი დაიყოს კატეგორიებად “ჩვენ“ და “ისინი“ და “ჩვენი“ რისხვა “მათ“ მიმართ იყოს მიმართული, ჯონ პფაიფერის (1979 წელი, გვ. 92) აზრით, “ჩვენში წარსული

დროიდან არსებობს, ან შეიძლება დაბადებიდან მოგვეყვებოდეს.“ ედუარდ უილსონი (1979 წელი, 122-123) აცხადებს, რომ “ჩვენი ტვინი შედგენილია არის დაპროგრამებული: ჩვენ ადამიანებს ვყოფთ მეგობრებად და უცხოებად. უცხო ადამიანის ქმედების გვეშინია და კონფლიქტის მოგვარებას აგრესიის გამოყენებით ვცდილობთ. პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: ჩვენი თანდაყოლილი მსოფლმხედველობა არქაულ პერიოდში ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში უცხო ადამიანის დანახვა პიროვნებაში შიშსა და აგრესიულ ქმედებას იწვევდა“ (პფაიფერი, 1984 წელი, გვ. 92). თანამედროვე მსოფლიოში “ფართომასშტაბიანი ძალადობა რეგრესად შეიძლება ჩაითვალოს“. აგრესიას წარსულში გარკვეული აზრი ჰქონდა, მაგრამ დღეს იგი სრულიად გაუმართლებელია.

ზემოაღნიშნული თეორია ჯგუფის წევრებსა და უცხოებს შორის კონფლიქტის შესახებ შეიძლება დავუკავშიროთ ბარტონის (1984 წელი, გვ.3,6,77) თეზისს: “კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის] ნებისმიერი პოტენციური კონფლიქტის წყარო არის თითოეულ სისტემაში არსებული “ნაკლის“ შედეგი, რომელიც საზოგადოების თითოეულ წევრს საფრთხეს უქმნის, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა გარეშე საფრთხე...ასეთ “ნაკლად“ შეიძლება ჩაითვალოს ეთნიკური კონფლიქტი, რასობრივი მღელვარებები, ქუჩის ძალადობისა და უმუშევრობის მაღალი დონე, შესაძლებლობებისა და შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება.“

სერბებისა და ხორვატების კონფლიქტი ბოსნია-ჰერცეგოვინაში და სომხეთ-აზერბაიჯანის უთანხმოება მთიანი ყარაბაღის შესახებ ნათელი მაგალითია “ცივი ომის“ შემდგომი პერიოდის „სისტემის მარცხისა.“ ამკარაა, რომ ეთნიკური კონფლიქტი ქვეყნის საზღვრის გარეთ შეიძლება გამოვიდეს (იხ. სანდოლი, 1991 წელი).

ბარტონის აზრით, სოციალური სისტემის “ნაკლის“ წყარო შეიძლება იყოს არსებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემა. ჯონ ჰობსონი (1965 წელი) ამტკიცებს, რომ იმპერიალიზმი იყო კაპიტალიზმის არასწორი დანერგვის შედეგი: (ა) ჭარბი წარმოება მდიდარი ელიტისათვის, (ბ) მიწოდების შემცირება გალატაკებული უმრავლესობის ხარჯზე. ამგვარი სტრუქტურული უთანასწორობა შეიძლება გახდეს საზოგადოების შიგნით გალტუნვის სტრუქტურული ძალადობის წარმოქმნის ‘ობიექტური პირობა“.

ჰობსონისა და სხვებისაგან ლენინმა გაიზიარა მოსაზრება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმი არის “კაპიტალიზმის უმაღლესი დონის“ გამოვლენის შედეგი. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნები ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროებენ რესურსების დიდ რაოდენობას. ამის გამო, ისინი შეეცდებიან მოიპოვონ იაფი მუშახელი, ნედლეულის რესურსები და გარანტირებული ბაზარი.

მსოფლიოში, სადაც კოლონიების ყოლის შესაძლებლობა არსებობს, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობა ემსგავსება პოტენციური ომის მუდმივ მდგომარეობას, ხოლო „ექსპლუატირებულთა“ და „ექსპლუატატორთა“ ურთიერთობა ქმნის ობიექტურ პირობებს საზოგადოებებს შორის სტრუქტურული ძალადობის განსახორციელებლად. ამიტომ, ლენინის აზრით, საერთაშორისო სისტემაში, რომელშიც კაპიტალისტური ქვეყნები დომინირებენ, ფართოდ გავრცელებული იქნება საერთაშორისო კონფლიქტები.

ამავე დროს, ნაზლი ჩოუკრი და რობერტ ნორტი (1975 წელი) ამტკიცებენ, რომ მოსახლეობის ზრდა და რესურსების მოთხოვნა ეკონომიკის განვითარების შესაანარჩუნებლად, ტექნოლოგიების გაუმჯობესება, გამოიწვევს „თანმდევ ზეწოლას“; საზოგადოება იძულებული იქნება, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიას გასცდეს და მოიპოვოს მისთვის საჭირო რესურსები. პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია „თანმდევ ზეწოლისათვის“ არის დამახასიათებელი.

ჰობსონის და ლენინის მიერ აღწერილ იმპერიალიზმის პირობებში კონფლიქტური სიტუაციები უფრო ხშირია, რადგან სასურველი რესურსების მოპოვება უფრო ნაკლებად შესაძლებელია. ამის გამო, სახელმწიფოებმა რესურსების მოსაპოვებლად შეიძლება ძალა გამოიყენონ. ჩოუკრიმ და ნორტმა კავშირი დაადგინეს ქვეყნის შიდა ზრდას, ეროვნულ ექსპანსიას, სამხედრო ხარჯებს, ალიანსებსა და საერთაშორისო საზოგადოებას შორის.

საერთაშორისო დონე

რაც უფრო მეტად ასახავს საერთაშორისო სისტემა ჰობსონის მოსაზრებას “საერთაშორისო ანარქიის შავი ხვრელის“ შესახებ, მით უფრო საყურადღებოა რაპოპორტის (1974 წელი, გვ. 175) მოსაზრება ეგზოგენური (ენდოგენურისგან განსხვავებით) კონფლიქტური გარემოს შესახებ: “ენდოგენური კონფლიქტი ისეთი კონფლიქტია, რომელშიც კონფლიქტური სისტემები უფრო დიდი სისტემის ნაწილია, მას გააჩნია საკუთარი მექანიზმები იმისათვის, რომ გააკონტროლოს ან მოაგვაროს კონფლიქტი [ეგზოგენურ კონფლიქტის გარემოში მოგვარებისა და კონტროლის ბევრი მექანიზმი არ არსებობს].

რაც უფრო “ეგზოგენურია“ კონფლიქტის გარემო, „მით უფრო მეტი ომი დაიწყება, რადგან არ არსებობს მათი შეჩერების ეფექტური მექანიზმები“ (უოლცი, 1959 წელი, გვ. 232). კონფლიქტურ სიტუაციაში გადამწყვეტი როლი ენიჭება “ერი-სახელმწიფოზე ზემდგომ“ გადაწყვეტილების მიმღებს. „რეალისტების“ აზრით, ეროვნული უსაფრთხოების შელახვა მხოლოდ ერი-სახელმწიფოს დონეზე გადასაწყვეტი პრობლემა არ არის. უოლცი ამტკიცებს, რომ ომი წარმოიქმნება საერთაშორისო დონეზე და მას გააჩნია მიზეზები, რომლის არსებობის შემთხვევაში ომი შეიძლება დაიწყოს, მაგრამ არსებობს უშუალო და რეალური მიზეზებიც, რომლებიც პირველ (ინდივიდუალურ) და მეორე (სოციალურ) დონეებზე წარმოიქმნება.

ომის წარმოქმნის ან შეჩერების საშუალებები გარემოსთან მიმართებაში იცვლება. მათ ცვლილებას განაპირობებს ისიც, თუ როგორია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა – ბიპოლარული თუ მრავალპოლარული.

კარლ დოიჩი და ჯ. დევიდ რინგერი (1964 წელი) აიგივებენ მრავალპოლარულ სისტემას საერთაშორისო ურთიერთქმედების შესაძლებლობებთან, პლურალიზმსა და სტაბილურობასთან. ამ ფაქტორების არსებობისას ომის წარმოქმნის შესაძლებლობა ნაკლებია. კენეტ უოლცის (1967 წელი) ბიპოლარულობა ნიშნავს უბრალოებას, განსაზღვრულობას, მართვადობას, სტაბილურობასა და ომის წარმოშობის ნაკლებ შესაძლებლობას.

მცდელობამ, გადაეწყვიტათ სისტემის პოლარულობა-სტაბილურობის საკითხი (იხ. როზენკრანცის “ბიმულტიპოლარულობა“, 1966 წელი), ემპირიულ უზუსტობამდე მიგვიყვანა. თეორიული საკითხის გადაწყვეტისას ჯ. დევიდ სინგერმა და მისმა თანამშრომლებმა პროექტში ომის კორელატები, ბიპოლარულობა უარყოფითად დაახასიათეს და მეცხრამეტე საუკუნის ომებს დაუკავშირეს. მეოცე საუკუნესთან მიმართებაში ბიპოლარულობა დადებითად დააკავშირეს ომთან. სინგერისა და დოიჩის მოსაზრებები

მრავალპოლარულობა-სტაბილურობასთან დაკავშირებით საინტერესოა მეოცე საუკუნესთან (1945 წლამდე) მიმართებაში, ხოლო უოლცის ბიპოლარულობა-სტაბილურობის მოსაზრება - მეცხრამეტე საუკუნესთან მიმართებაში.

„ცივი ომის“ დამთავრებამ 1989-1991 წლებში და ბიპოლარული აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის მრავალპოლარული სისტემით შეცვლამ გამოიწვია ეთნიკური კონფლიქტებისა და ნაციონალისტური გრძნობების აღზვევა აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამ მოვლენებით დაინტერესდნენ სპეციალისტები, რომელთა

შორისაც არის რობერტ ჰანტი (1989 წელი). მან განაცხადა: „არსებულ ვითარებაში არის სერიოზული საშიშროება, რომ წარმოიშვას ომი ევროპის რეგიონში.“

„ახალი მრავალპოლარულობის“ საშიშროებას ამტკიცებს ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური, მასობრივი განადგურების იარაღისა და სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელება (იხ. სპექტორი, 1987 წელი; ~The Economist~, 1992 წელი; ბუდიანსკი, 1992 წელი, რობინსი, 1992 წელი). საერთაშორისო ვითარება მიდის იმისკენ, რომ დამყარდეს მორტონ კაპლანის (1957 წელი) მიერ განსაზღვრული ერთეული ვეტოს სისტემა, რომელშიც თითოეულ სახელმწიფოს შეუძლია თავისი მოწინააღმდეგე განადგუროს.

იარაღის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: განვითარებად ქვეყნებს (სამხრეთს), ნაწილობრივ, შესაძლებლობა ეძლევათ გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც ჩრდილოეთთან ურთიერთობის შედეგად დასუსტებულია. ბრენდტის კომისიის (1980 წელი) მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობის 1/4-ს (ჩრდილოეთში) გააჩნია მსოფლიოში არსებული შემოსავლის 4/5, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის 3/4-ს (სამხრეთი) გააჩნია მსოფლიოში არსებული შემოსავლის 1/5. აგრეთვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: ჩრდილოეთში თითოეული ადამიანი დაახლოებით 70 წელი ცხოვრობს; ის იშვიათად განიცდის შიმშილის გრძობას და საშუალო განათლება მიღებული აქვს. სამხრეთის ქვეყნებში მოსახლეობის უმრავლესობა 50 წლამდე ცხოვრობს; ლატაკ ქვეყნებში ყოველი მეოთხე ბავშვი 5 წლის ასაკამდე კვდება; სამხრეთის მოსახლეობის 1/4 ან მეტი განიცდის შიმშილს და საკვების ნაკლებობას; მოსახლეობის 50% გაუნათლებელია.

ეს მონაცემები ეხმიანება მარქსისტულ (აგრეთვე იდეალისტურ, არამარქსისტულ რადიკალურ აზროვნებას და რეალისტურ) თეორიას და შეიძლება იყოს გალტუნგის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ძალადობა.

გლობალური დონე

ნორტის განსაზღვრებით (1990 წელი, გვ. 25), გლობალური წარმოსახვა საშუალებას მოგვცემს “გავიგოთ, თუ როგორ ურთიერთქმედებს ერთმანეთთან სოციალური და ბუნებრივი გარემო ხმელეთზე, ზღვასა და საჰაერო სივრცეში.“ ნორტი დაინტერესებულია პირველი სამი წარმოსახვის (დონის) გამოვლენით გლობალურ დონეზე: ‘ბუნებრივ გარემოში მცირედი ჩარევაც კი ართულებს ჩვენი ცხოვრების პირობებს. ამავე დროს, ჩვენი საქმიანობა უარყოფით გავლენას ახდენს როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ გარემოზე.“

აღსანიშნავია, რომ მეოთხე, გლობალური დონის, მნიშვნელობა შევიწროვებულია “თანმდევი ზეწოლით“ (ჩოუკრი და ნორტი, 1975 წელი), რომელიც ვლინდება მოსახლეობის ზრდაში, ტექნოლოგიის გაუმჯობესებასა და მოსახლეობის მიერ რესურსების ძიებაში“ (ნორტი, 1990 წელი, გვ. 188). ჯესიკა მეტიუსი (1992 წელი) გვიჩვენებს, თუ როგორ გადაიზრდება ზემოაღნიშნული ფაქტორები ძალადობრივ კონფლიქტში. მე ამ პროცესს “მალთუსის კომპარის გამეორება“ ვუწოდებ. “სიღარიბე და გარემოს გაუარესება ერთმანეთთან კავშირშია. არც ერთი მათგანი დემოკრატიისთვის სასარგებლო არ არის. როდესაც მიწის ნაყოფიერება მცირდება და იზრდება ლატაკი მოსახლეობის რაოდენობა, წარმოიქმნება სტაგნაცია ან ეკონომიკური დაცემა. ამ პროცესს მივყავართ ფრუსტრაციამდე, უკმაყოფილებამდე, პოლიტიკურ არეულობასა და ძალადობამდე“ (მეტიუსი, 1992 წელი).

ნორტმა განაცხადა (1990 წელი, გვ. 24): “მეოთხე წარმოსახვა, ანუ გლობალური დონე, სათანადოდ განვითარებული და მიღებული ანალიტიკური კონცეფცია არ არის, მიუხედავად იმისა, რომ წარმოიქმნა მისი აღიარების აუცილებლობა.“ მის წიგნსა და მერი კლარკის

ნაშრომში “აზროვნების ახალი მოდელების ძიებაში“ (1989 წელი) აღნიშნულია, რომ ყურადღება უნდა მიექცეს გლობალურ პრობლემებს, რადგან მათ მოგვარებაზე კაცობრიობის გადარჩენა არის დამოკიდებული.

კონცეპტუალური ინტეგრაცია თუ დაძაბულობა: ერთიანი თეორიის არსებობის საკითხი

დავუბრუნდეთ ჩვენს პირვანდელ კითხვას: შეგვიძლია თუ არა რაიმეს თქმა ძალადობრივი კონფლიქტისა და მისი მოგვარების გზების შესახებ? თუ შეგვიძლია, იქნება თუ არა ჩვენი შემოთავაზება “თანმიმდევრული“? ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ მეცნიერებს აქვთ გარკვეული მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

დავიწყებ ჯონ პოლ სკოტისა და კენეტ უოლცის მოსაზრებებით: აუცილებელია შეიქმნას გარკვეული “ჩარჩო“, რომელიც აღიარებს კონფლიქტისა და ძალადობის მამოძრავებელი ფაქტორების არსებობას ყველა დონეზე. მათი მოსაზრებები ერთიანდება გენერირიკულ თეორიაში, რომელიც ეხება ძალადობრივი კონფლიქტის ინიცირებასა და ესკალაციას და კონფლიქტის მოგვარების საშუალებების დანერგვას:

- (1) არსებობს ფიზიოლოგიური მექანიზმი, რომელიც მოითხოვს სტიმულირებას ძალადობრივი ქმედების განსახორციელებლად. მასზე გავლენას ახდენს შესწავლა (სკოტი, ბანდურა);
- (2) შესაძლო ან რეალური საშიშროების დროს, როდესაც ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები, როგორცაა უსაფრთხოების, პიროვნული და სხვა მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელია, ფსიქოლოგიური მექანიზმები (ლიბბური სისტემა) დომინირებს მონაწილის ნეოკორტიკულ რაციონალურობაზე (მაკლეინის შიზოფიზიოლოგია). ამის შედეგად უფრო ხშირია ძალადობრივი პასუხის გაცემა ფრუსტრაციაზე (დევისი, ბარტონი, დოლარდი);
- (3) ფრუსტრაციას შეიძლება მოჰყვეს სტრუქტურული ძალადობა (გალტუნგი), რომლის მიზეზია რანგის უთანასწორობა და შედარებითი დეპრივაცია (გური);
- (4) ფრუსტრაციაზე აგრესიულ პასუხს იწვევს ეთნოცენტრიზმი (სამნერი) და რეალპოლიტიკა;
- (5) როდესაც ორი ან მეტი მონაწილე (აქტორი) წარმოადგენს კონფლიქტის მხარეებს, მაშინ ფრუსტრაციამ ან აგრესიამ შეიძლება გამოიწვიოს კვაზიდე-ტერმინისტული სპირალი, მსგავსი რიჩარდსონის მიერ აღწერილი ქმედება-უკუქმედების პროცესებისა (სადაც ადამიანები ფიქრს წყვეტენ, მაგრამ ამჯერად უკვე რეალპოლიტიკის ჩარჩოებში). რაც უფრო მეტად არიან ჩაბმული მონაწილეები (აქტორები) ამ პროცესში, მით უფრო იზრდება იმის შანსი, რომ ისინი გადაჭარბებით აღიქვამენ და გადაჭარბებულად რეაგირებენ მათი მოთხოვნილებების წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებზე, რითაც დასაბამს აძლევენ სპირალს (მაკლეინის შიზოფსიქოლოგია; კოესტლერის “მოჩვენება მანქანაში“) და იზრდება იმის შესაძლებლობა, რომ იგი გადაიზარდოს თვით-განხორციელებად წინასწარმეტყველებაში;
- (6) „კონფლიქტის პროცესი“ შეიძლება გამწვავდეს გარემოს “შოკის“ და უზუსტობის ზეგავლენით, რომელიც საერთაშორისო და გლობალურ დონეზე არსებობს (მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება (კაპლანი) და “მალთუსის კომპარის გამოკრება“ (ჩოუკრი და ნორტი; კლარკი; მეტიუსი));

(7) „კონფლიქტი როგორც პროცესი“ არის მოვლენა, რომელშიც მესამე მხარე ერევა. მათი მიზანია შექმნან “სასწაული“, რომლის შედეგადაც რეალპოლიტიკით განპირობებული კონფლიქტის მოგვარების საშუალება, რომელსაც თან სდევს შეჯიბრის პროცესი, გარდაიქმნება იდეალისტური პოლიტიკით განპირობებულ თანამშრომლობით პროცესში. ამ ელემენტების ჩართვა თეორიასა და პრაქტიკაში მოგვიანებით იქნება შესაძლებელი.

საქართველოს თავისუფალ ქვეყნად ჩამოყალიბების პრობლემები

შოთა ნადირაშვილი

ჩვენი ქვეყანა სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების რთულ გზაზე დგას. იგი გარდამავალ საფეხურზეა, კოლონიალური მდგომარეობიდან გამოვიდა და თავისუფალ სახელმწიფოდ უნდა იქცეს.

საბჭოთა კავშირის შემდეგ სხვა რესპუბლიკებთან ერთად საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მის წინაშე დგას ამოცანა, ჩამოყალიბდეს თავისუფალ, ეროვნულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ამ ამოცანის შესასრულებლად მრავალი პრობლემის გადაწყვეტაა საჭირო. იგი უნდა იქცეს, ერთ მთლიან, სახელმწიფოებრივ ერთეულად და სხვა სახელმწიფოებთან ნორმალური ურთიერთობა დაამყაროს. ამავე დროს, შიგნით, თავისი მხარეები, რაიონები, ორგანიზაციები, პარტიები და სხვა ერთეულები მან ერთიანი სახელმწიფოს სახით უნდა გააერთიანოს. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ისტორიული გამოცდილება, რაც ქართველმა ერმა დააგროვა და სახელმწიფოს მართვის ის ფორმები, რაც თავისუფალმა ქვეყნებმა შეიმუშავეს. არსებობს მოთხოვნების გარკვეული ერთობლიობა, რომელთა გათვალისწინების საფუძველზე შესაძლებელია ერის სულიერი და მატერიალური კულტურის შემდგომი განვითარება, ერის სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ერის თავისუფალ სახელმწიფოდ გადაქცევა.

საქართველოს სახელმწიფოდ ფორმირების პროცესში არსებობის საკითხების რიგი, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების მიერ სათანადოდ არ არის გათვალისწინებული. ამის გამო იქმნება პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ამ საკითხების გარკვევას მოითხოვს. აღნიშნული საკითხებიდან ჩვენ შევეხებით შვიდს. ესენია:

1. ერის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება, 2. ქართული კულტურის ტიპი და მისი კავშირი უფლებისა და მოვალეობის კატეგორიებთან, 3. ერი და პიროვნება, 4. ადამიანისა და ერის უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთობა, 5. კორუფციის სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები, 6. ჩვენს საზოგადოებაში პიროვნების ფორმირების პირობათა დეფიციტია, 7. ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს შინაგანი სტრუქტურისა და სხვა სახელმწიფოთა მოთხოვნების ურთიერთშეთავსება.

1. ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების საკითხი. დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ არ არის თავისუფლება. ქართველი ერი 200 წელი დამოუკიდებლობაზე ოცნებობდა. ჩვენი ლიტერატურა და კულტურა ამ იდეით იყო გაჟღერებული. დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, მაგრამ თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენება ძნელი ყოფილა. თურმე, დამოუკიდებლობა სულაც არ ნიშნავს თავისუფლებას. ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ნორმალური სახელმწიფოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც გარეთ. ძველი სოციალური კავშირები, რომლებიც არ მოგვწონდა, დაირღვა, მაგრამ ახალი, სასურველი კავშირების ჩამოყალიბება ვერ მოვახერხეთ.

აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობა და თავისუფლება არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ცნებებს, სამწუხაროდ, ხშირად ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარობენ. სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალისტებისათვის პიროვნების ფორმირების შესწავლის დროს ნათელი გახდა, რომ ბავშვი პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში ბევრი რამისგან ხდება დამოუკიდებელი, მაგრამ თავისუფლებისაგან იგი მაინც ძალიან შორს არის. ერიც შეიძლება იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ცნობილმა სოციალურმა ფსიქოლოგმა და ფსიქოანალიტიკოსმა ე. ფრომმა სათანადო ანალიზის საფუძველზე უჩვენა, რომ თავისუფ-ლებისთვის ბრძოლის პროცესში ადამიანი დიდ ფსიქოლოგიურ სიძნელებებს აწყდება და, როგორც ის ამბობს, “თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია” უჩნდება. მან დაწერა საინტერესო და ფართოდ ცნობილი წიგნი “თავისუფლებისაგან გაქცევა”, მაგრამ შემდგომში ამ საკითხების უფრო ღრმა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ერებსა და ადმიანებს უჩნდებათ დამოუკიდებლობისაგან და არა თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენცია. დამოუკიდებლობა თავისუფლების მოპოვების პირველ საფეხურს წარმოადგენს. ამ ეტაპზე ერი გამოეყოფა სხვა სახელმწიფოს, თავს აღწევს მის ბატონობას, ხდება დამოუკიდებელი, მაგრამ მას ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ თავისუფალ სახელმწიფოდ იქცეს. ერი თავისუფალი ხდება მაშინ, როდესაც იგი თვითონ ირჩევს თავისი ცხოვრების გზას, სახავს თავის მიზნებსა და ამოცანებს, თავისი სამოქმედო გეგმის მიხედვით ახორციელებს თავის საქმიანობას და თავად ხდება თავისი აქტივობის ავტორი. დამოუკიდებლობის მოპოვების დროს, როდესაც ის ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი, მას არ შეუძლია თავისი ქცევის მართვა, როგორც წესი, თავს “უპატრონოდ”, “მიგდებულად” და “უმწეოდ” თვლის. დამოუკიდებლობის მოპოვების დროს ერი, ჩვეულებრივად, კარგავს იმ მინიმალურ საარსებო პირობებსაც, რაც მას სხვისი ბატონობის პირობებში ჰქონდა. ამ დროს უჩნდება მას ტენდენცია გაექცეს ამ მძიმე, დამოუკიდებლობის მდგომარეობას. დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ოთხი გზა არსებობს, სწორედ ამ გზების დასაწყისშია დღეს ჩვენი ქვეყანა.

პირველი გზა, რითაც ერი დამოუკიდებლობით გამოწვეული იზოლაციის, გაჭირვებისა და დაუცველობის მდგომარეობისაგან გაქცევას ცდილობს, უკან დაბრუნებაში მდგომარეობს. ამ დროს ქვეყანა მძიმე მდგომარეობიდან გაქცევას ძველი მფარველი ბატონის ორბიტაში შესვლით ცდილობს. დამოუკიდებლობით გამოწვეულ მძიმე მდგომარეობას ძველი დამოკიდებულების მდგომარეობაში ყოფნა ურჩევნია. ადრე მინიმალურად მაინც იკმაყოფილებდა მოთხოვნებს, დღეს უპატრონო, უსახსრო და მიუსაფარია.

I. ყველასათვის კარგად არის ცნობილი 90-იანი წლების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები და პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ქვეყნის ხსნა დამოუკიდებლობისაგან გამოწვეული ქაოსური და ანარქიული მდგომარეობიდან უკან, რუსეთის მფარველობაში შესვლის გზით არის შესაძლებელი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ “საქართველოს რუსეთის გარეშე არ შეუძლია თავისი თავის მართვა. ჩვენი ხსნა რუსეთის მფარველობაში შესვლაში მდგომარეობს”. ამ პოზიციის განსამტკიცებლად ისინი იყენებენ დებულებას, რომ “რუსეთს საქართველოსთვის მხოლოდ სიკეთე უნდა. რუსეთს უნდა, რომ საქართველო ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო იყოს”. ამ საოცარი დებულებით მათ სურდათ დამოუკიდებლობისაგან გაქცევის ტენდენცია დაეფარათ. მაგრამ მალე, როცა სრულიად აშკარა გახდა რუსეთის მტრული აქციები საქართველოს წინააღმდეგ, მაშინ მათ “ორი რუსეთის”, კეთილი და ბოროტი რუსეთის არსებობის მტკიცება დაიწყეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათ “კეთილ რუსეთთან” დაბრუნება სურდათ. ეს ორიენტაცია დღესაც არსებობს. მას მრავალი პარტია და პოლიტიკური მოღვაწე იცავს. ასეთი საქმიანობა განწყობის ფსიქოლოგიაში “სუბიექტის გაორმაგების” პროცედურის სახელით არის ცნობილი.

II. მეორე გზა, რითაც ქვეყანა ცდილობს დამოუკიდებლობისაგან გამოწვეული გაჭირვებისაგან გაქცევას, ახალი ბატონის, მფარველის ძიებაა, რომელიც დაიფარავს, უპატრონებს მას. დღეს ჩვენში გარკვეული პოლიტიკური წრეები მეორე გზას მიმართავენ, რითაც ცდილობენ დამოუკიდებლობით გამოწვეული შფოთვის, იზოლაციის და უპატრონობის დაძლევისას. ამ გზას ჩვენმა ხელისუფლებამაც მიმართა მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ უკან, რუსეთისაკენ დაბრუნების პოლიტიკას საქართველოსათვის არავითარი სიკეთე არ მოაქვს. ხელისუფლებამ დაიწყო ახალი პატრონის ძიება. ახალ, სასურველ მფარველებს, მეგობარი ქვეყნები დაარქვეს. მათ მფარველობაში შესვლით სცადეს დამოუკიდებლობით გამოწვეული მიუსაფრობისა და სიძნელების დაძლევა. ამ გზის გასამართლებლად გამოყენებული იყო ფსიქოლოგიაში ცნობილი კონტრასტის კანონი: ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობების გადამეტებულად სუსტად და მფარველი ქვეყნის შესაძლებლობების გადამეტებით ძლიერად წარმოდგენა. ამ პროცედურით ხელისუფლება ცდილობს გაუადვილოს ხალხს დამოუკიდებლობაზე უარის თქმა, რათა თვითონ გაექცეს დამოუკიდებლობას, მისგან გამოწვეულ იზოლაციასა და უძლურების განცდას.

III. დამოუკიდებლობით გამოწვეული იზოლაციისა და შიშის დაძლევის ერი და მისი ხელისუფლება ხშირად ნევროტულ-სიტუაციურ საქმიანობაზე გადასვლით ცდილობს. ამ დროს ხელისუფლება უარს ამბობს ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე და კერძო, სიტუაციური ამოცანების გადაწყვეტით ცდილობს შექმნას დიდი პოზიტიური მუშაობის შთაბეჭდილება—იწყებს ე. წ. “ნევროტულ ფუსფუსს”. ასეთ საქმიანობას ხელისუფლება დიდ ღირებულებას ანიჭებს. მსგავსი საქმიანობის მაგალითებია ქვეყნის ტერიტორიაზე სატრანზიტო გზების მშენებლობა, ნავთობისა და გაზის მიწების გაყვანა, გარკვეულ პოლიტიკურ კავშირებში შესვლა, უცხოების მიერ მისი საქმიანობის დადებითად შეფასების მაგალითების დაგროვება. ამავე დროს ხდება რეალური ეროვნული ღირებულებების დეკლარაცია, გაუფასურება. პირადი ინტერესები დიდ მნიშვნელობას იძენენ, იზრდება მატერიალური ღირებულების ფასი, ძლიერდება კორუფცია, ასევე, იზრდება “ძლიერი, რკინის ხელის” მოთხოვნა, ძლიერი ბელადის ძიება და სხვა. ყველა ეს საქმიანობა ერსა და მის ხელისუფლებას საშუალებას აძლევს გაექცეს დამოუკიდებლობით გამოწვეულ სიძნელებს, უარი თქვას თავისუფლებისკენ სვლაზე.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი საქმიანობანი არის არა თავისუფლებისგან, არამედ დამოუკიდებლობისაგან გაქცევის გზები. ამ დროს ერი, მისი ხელისუფლება თავისუფლებისაგან როდი ახორციელებს გაქცევას. ისინი არც არიან თავისუფლები, ამიტომ მათ არ შეიძლება ჰქონდეთ თავისუფლებისაგან გაქცევის ტენდენციები. ისინი დამოუკიდებელნი არიან და არა თავისუფალნი, დამოუკიდებლობას გაურბიან და არა თავისუფლებას. ფსიქოანალიტიკოსები თავისუფლებისაგან გაქცევაზე ლაპარაკობდნენ, ჩვენ — დამოუკიდებლობისაგან გაქცევაზე.

IV. დამოუკიდებლობის დროს აღმოცენებული “მიგდებულობის, იზოლაციის და უპატრონობის” დაძლევის ერთადერთ სწორ გზას დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ სვლა წარმოადგენს. ეს არ არის დამოუკიდებლობისაგან გაქცევა. ამ დროს ერი ჯერ არ არის თავისუფალი, მაგრამ მას შეუძლია აირჩიოს ის, თუ რა უნდა გააკეთოს. თავისუფლებისაკენ სვლა ყოველთვის გარკვეულ საქმიანობას მოითხოვს. ამ საქმიანობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მიზნების დასახვა და ამოცანების ჩამოყალიბება, რომელთა შესრულებით შეიძლება თავისუფლების მიღწევა. საჭიროა გეგმის შედგენა იმის შესახებ, თუ რა თანმიმდევრობით და რა დროში უნდა განხორციელდეს დასახული ამოცანის გარკვეული ნაწილები. ამ საქმიანობის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებამ ქვეყანა ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოაყალიბოს. ამისათვის იგი თანამშრომლობაში უნდა შევიდეს სხვა სახელმწიფოებთან, შექმნას

სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის საჭირო ორგანოები, განსაზღვროს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული ასპექტები, ჩამოაყალიბოს ეროვნული ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, განათლება, ჯანდაცვა, იმუშაოს იმისთვის, რომ შეიტანოს თავისი უნიკალური კულტურა მსოფლიოს კულტურის საგანძურში.

ამ ამოცანის შესრულება ვერ შეძლო 1918-21 წლების დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებამ. ამ ამოცანის შესრულებაზე არ არის ორიენტირებული არც დღევანდელი ხელისუფლება. საქართველოს, როგორც თავისუფალი, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება შეუძლებელია რუსეთის ან სხვა რომელიმე ქვეყნის შემადგენლობაში შესვლით, არც ეკლექტური, წვრილი საქმიანობით, “ნევროტული ფუსფუსით”, პარტიული და არაეროვნული ამოცანების სამსახურს რომ გულისხმობს.

ჩვენი ქვეყნის დიდი ეროვნული იდეოლოგიები საქართველოში თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს ჩანოყალიბებისათვის აუცილებლად თვლიდნენ ამოცანების გარკვეული ერთობლიობის შესრულებას. ასეთებად მიაჩნდათ: ქვეყნის ეროვნული მთლიანობის განმტკიცება; ზრუნვა ეროვნულ ეკონომიკაზე, განათლებასა და ხელოვნებაზე, ზრუნვა ინტელიგენციაზე; ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ორიენტაციების შეთანხმება; ჩვენი ეროვნული ნაკლოვანებების გათვალისწინება; ქართული კულტურის თავისებურებების შენარჩუნება და განვითარება.

2. ქართული კულტურის ტიპი და მისი კავშირი უფლებისა და მოვალეობის კატეგორიებთან. ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს მისი ხალხის კულტურა, ტრადიციები, ისტორია. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ შენარჩუნებასა და განვითარებას.

ქართველმა ხალხმა შექმნა მწერლობის, მხატვრობის, არქიტექტურისა და ხელოვნების მრავალი დარგის შესანიშნავი ძეგლი. ერის განმტკიცება მატერიალური და სულიერი კულტურის დაცვისა და განვითარების პროცესში ხდებოდა. ამ პროცესში უდიდეს როლს თამაშობდა ადამიანთა და სოციალური ჯგუფების ურთიერთობანი, რაც ადათ-წესების და ტრადიციების სახით ჩამოყალიბდა. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ასევე უდიდესი როლი შეასრულა მართლმადიდებლურმა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ, რამაც განსაზღვრა ქართველი ერის მორალური შეხედულებები და ცხოვრების წესი. ქართველი ხალხი თავის მოვალეობად თვლიდა ქართული კულტურის და რწმენის დაცვას. ამ მხრივ მან გმირობის საოცარი მაგალითები გვიჩვენა. მის საქმიანობას საფუძვლად ედო მოვალეობისა და ვალდებულების გრძნობა. ეს განპირობებული იყო იმ მსოფლმხედველობითი პრინციპებით, რაც მან ერად ჩამოყალიბების პროცესში შეიმუშავა. ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს მაშინ, როდესაც ჩვენ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენას ვცდილობთ.

უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მტკიცდება და ძლიერდება სოციალურ-კულტურული ორიენტაცია, რომლის მიხედვით კულტურები, რომლებსაც ერები ქმნიან, განსხვავებულ პრინციპებზე არიან აგებული. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კულტურები, რომლებშიც ინდივიდებსა და სოციალურ კოლექტივებს განსხვავებული ღირებულებები მიეწერებათ. ამიტომაც ისინი ერის ცხოვრებაში და განვითარებაში განსხვავებულ როლს თამაშობენ. დღეისათვის დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო დომინირებულ მდგომარეობას იკავებს ადამიანის უფლებათა დაცვის მოთხოვნა. ეს ორიენტაცია ამერიკიდან მოდის. ამერიკა, როგორც სახელმწიფო, სხვა ქვეყნებიდან გაქცეულმა ხალხმა შექმნა. ბევრი მათგანი გარკვეულ დანაშაულებათა გამო დასჯას გაურბოდა, ბევრი კარგი ცხოვრების მაძიებელი იყო. ისინი ებრძოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ინდიელებს, ანადგურებდნენ მათ და მათ მიწებზე სახლდებოდნენ. ისინი იმუშავებდნენ ურთიერთობის გარკვეულ წესებს და ქმნიდნენ

ახალ საზოგადოებას, რომელშიც ძირითად მოთხოვნად საკუთარი პიროვნების დაცვის ამოცანა დომინირებდა. ისინი ქმნიდნენ აღნიშნული ვითარების შესატყვის კულტურას. მათ საზოგადოებაში თავის გადარჩენა ადამიანთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, ამიტომ ადამიანთა შორის ურთიერთობათა ნორმები და კულტურა ცალკეული ინდივიდების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით აიგო. მათ ისტორიულ ეროვნულ კუთვნილებას და ეროვნულ კულტურას მათი გადარჩენისა და ახალ სამყაროსთან შეგუებისათვის დიდი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა. მათ საზოგადოებაში ცალკეულ ინდივიდებსა და მის უფლებებს პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭა. მათთან ნაკლები ყურადღება ექცეოდა საზოგადოების მოთხოვნებს, რასაც სხვა ქვეყნებში ადამიანები მოვალეობის სახით განიცდიან.

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის კულტურა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მოთხოვნათა საფუძველზე ჩამოყალიბდა. მისგან განსხვავებით, დიდი წარსულის მქონე ერები თავისი ერისა და სხვა სოციალური ჯგუფის მოთხოვნებს მეტ ყურადღებას აქცევდნენ. აღმოსავლური კულტურები ძირითადად აგებულია მოვალეობათა საფუძველზე, რომლებსაც საზოგადოება ადამიანებს მოთხოვნათა სახით უყენებს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლების დეკლარაცია სწორედ ამერიკაში დაიწერა. მასში ადამიანის უფლებებს პრიორიტეტი ენიჭება მოვალეობებთან შედარებით, მეტიც, მასში თითქმის არავითარი ადგილი არ უჭირავს ადამიანთა მოვალეობებს. მისი 30 დებულებიდან მხოლოდ ერთში, 29-ე დებულების პირველ პუნქტში, არის ნახსენები, რომ “ყოველ ადამიანს აქვს ვალდებულება საზოგადოების წინაშე, რომელშიც არის შესაძლებელი მისი პიროვნების სრული განვითარება”. მასში ლაპარაკიც კი არ არის იმაზე, თუ რა ვალდებულება აქვს ადამიანს საზოგადოების, ერის, ოჯახის და სხვა სოციალური ჯგუფების მიმართ.

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკული კულტურა ადამიანის მოთხოვნათა საფუძველზეა აგებული, აღმოსავლური ქვეყნების კულტურების საფუძველი კი ვალდებულებებია, რომლებიც ადამიანს წაყენება ერის, ოჯახის და სხვა სოციალური ჯგუფების მიერ. ადამიანის უფლებათა დეკლარაცია ისეა შედგენილი, თითქოს ადამიანი სწორედ ერის, ოჯახის, რელიგიის და სხვა სოციალური ინსტიტუტების მოთხოვნებისაგან უნდა გაათავისუფლოს. მაგრამ საქმის ვითარების საგანგებო ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა, თავისთავად სულაც არ გამოირიცხავს ადამიანის მოვალეობათა საჭიროების აღიარებას. ამისთვის უნდა ჩამოყალიბდეს ადამიანის მოვალეობათა გააზრებული სისტემა, რაც სულაც არ დაუპირისპირდება უფლებათა ქარტიას. ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ასეთი სისტემა შესაძლებლობას მოგვცემს, შევქმნათ “ადამიანური გარემო”, რომელშიც არ დაირღვევა მისი უფლებები და თავისუფლება, იარსებებს პიროვნების ძალთა სრული განვითარების და რეალიზაციის შესაძლებლობა და, ამავე დროს, მას ექნება ვალდებულებები თავისი ერის მიმართ. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ ადამიანის უფლებების დაცვის დეკლარაციისა და ეროვნული ვალდებულებების ურთიერთთან გარკვეული დოზით შეთანხმების მცდელობას. მათი შეუთანხმებლობის შედეგია ბალკანეთის, კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების კონფლიქტები.

საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობისა და კულტურის ფორმირებაში მოვალეობის განცდას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენში ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა გარკვეული დოზით გაწონასწორება. ამ ამოცანის შესრულებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ადამიანის უფლებები, ისე ქართული კულტურისა და ტრადიციების მოთხოვნები, მათ მიმართ გარკვეული მოვალეობები.

XIX საუკუნეში ქართული მწერლობისა და ხელოვნების მოღვაწეთა გავლენით ჩამოყალიბდა სწორი ეროვნული ორიენტაცია, ერის წინაშე მოვალეობის განცდა, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში მარქსისტული მსოფლმხედველობის გავლენით ჩვენში უკვე ანტიეროვნული

პოლიტიკური ორიენტაცია გაბატონდა. ამიტომ საქართველომ თუმცა მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ, სათანადო ეროვნული პოლიტიკის უქონლობის გამო, ვერ მოახერხა თავისუფალი ეროვნული სახელმწიფოს აშენება.

დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში მსგავსი სიტუაცია იქმნება. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა და ამაში გარკვეული წვლილი მისმა პირველმა ხელისუფლებამ შეიტანა, მაგრამ მან ვერ შეძლო დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ სვლა. შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ, რომლის ამოცანა თავისუფალი, ეროვნული სახელმწიფოს აშენება იყო, ვერ შეძლო თავისუფლებისაკენ სვლა, მისი ძირითადი ამოცანის შესრულება. მის მიერ დამოუკიდებლობისაგან გაქცევის თითქმის ყველა გზა იყო გამოყენებული, ხელისუფლება ერთდროულად მიმართავდა რუსეთისაკენ უკან დაბრუნების, ახალი, დასავლეთელი პატრონების ძებნისა და “ნევროტული ფუსფუსის” მცდელობებს. იმის გამო, რომ ერის ბუნების გაგების საფუძველზე არ დგას და არც ქართული კულტურის ბუნებას ითვალისწინებს, ცხადია, ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება ვერ მოიპოვებს სერიოზულ წარმატებებს თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობაში. იგი ვერ ქმნის ამისათვის აუცილებელ წინაპირობებს.

3. ერი და პიროვნება

ერისა და პიროვნების ურთიერთობა, სამწუხაროდ, ბოლომდე ნათლად არ არის გაგებული. ისინი ძნელად შესასწავლი ობიექტებია. პიროვნების შესახებ უკანასკნელ ხანებში ბევრი საინტერესო მონაცემი იყო მოპოვებული ანთროპოლოგიის, სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიერ. სოციალურ ფსიქოლოგიაში მრავალი კანონზომიერება იყო დადგენილი, რომლებიც ადამიანის აქტივობას უძევს საფუძვლად. იგივე არ ითქმის ერის შესახებ. ერის ბუნების შესწავლას მეცნიერებაში, სამწუხაროდ, სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამას ზოგჯერ იმით ხსნიან, რომ ერის საკითხები ძლიერ ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული და ადამიანებს უჭირთ მისი პრობლემების ობიექტურად განხილვა. მეცნიერთა ობიექტურობა კიდევ უფრო სუსტდება, როცა საკითხი ერებს შორის არსებული კონფლიქტების შესწავლას ეხება. ცნობილია, რომ კონფლიქტურ ურთიერთობაში სხვადასხვა ერების მეცნიერები ერისა და მისი ისტორიული საკითხების შესახებ, როგორც წესი, ურთიერთგამომრიცხავ პოზიციებზე დგანან. ეს ვითარებაც უშლის ხელს მათ ერის საკითხების ობიექტური შესწავლის საქმეში. ერის შესწავლას ისიც აძნელებს, რომ ერის შესახებ არ გვაქვს არც ერთიანი ცნება და არც ერთიანი ზოგადი წარმოდგენა. ადამიანებს არა აქვთ ცნებები ძალის, ხის, ბალახის, კატის, ტბის და სხვა საგნების შესახებ, მაგრამ მათ აქვთ ზუსტი ზოგადი წარმოდგენა მათ შესახებ და არასოდეს არ ეშლებათ ეს საგნები ერთმანეთში. ერის შესახებ, როგორც აღმოჩნდა, სამწუხაროდ, მეცნიერებს არა აქვთ ერთიანი წარმოდგენა. ცნების შემუშავება, როგორც წესი, კატეგორიზებულ საგანთა და წარმოდგენათა საფუძველზე ხდება. ერის შესახებ კი მეცნიერებს ასეთი ერთიანი კატეგორიზებული წარმოდგენა არა აქვთ. ამიტომ ერის ცნების შემუშავება ბევრად უფრო დიდ სიძნელებებთან არის დაკავშირებული, ვიდრე სხვა მოვლენების შესახებ ცნებათა შემუშავება. მეცნიერები იმაშიც ვერ თანხმდებიან, თუ რა მოვლენები ვიგულისხმობთ სიტყვა ერში. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ქართულ სიტყვა “ერში” და სიტყვა “ნაციაში”, რაც უმეტეს ევროპულ ენებში იხმარება, ხშირად ხალხთა სრულიად განსხვავებული ერთობლიობა იგულისხმება.

ფრანგული რევოლუციის შემდეგ, ნაპოლეონის მმართველობის დროიდან, მრავალ ენაში სიტყვა ნაცია შემოდის ხმარებაში. ამ დროიდან კლასებს შორის სხვაობა მცირდება და ხალხის დიფერენცირება კლასების მაგიერ, ეროვნების მიხედვით ხდება. სიტყვა ნაცია თანდათან ფართოდ გავრცელდა მსოფლიოში. იგი თითქმის ყველა ენაში გავიდა. ბევრი ახირებული მეცნიერის აზრით, არ არსებობდა სიტყვა ნაცია, რადგან არ არსებობდნენ

ნაციები, ერები. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მრავალი მეცნიერის აზრით, ერები მხოლოდ უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე გაჩნდნენ. მათი აზრით, ერების გაჩენა კაპიტალიზმის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამ დროიდან გაძლიერდა კომუნიკაცია ხალხებს შორის. ხალხი მოწყდა სოფლის მეურნეობის საქმიანობას, შეიქმნა დამწერლობა, დაიწყო წიგნების ბეჭდვა, შეიქმნა სალიტერატურო ენები, განვითარდა ინდუსტრია და კავშირი მწარმოებელ ქალაქებში მცხოვრებ ადამიანთა შორის, გაჩნდა ეროვნული ცნობიერება და ეროვნული კულტურები. ერები თითქოს ამ პროცესების ბაზაზე შეიქმნა. ამ შეხედულების მიხედვით, ბერძნები, სპარსელები, ეგვიპტელები, ჩინელები არ იყვნენ ერები. ასევე თითქოს შეცდომად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეროვნულობისა და სახელმწიფოებრიობის სამი ათასი წლის დღესასწაული. ერის შესახებ ასეთი შეხედულება “ახალი თვალსაზრისის” სახელით არის ცნობილი. ფაქტობრივად ასეთივე თვალსაზრისზე იდგა ერის შესახებ მარქსისტული მსოფლმხედველობა. მისი აზრით, ერები კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში შექმნილი ფენომენებია. მარქსისტების მთავარი საზრუნავი კლასების ლიკვიდაცია იყო, რომლის შემდეგ ერების შერწყმა და ლიკვიდაცია თავისთავად მოხდებოდა. ამის შემდეგ კლასობრიობას და ეროვნულობას მოკლებული კაცობრიობა თითქოს თავისი განვითარების საბოლოო, უმაღლეს ეტაპს მიაღწევდა.

როგორც ვხედავთ, ერის შემსწავლელ მეცნიერთათვის სიტყვა “ნაცია”-ში სოციალური სინამდვილის სრულიად განსხვავებული კატეგორიის მოვლენები იგულისხმება. ამიტომ, ცხადია, ძალიან გაძნელდა მეცნიერებაში ერის ცნების ჩამოყალიბება.

თანამედროვე სოციალურ მეცნიერებათა საფუძველზე მწიფდება თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ერი განხილული უნდა იქნეს როგორც ერთიანი, ორგანული და სულიერი ფენომენი, რომელიც ფორმირებისა და ცხოვრების სპეციფიკური კანონზომიერებით ხასიათდება. ამ კიდევ უფრო ახალი თეორიის მიხედვით, ერი ცოცხალ, სულიერ არსებას წარმოადგენს, რომელსაც თავისი მოთხოვნები, მიზნები და ამოცანები აქვს. თავისი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და მიზნების მიღწევისათვის იგი გარკვეულ საქმიანობას ეწევა, ქმნის მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, რითაც გარკვეული წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის განვითარებაში. მსოფლიო კულტურა ეროვნული კულტურების თანავარსკვლავედების სახით იქმნება. ისინი ერთმანეთზე დადებით გავლენას ახდენენ. ერებს არ შეუძლიათ სხვა ერების კულტურული ღირებულებების მექანიკური გადატანა. ისინი უცხოური კულტურის ანალოგებს თავის წიაღში ქმნიან და აყალიბებენ. ყოველი ერი და კულტურა უნიკალურია თავისი ბუნებით. მას არ შეუძლია სხვა ერის კულტურის ადგილის დაკავება მსოფლიო კულტურაში. სხვა ერის მიერ რომელიმე ეროვნული კულტურის განვითარების შეცვლა, სხვა კულტურაში გადაყვანის ცდა, ერის სიკვდილს იწვევს. მისთვის განკუთვნილი ადგილი მსოფლიო კულტურის თანავარსკვლავედში შეუვსებელი რჩება. სხვა ერი ვერ შეავსებს მის ადგილს. ეს კი მსოფლიო კულტურის გაღარიბებას იწვევს.

ყოველი ერის, როგორც ცოცხალი, სულიერი არსების მატარებელ ასპექტს, მისი ტერიტორია, ეკონომიკა და ხალხი ქმნის, ხოლო ფსიქიკურ ასპექტს – ენა, კულტურა, წეს-ჩვეულებები და ისტორია. ერის სულიერება აღნიშნული ასპექტების ერთიანობაში ვლინდება. სამწუხაროდ, ერის არსის განსაზღვრისათვის ხშირად მისი მხოლოდ რომელიმე ასპექტს გამოიყენებენ, რითაც შეუძლებელი ხდება ერის ბუნების დადგენა.

ერის განსაზღვრების დროს, სამწუხაროდ, ასევე ხშირად, ლოგიკური გვარის სახით “ადამიანების გაერთიანება” გამოიყენება. იგი ასეთ ხასიათს იღებს: “ერი არის ადამიანთა გაერთიანება, რომელიც...” და შემდგომ ჩამოთვლილია რვა მდე სპეციფიკური ნიშანი. ასევე განმარტებაში კარგად არის განსაზღვრული ერის ცნების მოცულობა და არა შინაარსი; მასში ხშირად გულისხმობენ ერის ჩამოყალიბების პროცესს, რაც სულაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამ შეხედულების მიხედვით, ადამიანები ერთიანდებიან და ქმნიან ერებს.

ადამიანთა გაერთიანებით მართლაც შეიძლება ჩამოყალიბდეს კლასები, პარტიები, ორგანიზაციები და სხვა სოციალური ჯგუფები. მაგრამ ამ გზით ვერ შეიქმნება ერი! მის ჩამოყალიბებამდე, ერად გაერთიანებამდე არ არსებობდნენ ადამიანები. ისინი ადამიანებად ერის წიაღში ყალიბდებიან, მასში იძენენ ენას, კულტურას, წეს-ჩვეულებებს და სხვა თვისებებს, რომლის გარეშე ცოცხალი არსება ვერ იქნება ადამიანი. ინდივიდები ადამიანებად ერში ყალიბდებიან და ერს ადამიანების ერთობლიობა ქმნის. ადამიანების ერად ჩამოყალიბება და ერში ადამიანობა, ერთ მთლიან პროცესს წარმოადგენს, მათი თანამშრომლობის საფუძველზე მოხდა ადამიანის და ერის, როგორც სულიერი ფენომენების, ერთდროული ჩამოყალიბება და შემდგომი განვითარება.

ადამიანიცა და ერიც, ორივე, სულიერ ფენომენებს წარმოადგენენ. ისინი ხასიათდებიან უნიკალობით, აქვთ თავისი ისტორია, ავტობიოგრაფია, თავისი „მე“, შეუძლიათ თავისი არსებობის დადასტურება, ეგზისტენცია-ლობა. ერი, ისევე როგორც ადამიანი, იბრძვის თავისი არსებობისთვის, სიცოცხლისა და სულიერების შენარჩუნება-განვითარებისათვის. ისინი, როგორც სულიერი ფენომენები, არა მხოლოდ არსებობენ, არამედ ქმნიან, მიზნებისა და ამოცანების მთელ სისტემებს, მომავალს, რომლის მიხედვით იწყებენ ცხოვრებას. ამ გზით ადამიანებსა და ერებს შორის შესაძლებელი ხდება თანამშრომლობა, რაც მხოლოდ სულიერი არსებობისათვის არის დამახასიათებელი. ეროვნული შეხედულებების შეუთანხმელობასა და წინააღმდეგობას მოსდევს კონფლიქტი და ომები, რომელთა დაძლევა გარკვეული პირობების ფორმირებით არის შესაძლებელი.

ყოველი ერი, რომელიც სახელმწიფოდ ყალიბდება, გარკვეულ ურთიერთობაში შედის სხვა ერებთან და სახელმწიფოებთან. ამ ურთიერ-ობათა გათვალისწინებით ქმნის თავის ეროვნულ მსოფლმხედველობას. ამის გარეშე იგი ვერ გახდება ერების დიდი ოჯახის წევრი. როგორც ყოველი პიროვნება სხვა ადამიანთა უფლებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით აგებს თავის ცხოვრებას, ასევე ყოველი ერი სხვა ერების უფლებათა და ინტერესთა გათვალისწინებით უნდა აგებდეს თავის ეროვნულ იდეოლოგიას და ცხოვრებას.

ერი სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესში კანონზომიერებათა გარკვეული სისტემის გათვალისწინებით უნდა აგებდეს თავის პოლიტიკას. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს ნათელი ეროვნული პოლიტიკა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს აშენება და სხვა ქვეყნების სისტემაში დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოს სახით შესვლა.

იმ წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი, რასაც ჩვენი ქვეყანა განიცდის სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში, ისიცაა, რომ ხელისუფლება არ ითვალისწინებს იმ თავისებურებებს, რითაც ერი ხასიათდება. ამის გარეშე კი შეუძლებელია ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ერის ყველაზე არსებითი თვისება და მისი ლოგიკური გვარი არის ის, რომ იგი სულიერ ფენომენს წარმოადგენს. იგი ენის, კულტურის, წეს-ჩვეულებების, ტრადიციების და სხვა სოციალური ღირებულებების შემქმნელი სუბიექტია. მისი სიცოცხლე და სულიერება დაფუძნებულია ბიოლოგიურ, შემეცნებით და მორალურ კანონზომიერებებზე. იგი, როგორც ცოცხალი და სულიერი არსება, იკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს, ქმნის მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს და სხვა ერებთან და ადამიანებთან ურთიერთობაში ცხოვრობს. იგი, როგორც ცოცხალი და სულიერი არსება, სხვა ერებთან კონფლიქტებისა და ბრძოლის პროცესში შეიძლება მოკვდეს კიდევ. სიკვდილის შემდეგ მისგან დარჩება მკვდარი ენა და მკვდარი კულტურა. ისტორია იცნობს ასეთ მკვდარ ერებს, რომლებმაც მკვდარი ენები და კულტურები დატოვეს. მათ ენაზე აღარ ლაპარაკობენ, მათი კულტურები აღარ ცხოვრობენ,

აღარ ქმნიან მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს. მათ დაკარგეს სუბიექტის თვისებები და ისტორიკოსების შემეცნების ობიექტებად იქცნენ. ქართველ ერს, ეს ამბავი რომ არ დაემართოს, დიდი ბრძოლა და ძალისხმევა სჭირდება. თავის გადარჩენის ყველაზე დიდ გარანტიას ერისთვის ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება წარმოადგენს. ჩვენს ქვეყანას აქვს ამის შანსი. საქართველოს, როგორც ერს, შეუძლია გადარჩეს. იგი ერთ-ერთი უძველესი და კულტურული ქვეყანაა, მან მრავალი საუკუნის მანძილზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სკოლა გააიარა. მასში ეროვნული ცნობიერება ჩამოყალიბდა. მან პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მშენებლობის გამოცდილება დააგროვა. გარეშე ძალების მიერ მისი ერთიანობის დარღვევისა და დანაწილების დროსაც მასში ყოველთვის რჩებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობისადმი სწრაფვა.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველო რუსეთის მიერ იყო ანექსირებული. რუსეთის მიერ საქართველოს ასიმილაციამ საშიშ დონეს მიაღწია, მაგრამ იგი მაინც ინარჩუნებდა თავის ეროვნებად ყოფნის ტენდენციას. ამ სულიერ მისწრაფებას ქართული რელიგიური და საერო მწერლობა ინარჩუნებდა. ეს მტკიცე ეროვნული სული დამოუკიდებლობის-სათვის ბრძოლის გაბმულ პროცესში იჭედებოდა. საქართველოს მძიმე კოლონიურ მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ იგი ქრისტიანული ქვეყნის მიერ იყო ანექსირებული. რუსეთს საქართველოს კოლონიალიზაცია იმანაც გაუადვილა, რომ საქართველო რუსეთისაგან, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოსაგან, თანაგრძნობას და შველას ელოდა. ამ მხრივ საქართველოს არ გაუმართლა. ქრისტიანული რუსეთი საქართველოსათვის ისეთივე დამპყრობი აღმოჩნდა, როგორც მაჰმადიანური სპარსეთი და თურქეთი. რუსეთიცა და მაჰმადიანური აღმოსავლეთიც საქართველოს სულიერ განადგურებას ცდილობდნენ. ამ მხრივ რუსეთი კიდევ უფრო საშიში აღმოჩნდა, ვიდრე მუსულმანური ქვეყნები. რუსეთმა ერთ პერიოდში ბევრად უფრო მძლავრად ჩაახშო ქართული სულის ეროვნული ბუნება, ვიდრე ეს სხვა ერებმა მოახერხეს.

4. ადამიანის და ერის უფლებანი და მოვალეობანი.

ქართველი ერი თავის ხალხს ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების გარკვეული სისტემის მოთხოვნათა მიხედვით ზრდიდა. თვითონ ქართული კულტურაც მათი ერთობლიობის საფუძველზე იქმნებოდა და ვითარდებოდა. სოციალური განვითარების კვალობაზე სულ უფრო იზრდებოდა ადამიანის უფლებათა წრე, მაგრამ, ამის გამო, გარკვეულ მოვალეობებს სულაც არ დაუკარგავთ თავისი ძალა და მნიშვნელობა. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ენა, სარწმუნოება, სამშობლო, თავისუფლება, ოჯახი და სხვა სოციალური ფასეულობანი დიდ ღირებულებას ინარჩუნებდნენ. საქართველოს ისტორია ძირითადად ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა. ამ პროცესში ადამიანები თავის უფლებათა დაცვასთან ერთად გამუდმებით ასრულებდნენ თავის მოვალეობას. ქართველი ერის გადარჩენა და განვითარება გარკვეულ მოვალეობათა შესრულების გზით ხორციელდებოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკელთა გავლენით ადამიანთა უფლებების დაცვის იდეამ გარკვეული პრიორიტეტი შეიძინა ადამიანის მოვალეობათა მიმართ. ადამიანის უფლებათა ქარტია, ძირითადად, ადამიანის უფლებებს ერების, კლასების, სახელმწიფოს და სხვა სოციალური ჯგუფების ზემოქმედებისაგან იცავს. ამ ორიენტაციამ დიდი წვლილი შეიტანა ადამიანთა განვითარების საქმეში, მაგრამ ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთისაგან მოწყვეტამ, გარკვეული ტიპის კულტურები დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა. აუცილებლად უნდა გავაცნობიეროთ ის, რომ ადამიანი როგორც პიროვნება, ჩვეულებრივად, გარკვეულ ეროვნულ, რელიგიურ და კულტურულ გარემოში ყალიბდება. მათი

უგულებლყოფა საზოგადოებაში ეგოცენტრულ ორიენტაციას აღვივებს, ხელს უშლის მორალურ შეხედულებათა ფორმირებას და ზრდის ადამიანთა დანაშაულებრივ საქმიანობას.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ამერიკული კულტურა, ძირითადად, ადამიანთა უფლებების საფუძველზე აღმოცენდა. ბევრი აღმოსავლური კულტურა კი, ძირითადად, მოვალეობის საფუძველზე იქმნებოდა. ასეთ საზოგადოებაში ადამიანები გარკვეული სოციალური როლების შესრულების დროს ყალიბდებოდნენ. უნდა ითქვას, რომ მხოლოდ უფლებათა ან მოვალეობათა სამსახურში ჩამოყალიბებული კულტურები ვერ უზრუნველყოფენ ადამიანის პიროვნების ბოლომდე რეალიზაციას.

საგნობრივი სინამდვილის მოვლენათა ურთიერთობა მკაცრი კანონის საფუძველზე ხორციელდება, იქ მკაცრი დეტერმინიზმი ბატონობს. მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობის პროცესში იქმნება თავისუფლების სამყარო, სადაც ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ მათი ურთიერთობის ფორმები. ამ სფეროში იქმნება “ადამიანური გარემო”, რომელშიც მათ შეუძლიათ შექმნან საგნობრივი გარემოსაგან განსხვავებული ახალი სინამდვილე. ამ სინამდვილეში შეუძლიათ მოითხოვონ ადამიანებმა პიროვნებად და ადამიანად ყოფნის უფლება. მხოლოდ “ადამიანურ გარემოში”, სოციალურ ურთიერთობაში იძენს ადამიანი გარკვეულ უფლებებს, თავისუფლებას, რომლის დაცვის გარეშე შეუძლებელია ადამიანური, სულიერი ცხოვრება. ადამიანის უფლებათა დაცვის ქარტია ადამიანის უფლებებს სრულიად სამართლიანად მის იმთავითვე მოცემულ ფენომენად თვლის. მათ გარეშე ადამიანი არ შეიძლება იყოს ადამიანი, სულიერი არსება. საკითხავია საიდან მოდის მოვალეობათა მთელი სისტემა, ერის, ოჯახის, ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ადამიანთა ცხოვრებაში და განსაკუთრებით სოციალურ როლებზე და მოვალეობებზე აგებულ კულტურებში.

არსებობს აზრი, რომ ადამიანს მოვალეობანი და ვალდებულებანი თავს მოახვია სოციალურმა გარემომ. ერთი რამ ცხადია, რომ ადამიანის უფლებათა დეკლარაციის ავტორებს მოვალეობის განცდა სულაც არ მიაჩნიათ ადამიანის სიცოცხლის, პიროვნების ძალებისა და სულიერების განვითარების აუცილებელ და ხელისშემწყობ პირობად. ეს დეკლარაცია თავისი ბუნებით სწორედ სიტუაციური გარემოდან მომდინარე მოვალეობებისაგან განთავისუფლების ამოცანას ემსახურება. მაგალითად, ქარტიის მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე სტატიებში ლაპარაკია იმაზე, რომ ადამიანს უფლება აქვს იცხოვროს იქ, სადაც უნდა, დატოვოს თავისი სამშობლო, უარი თქვას მის მოქალაქეობაზე, თუ მონდომებს, კვლავ დაბრუნდეს უკან და ისევ მიიღოს მისი მოქალაქეობა. ამაში, ცხადია, არაფერი არ არის ცუდი, მაგრამ ქარტიაში არავითარი მითითებები არ არის თავისი ერის, ქვეყნის მიმართ ადამიანის მოვალეობათა შესახებ. ერთადერთი ვითარება, რომელშიც ადამიანის მოვალეობის შესახებ არის ლაპარაკი, იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, როდესაც ისინი არღვევენ სხვათა უფლებებს. (სტატია 29, ნაწილი II). თავისი უფლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დროს ადამიანმა არ უნდა შეზღუდოს სხვისი უფლებები და თავისუფლება. ადამიანს წაეყენება მხოლოდ ისეთი მოვალეობანი, რომლებიც ისევ ადამიანთა უფლებებს ემსახურება.

იგივე აზრია ჩადებული 29-ე სტატიის I ნაწილში, სადაც ნათქვამია, რომ ადამიანი მოვალეა დაიცვას საზოგადოების ზოგიერთი მოთხოვნა, რაც მისი არსებობისათვის არის აუცილებელი. მისი არსებობისათვის ადამიანის ზოგიერთი უფლების შეზღუდვა იმითი არის გამართლებული, რომ მხოლოდ საზოგადოებაში ხდება ადამიანის პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება. ეს ყველაფერი კი მის უფლებათა დაცვას ემსახურება.

ქარტიაში საჭიროდ არის მიჩნეული ადამიანისათვის გარკვეული მოვალეობის დაკისრება ოჯახის მიმართ. ეს მოვალეობაც საბოლოოდ ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. ოჯახი, ქარტიის მიხედვით, არის ადამიანის საცხოვრებელი გარემო, სადაც ხდება ადამიანის გარკვეული უფლებებისა და თავისუფლების ბუნებრივი ფორმირება.

მაშასადამე, უფლებათა ქარტიის მიხედვით, მოვალეობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაეკისროს ადამიანს, როცა იგი ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება. მოვალეობა მხოლოდ უფლების მქონე სუბიექტის მიმართ შეიძლება დაეკისროს ადამიანს, რათა სხვა ადამიანის უფლება არ შეილახოს. ამიტომ პრინციპულად ადამიანს უფლება აქვს უარი თქვას მოვალეობებზე, რომლებსაც მას ოჯახი, სახელმწიფო და სხვა სოციალური ჯგუფები აკისრებენ.

მაგრამ საკითხავია, იგივე ვითარებასთან გვაქვს თუ არა საქმე ადამიანისა და ერის ურთიერთობაში? ჩვენ მიერ ადრე ნახვენები იქნა, რომ ერი არის სულიერი ფენომენი, რომელსაც აქვს თავისი მე, ავტობიოგრაფია, ეგზისტენციონალობა. იგი ცოცხალი და სულიერი არსებაა. ისევე როგორც ცალკეული ადამიანი, ერი იბრძვის თავის არსებობისათვის, სიცოცხლისა და სულიერების შენარჩუნება-განვითარებისათვის, იგი არა მხოლოდ არსებობს, არამედ ქმნის თავისი მიზნებისა და ამოცანების სისტემებს, მსოფლმხედველობას, ეროვნულ იდეოლოგიას, რომლის მიხედვით ცხოვრობს და ქმნის სულიერ კულტურას. მას, როგორც სუბიექტს, აქვს უფლება იზრუნოს სიცოცხლეზე და თავისი სულიერი ძალების განვითარებაზე. ყოველი ერს აქვს უფლება იბრძოდეს და დაიცვას თავის მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი კულტურა. იგი იბრძვის თავისი უფლებების დაცვისათვის. ერი უნდა იღებდეს ვალდებულებას, არ დაარღვიოს სხვა ერის უფლებები, რითაც თავის უფლებათა დაცვისაკენ არის მიმართული. ადამიანმა, ისევე, როგორც სხვა ადამიანების მიმართ, უნდა აიღოს მოვალეობა, არ დაარღვიოს ერის ძირითადი უფლებები და თავისუფლება.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ ადამიანი და ერი, როგორც სულიერი არსებანი, უნდა იბრძოდნენ თავისი უფლებების დასაცავად და თავიანთ უფლებებს არ უნდა იყენებდნენ სხვა ადამიანებისა და ერების უფლებათა შეზღუდვისათვის. ამისათვის აუცილებელია შეიქმნას ადამიანთა და ერების უფლებათა და მოვალეობათა სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის პიროვნებისა და ერის კულტურის თავისუფალ და სრულ განვითარებას.

5. კორუფციის ზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები

კიდევ ერთი სამწუხარო ფსიქოლოგიური მოვლენაა აღსანიშნავი. დაახლოებით 20 წლის წინათ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით ქართველი ხალხი ოცდაათი ღირებულებიდან ეროვნულ და სულიერ ღირებულებებს ანიჭებდა უპირატესობას. ახლანდის ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, ჩვენი ხალხის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ჩვენი ხალხი დღეისათვის სულიერ და ეროვნულ ღირებულებებთან შედარებით მატერიალურ ღირებულებებს ანიჭებს მეტ მნიშვნელობას. ეროვნულმა ღირებულებებმა უკანასკნელ ადგილებზე გადაინაცვლეს. სოციალური ჯგუფებიდან ყველაზე დიდი ღირებულება ერს ენიჭებოდა, შემდგომ მოდიოდა ოჯახი, მეგობრების წრე, პროფესიული ჯგუფები და ა. შ. დღეს ერმა, ამ სოციალურ ჯგუფებთან შედარებით, ბოლო ადგილებზე გადაინაცვლა. ღირებულ ჯგუფებად, პირადი ინტერესების შემდეგ, ოჯახი და მეგობართა წრე ითვლება. ხელისუფლების ორიენტაციის გავლენით, ეროვნული იდეის და სხვა სულიერი ღირებულებების დაკნინების შედეგად, ხალხი მატერიალურ ღირებულებებზე და მცირე სოციალურ ჯგუფებზე ორიენტირებული გახდა. ამას შედეგად მოჰყვა კორუფციის გაძლიერება. ოჯახზე და მეგობრების წრეზე ზრუნვა, მატერიალური გაჭირვება და თავის გადარჩენის ამოცანა

ადამიანებს აიძულებს ყველაფერი აკეთონ იმისთვის, რომ დაიკმაყოფილონ მინიმალური სასიცოცხლო მოთხოვნილებები. ეროვნულმა და მაღალმა სულიერმა მოთხოვნილებებმა, ხელისუფლების ორიენტაციის გავლენით, დაკარგეს ძალა შეაფერხონ კორუფციისა და სხვა ამორალური საქმიანობის ტენდენციები. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა რაიმე მაღალი სულიერი ღირებულებების წამოწევა, რომლის სამსახურში ხალხი შეძლებდა გაჭირვებისა და სიძნელების ატანას. ჩვენი ხალხის სასოწარკვეთილება სულ უფრო ძლიერდება. დღეს ხალხის 70% ნევროზულ მდგომარეობაშია. მათი აქტივობა ძირითადად იმპულსურია, ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართული. ეს კი კორუფციის აყვავებას უწყობს ხელს.

5. ...როცა საზოგადოებაში პიროვნების ფორმირების პირობების დეფიციტია.

ჩვენი ერი დღეს დიდი სიძნელების წინაშე დგას. მოდის ახალ-გაზრდობა, რომელიც ქართული კულტურის საფუძველზე არ იზრდება. ისინი გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ორიენტირების საფუძველზე იზრდებიან. ფსიქოლოგიაში ჩვენ ადამიანის აქტივობის სამ დონეს გამოვყოფთ.

ა) პირველ დონეზე ადამიანი შეიძლება განვიხილოთ როგორც ცოცხალი ინდივიდი, რომლის აქტივობა მისი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. ადამიანში თუ ეს დონე ბატონობს, იგი მომხმარებლურ დამოკიდებულებაშია გარემოს მიმართ. ჩვენი გაძნელებული სასიცოცხლო პირობების გამო დღეს ჩვენი საზოგადოება ძირითადად ამ დონის აქტივობითაა დაკავებული.

ბ) ადამიანი ამავე დროს შემეცნებელი არსება, სუბიექტია. სუბიექტი სწავლობს სინამდვილეს, ქმნის მეცნიერებას ფიზიკური და სულიერი სინამდვილის შესახებ. იგი შეისწავლის და ცვლის გარემოს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

გ) ფსიქიკური აქტივობის მესამე დონეზე პიროვნული საქმიანობა ხორციელდება. პიროვნული აქტივობა განსაკუთრებული უნარებისა და ორიენტირების გამოყენებას გულისხმობს. ამისათვის საზოგადოებამ განსაკუთრებული ადამიანური გარემო უნდა შექმნას, სადაც შესაძლებელი იქნება პიროვნების ფორმირება. პიროვნება ქმნის სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს, კულტურას. პიროვნება არა მხოლოდ მომხმარებელი და შემეცნებელი არსებაა, იგი ამავე დროს არის შემოქმედი. იგი ახალ სინამდვილეს ქმნის და მასში ცხოვრობს. ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი ამოცანა პიროვნების აღზრდისა და მისი შემოქმედებითი საქმიანობის შესატყვისი ადამიანური გარემოს შექმნაა. ეკონომიკურმა და სოციალურმა გაჭირვებამ ახალგაზრდობაში პირველი დონის აქტივობას მიანიჭა დიდი ღირებულება. ახალ-გაზრდობი-სათვის მიმზიდველი და მისაბადი გახდნენ, ერთის მხრივ, დამნაშავე ჯგუფები, ქურდები, ყაჩაღები, ნარკომანები და, მეორეს მხრივ, სუპერმენები, კონტრკულტურის წარმომადგენლები და ადამიანთა სხვა ჯგუფები, რომლებიც თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ცხოვრების სიძნელების გვერდის ავლით ახდენენ. ასეთ სიტუაციაში ძნელია ნორმალური დადებითი პიროვნების აღზრდა. ადამიანთა ნორმალური პიროვნული ორიენტირების გამომუშავებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებაში გაბატონებულ მორალურ და სულიერ ტენდენციებს. ახალგაზრდობის სულიერი დეგრადაციის ყველაზე მძლავრ ფაქტორს ხელისუფლებაში გავრცელებული კორუფცია წარმოადგენს.

დღეისათვის ჩვენში არსებული სოციალური გარემო ახალგაზრდობის პიროვნულ აღზრდაზე უარყოფითად მოქმედებს. ახალგაზრდობის პიროვნული ფორმირების საქმეში ყველაზე დიდი წვლილის შეტანა ხელისუფლებაში მორალური ორიენტაციის სასიკეთო მიმართულებით

შეცვლას შეუძლია. არ უნდა დაგვავიწყდეს, ერი ისეთი ხდება, როგორი ხელისუფლებაც მოვა.

ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ შექმნა საქართველოს თავისუფალ, ეროვნულ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ აშენების პირობები. მან ვერ მონახა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ სვლის გზები, ვერ შექმნა ეროვნული მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება და მეცნიერება. ხელისუფლება არ ეყრდნობა ერის ბუნების სწორ გაგებას, მან ვერ ჩამოაყალიბა ადამიანის უფლებებისა და მოვალეობების სისტემა, რის საფუძველზეც არის აგებული ქართული კულტურა; ხელისუფლება არ ემსახურება ეროვნულ და სულიერ ღირებულებებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია დაძლეულ იქნას მომხმარებლური და კორუფციული ტენდენციები. ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება.

ჩვენ განვიხილეთ ის სოციალურ-ფსიქოლოგიური მოთხოვნები, რაც აუცილებელად უნდა იყოს გათვალისწინებული თავისუფალი, ეროვნული და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების დროს, მაგრამ ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ის ზეწოლა, რასაც სხვა ძლიერი სახელმწიფოები, თავისი მიზნებისა და ამოცანების შესატყვისად, ჩვენს ქვეყანაზე ახდენენ. მათი უზენებელყოფა ჩვენი ხელისუფლებისაგან დაძაბულ დიპლომატიურ და პოლიტიკურ საქმიანობას მოითხოვს. ხელისუფლებამ ეს საქმეები გარკვეული დონით უნდა შეათანხმოს. ხელისუფლებას ხშირად უხდება გარეგანი ზეწოლისა და ძალადობის მიმართ გარკვეული ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ ამას იგი ერთი გარკვეული პოზიციიდან ვერ ახორციელებს, რადგან მას, როგორც ვნახეთ, ჯერ კიდევ გამოუმუშავებული არა აქვს სახელმწიფოს მშენებლობისათვის საჭირო ეროვნული და დემოკრატიული ორიენტაცია. თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობის შინაგანი და გარეგანი მოთხოვნების ურთიერთთან შეჯერების სოციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს შემდგომში ჩვენ საგანგებოდ შევეხებით.

სქესთა კონფლიქტი და ოჯახი

ნინო წიკლაური

გენდერი არის სოციალური სქესი. სწორედ სოციალური, და არა ბიოლოგიური. გენდერის ცნება მოიცავს ბიოლოგიურ სქესს თავისი სოციალური ზედნაშენებით - სქესთან ასოცირებული როლით, სტატუსითა თუ სხვა ნიშნით. ამგვარად, გენდერი კომპლექსური ცნებაა. სწორედ გენდერი, და არა ბიოლოგიური სქესი, უდევს საფუძვლად სქესთა კონფლიქტს.

ბევრი სქესთა კონფლიქტს არარსებულს და ხელოვნურად გამოწვეულს უწოდებს. გარკვეულწილად ის არის კიდევ ხელოვნური: არა ხელოვნურად გამოწვეული, არამედ ხელოვნურად გამძაფრებული ფემინისტური მოძრაობის მიერ - სააშკარაოზე გამოტანილი პოტენციურად არსებული ღრმა უკმაყოფილება, ქალების მიერ დაგროვილი საუკუნეების განმავლობაში. შეიძლება ახლა, მეოცე საუკუნის ბოლოს, ბევრგან ამას აღარ ჰქონდეს ასეთი აქტუალობა, იმიტომ, რომ მეტნაკლებად გარკვეული ადგილი საზოგადოებაში ქალმაც დაიმკვიდრა. ისიც დასაშვებია (და ადვილად გასაგები), რომ ამ პრობლემებზე ლაპარაკი გაღიზიანებას იწვევს, ვინაიდან მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალთა ლტოლვას თანასწორობისკენ, ხშირ შემთხვევაში, რბილად რომ ვთქვათ, პათოლოგიური ფორმა აქვს მიღებული (მაგალითად, მკერდის გამომწვლების უფლების მოთხოვნა, ან ხელზე კოცნის შეურაცხყოფად მიღება). და მაინც, არ შეიძლება

იმის თქმა, რომ ამ კონფლიქტს რეალური საფუძველი არა აქვს. ის ქალთა მრავალსაუკუნოვანი დისკრიმინაციის შედეგია და ამიტომ გარდაუვალია.

აღსანიშნავია, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პირველი იდეები ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში წარმოიშვა და ამის შემდეგ საზოგადოებაში ქალის ადგილისა და როლის პრობლემა თითქმის ყველა მეტნაკლებად “პროგრესული” მწერლის ნაწარმოებებში არის დასმული. მეოცე საუკუნეში ამ საკითხის აქტუალობა იზრდება და XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ე.წ. რადიკალური ფემინიზმის წარმოშობასთან ერთად, მან განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა. ამის შემდეგ ამ თემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ქალის მდგომარეობაც ბევრად გაუმჯობესდა, როგორც ოჯახში, ისე სამსახურში. იმდენად გაუმჯობესდა, რომ ბევრი იმასაც კი თვლის, რომ საკითხმა მნიშვნელობა დაკარგა და ქალის უფლებები აღარ ირღვევა. არიან ისეთებიც, ვისი აზრით, უკვე მომწიფდა მომენტი, რათა დაიწყოს ბრძოლა მამაკაცთა უფლებების დაცვისათვის.

სიმართლეა თუ არა ეს? და რამდენად სამართლიანია საქართველოსთვის? ამ კითხვას ჩემზე უკეთესად სხვა ქალბატონები უპასუხებენ.

1999 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციამ “კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი” ქალთა გლობალური ფონდის (Global Women’s Fund) დაფინანსებით, ჩაატარა „გენდერული სტეროტიპებისა და ქალთა ფარული დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში“. მისი მიზანი იყო გამოეკვინა ცხოვრების ის სფეროები, სადაც საქართველოში ქალთა დისკრიმინაცია განსაკუთრებით ძლიერია და ასევე, გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად აცნობიერებს საზოგადოება ამ დისკრიმინაციას. ამ გამოკვლევის შედეგების თანახმად, ქალთა დისკრიმინაცია დადასტურდა რიგ სფეროში, განსაკუთრებით კი ოჯახში. ამავე დროს ამ დისკრიმინაციის არსებობა ნაკლებად არის გაცნობიერებული. მაგალითად, ბევრი რესპონდენტი ამბობს, რომ მათი აზრით, ქალის პოტენციალის სრული რეალიზაცია საქართველოში ვერ ხერხდება; ისინი აღიარებენ, რომ საქართველო ამ სფეროში ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნებს; რომ ქალთა მდგომარეობა გასაუმჯობესებელია. ამავე დროს, პირდაპირ შეკითხვაზე იგივე რესპონდენტები პასუხობენ, რომ არ გრძნობენ თავს დაჩაგრულად (ქალები), ან რომ ოჯახურ ურთიერთობათა სფეროში არ არის არაფერი, რაც გაუმჯობესებას მოითხოვს (მამაკაცები). არადა სწორედ გათხოვილი ქალები აღმოჩნდნენ ყველაზე “დაჩაგრულ” კატეგორიაში, როგორც ოჯახში მათი ვალდებულებებისა და უფლებების თვალსაზრისით, ისე თავისუფალი დროისა და თავისი ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ ჩემს ნაშრომში გადავწყვიტე შევჩერდე სქესთა კონფლიქტზე ოჯახში, როგორც საქართველოში გენდერული პრობლემის დღესდღეობით ყველაზე მტკივნეულ მომენტზე.

ბევრი ალბათ იტყვის, რომ ზემოთხსენებული შედეგები ბუნებრივია: გათხოვილ ქალს ოჯახსა და ბავშვებზე აქვს აღებული პასუხისმგებლობა, ამიტომაც აქვს მას ამოდენა დატვირთვა და არ რჩება დრო საკუთარი თავისთვის. შეიძლება ითქვას ისიც, რომ ცოლიან მამაკაცსაც ნაკლები თავისუფალი დრო აქვს და მეტი პასუხისმგებლობა. ორივე ეს მტკიცება სამართლიანია. მაგრამ, ამავე დროს, ცხოვრება გვიჩვენებს (ისევე, როგორც ზემოთხსენებული გამოკვლევის შედეგები), რომ ცოლიანი მამაკაცი გაცილებით ბევრ დროს უთმობს საკუთარ თავს და გაცილებით ნაკლებს – ოჯახურ საქმეს, ვიდრე გათხოვილი ქალი. ნუ მიწყენენ ისინი, ვინც გამონაკლისია და თანაბრად იზიარებენ ოჯახურ პასუხისმგებლობას – მე ვლაპარაკობ ძირითად მასაზე, საზოგადოებაში გამეფებულ მენტალიტეტზე, რომლის თანახმადაც ქალის (ერთ-ერთი გამოთქმის თანახმად, ისევე, როგორც ბუზის) ადგილი სამზარეულოშია.

პატრიარქალურ მენტალიტეტს ბევრი გამოვლინება აქვს. ეს შეიძლება იყოს მეუღლისთვის მუშაობის აკრძალვაც და მისი კაბის სიგრძის კონტროლიც; ქალისთვის სამუშაო კარიერის გაკეთებაში ხელის შეშლა თუ გრძელი სადღეგრძელოები ქალების მისამართით სუფრაზე, რომელთა დროსაც ქალს არ სცალია დასაჯდომად და დროის გასატარებლად მამაკაცებთან ერთად, რადგანაც სამზარეულოში ტრიალებს და სუფრასთან მჯდომთ ემსახურება. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება – ქალის “უზარმაზარი პატივისცემა” კაცების მხრიდან, როდესაც იგი არ ცდილობს გასცდეს დეკორატიულ-სამეურნეო ობიექტის როლს.

არ უნდა დაგვავიწყდეს კიდევ ერთი დამახასიათებელი შეხედულება: ის, რომ ქმრის მშობლების სახლში მცხოვრები ქალი ავტომატურად ითვლება ვალდებულიად, მოემსახუროს არა მხოლოდ ქმარს, არამედ მის მშობლებსაც, და, ამგვარად, რძალი ხშირად მთელი ოჯახის მოსამსახურედ იქცევა.

და ბოლოს ის, რისი ფაქტობრივი დამტკიცება ძალიან ძნელია, მაგრამ რაც ჩვენი რეალობა და თითქმის ყველა ქალს აქვს განცდილი საკუთარ თავზე: თუ დედა ხარ, გარემოცვის მიერ არც ქალად არ აღიქმები და არც დამოუკიდებელ პიროვნებად: შენ ამიერიდან პირადი ცხოვრება და შენი ინტერესი აღარ გაქვს და მხოლოდ შენს შვილში ჩანხარ, მხოლოდ დედად გცნობენ. ბევრი ქალი ამ მსხვერპლზე შეგნებულად მიდის რადგან “ბავშვებისთვის და ოჯახისთვის ასე ჯობია”; არც იმაზე ფიქრობს, რომ მისი ცხოვრება ერთია და აღარ განმეორდება და არც იმაზე: სჭირდება კი შვილს ასეთი მსხვერპლი? იქნებ ჯობია უფრო დამოუკიდებელ პიროვნებად გაიზარდოს და არ იყოს 30 წლამდე დედის კალთაზე ჩამოკიდებული?

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ქალი არ ითვლება მისი ინტელექტუალური პოტენციალით მამაკაცის თანასწორად. საზოგადოდ მიღებული აზრის თანახმად, მამაკაცი ყოველთვის უფრო ჭკვიანია, უფრო განათლებული და ა.შ. ამაში მამაკაცებს თვითონ ქალების დიდი ნაწილიც მხარს უჭერს: “კაცის ჭკუა მაინც სხვაა...” მეუბნებიან ისინი და ვერც კი აცნობიერებენ, თუ რამოდენა გავლენა აქვს ამ შემთხვევაში მათზე ისეთ ფაქტორებს, როგორცაა ტრადიცია და ის, რომ საუკუნეების განმავლობაში ასე ითვლებოდა. მე ბავშვი არა ვარ და 30 წელს ვუახლოვდები. ნუ მიწყენენ მამაკაცები, მაგრამ უნდა ვითხრათ, რომ ამდენი ხნის მანძილზე ვერ ვიპოვე ვერც ერთი ფაქტობრივი დასტური იმისა, რომ ზოგადად მამაკაცი ქალზე ჭკვიანია, განვითარებული ან განათლებული, ისევე, როგორც არც საპირისპიროს დამტკიცება შემიძლია. ყველა ინდივიდი ერთმანეთისაგან განსხვავდება რაღაც ნიშნით, ყველა ერთგვარად უნიკალური პიროვნებაა.

მასაში გამეფებულ ამ აზრს მე სხვა ახსნას მივცემდი. ჯერ ერთი, ის ჩამოყალიბდა საუკუნეების განმავლობაში და საფუძვლად ედო ის, რომ ქალებს არ ჰქონდათ შესაფერისი განათლების მიღების უფლება, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა მათი პიროვნული განვითარების შესაძლებლობებზე. ეს კი ისევე და ისევე, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცს აწყობდა, რადგან არ უქმნიდა საფრთხეს მის ბატონობას საზოგადოებაში. ამ შეხედულების მეორე და მთავარი ახსნა კი ის არის, რომ ტრადიციულად ჩვენს ცნობიერებაში ჩამოყალიბდა სამყაროს მამაკაცისეული ხედვა. ამ ცნებას ანდროცენტრიზმი ჰქვია და მისი დიდი როლი აიხსნება არა მარტო იმით, რომ მამაკაცები უყურებენ სამყაროს ისე, როგორც მათ აწყობთ, არამედ იმითაც, რომ ასეთი ხედვა ქალის მსოფლმხედველობაშიც უკვე იმდენად დამკვიდრდა, რომ ის თავის როლს მსოფლიოში ერთგვარად “დამდაბლებულად” ხედავს და, საერთოდ, დიდწილად მსოფლიოს მამაკაცის თვალებით უყურებს.

ამრიგად, მოდით, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ქალთა დისკრიმინაცია არ არის თითოეული გამოწვევილი პრობლემა¹. შევთანხმდეთ იმაზეც, რომ არსებობს სქესთა კონფლიქტიც. ზემოთჩამოთვლილ უარყოფით ფაქტებს რომ თავი გავანებოთ, ის არსებობს თუნდაც იმიტომ,

რომ მის გარეშე არ იარსებებდა არც სქესთა შორის მიზიდულობა. მაგრამ ეს უკვე კონფლიქტის სხვა, უფრო ფილოსოფიურ არსს შეეხება, მე კი საყოფაცხოვრებო, სოციალურ პრობლემატიკას მინდა დავუბრუნდე.

რა არის კონფლიქტი? ჯეფრი რუბინი განსაზღვრავს კონფლიქტს ორ (ან მეტ) მხარეს შორის როგორც სიტუაციას, როდესაც ერთ-ერთი მხარე მიისწრაფვის მიზნისკენ, რომელსაც მეორე მხარე არ ეთანხმება. ეს მიზანი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ჩვენს შემთხვევაში ქალები მიისწრაფვიან მამაკაცებთან თანასწორი მდგომარეობის მისაღწევად, მამაკაცები კი - არსებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად. ისინიც კი, ვინც თეორიულად აღიარებს, რომ ქალების მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, როგორც წესი, არ ეთანხმებიან იმას, რომ მათმა მეუღლეებმა უნდა ისწავლონ, წაიკითხონ ან მეგობრებთან დრო გაატარონ იმის ნაცვლად, რომ ოჯახის საქმეს მიხედონ. და მართლაც, ვილაცამ ხომ უნდა დააღაგოს, გააკეთოს სადილი, გარეცხოს... ძალიან ცოტა თუ დაეთანხმება იმას, რომ ცოლ-ქმარმა შეიძლება თანაბრად გაინაწილოს ეს სამუშაო და შედეგად ორივეს დარჩება თავისუფალი დრო, რომელსაც ერთად გაატარებენ (ან ცალ-ცალკე, თუ ასე ურჩევნიათ). აქ მინდა აღვნიშნო, რომ თუ ისეთ ვითარებაში, როდესაც ქალი ნებაყოფლობით თანხმდება იმაზე, რომ ქმრის კმაყოფაზე იყოს, ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე, მის მიერ ოჯახური საქმეების სრული დატვირთვის ზიდვა შეიძლება ლოგიკურად მოგვეჩვენოს, მაშინ, როდესაც ორივე მეუღლე მუშაობს და ორივეს შემოაქვს ოჯახში შემოსავალი. ეს უკვე აბსურდული და აშკარა დისკრიმინაციული ხასიათის მოვლენაა.

დავუბრუნდეთ კონფლიქტს. მის გადასაწყვეტად არსებობს მოქმედების სამი ძირითადი ტიპი. პირველი არის თავს მოახვიო მოწინააღმდეგე მხარეს შენი მოსაზრება და აიძულო ის მიიღოს ეს მდგომარეობა. მეორეა, დათმო პოზიციები. მესამე შესაძლო გზა არის კომპრომისი - როდესაც ორივე მხარე თმობს თავისი უფლებებისა და თავისუფლების ნაწილს.

შეიძლება ითქვას, რომ საუკუნეების მანძილზე სქესთა სოციალური ურთიერთობისას მამაკაცებს პირველი გზა ჰქონდათ არჩეული, ქალებს კი - მეორე. უკანასკნელ ათწლეულებში ფემინიზმის წარმოშობასთან და განვითარებასთან ერთად ბევრი რამ შეიცვალა. საქართველოზე ეს ჯერ-ჯერობით ვერ ითქმის, მაგრამ დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალებმა თანასწორუფლებიანობას მიაღწიეს. სამწუხაროდ, ამ სფეროსაც აქვს თავისი რადიკალური გამოვლინებები. სქესთა კონფლიქტის გადაწყვეტისას მე ვერ მივიჩნევ გამოსავლად იმას, რომ ქალი, რომელსაც თანამშრომელმა მამაკაცმა კომპლიმენტი უთხრა, სასამართლოს მიმართავს და ჩივის, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს. სექსუალური ლტოლვა ბუნებრივი მოთხოვნილებაა ადამიანის, რომ არაფერი ვთქვათ სიყვარულის ღრმა და ყოვლისმომცველ გრძნობაზე. ქალისთვის კომპლიმენტის თქმა ნორმალური და, ჩემი აზრით, სასიამოვნო მოვლენაა. ადამიანს თუ არ ექნა გრძნობების გამოვლენის გზა, ეს უამრავ კომპლექსს გამოიწვევს (რაც, საერთო აზრით, უკვე უხვად ახასიათებს ამერიკელ მამაკაცებს). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კაცობრიობა ხომ უნდა გამრავლდეს? თუ სინჯარებით გამრავლებაზე გადავიდეთ?

თუ ვილაპარაკებთ სქესთა კონფლიქტის გადაჭრის გზაზე, ერთი რამე, მე მგონი, აშკარაა. სიტუაციამ, როდესაც კაცი ბატონობდა და ქალი დამორჩილებული იყო, ნამდვილად არ გაამართლა, საეჭვოა, გაამართლოს საპირისპირომაც. მე მართლაც ძალიან ეჭვი მეპარება იმაში, რომ ნორმალურ ქალს სიამოვნებდეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც კაცი მისთვის კომპლიმენტის თქმას ვერ გაბედავს ან სიმძიმის აწევაში არ დაეხმარება. რა თქმა უნდა, მთელი პრობლემა ერთ საკითხშია: რა ფასად მიჯდება მე ეს დახმარება ან კარებში წინ გატარება. თუ ამის საფასური ისევ ისაა, რომ მეორეხარისხოვან არსებად, “ნომერ მეორედ” აღმიქვამენ ბატონი მამაკაცები და შესაბამის ადგილს მომანიჭებენ საზოგადოებასა და ოჯახში

- გმადლობთ, არ მინდა. სიმძიმესაც თვითონ ავწევ და მამაკაცსაც წინ გავატარებ, ადგილსაც მე დავუთმობ, ოღონდ დაწყნარდეს. მე სხვა რამეზე მაქვს ლაპარაკი. ჩემი აზრით, ამ სიტუაციაში კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი ნორმალური გზა კომპრომისია. მსოფლიო ვეღარ დაუბრუნდება შუა საუკუნეებს და ქალი უკვე არასდროს არ დაკმაყოფილება დაქვემდებარებული მდგომარეობით. ცივილიზებული

თანარსებობისათვის ორივე სქესმა რაღაც უნდა დათმოს, თანაბრად გაინაწილოს პასუხისმგებლობა, როგორც ოჯახური, ისე სოციალური ვალდებულებები. ხოლო რაც შეეხება კომპლიმენტებს და ადგილის დათმობას... რატომ უნდა აღიქვას ქალმა ისინი შეურაცხმყოფელად და იმის მანიშნებლად, რომ მას ისევ როგორც სექსუალურ ობიექტს უყურებენ? ან რატომ უნდა თვლიდეს კაცი, რომ თუ ქალი თანასწორობას მოითხოვს, ამით მძიმე ფიზიკურ სამუშაოში დახმარებაზე უფლებას კარგავს? მე ხედვის სხვანაირ კუთხეს შემოგთავაზებდით.

ქალი მამაკაცზე ფიზიკურად სუსტია და სწორედ ეს არის მიზეზი, რატომაც უნდა დაეხმაროს მამაკაცი, და არა იმიტომ, რომ ის ქალია. ხომ დაეხმარებოდა თავისზე სუსტ მამაკაცს? მაგრამ ფიზიკური სისუსტე ხომ არ ნიშნავს გონებრივ ჩამორჩენილობას? მამ რატომ უნდა ქმნიდეს ის იმის საფუძველს, რომ მამაკაცმა ქალი არ ჩათვალოს თანასწორად? არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ თანასწორი არ ნიშნავს ერთნაირს. რაც შეეხება კომპლიმენტს, ჩემი აზრით, ნორმალურ ქალს ის ყოველთვის სიამოვნებს, თუ, რა თქმა უნდა, ნორმალური, და არა უხამსი, ფორმით არის ნათქვამი. ქალი ყოველთვის ცდილობს ლამაზი და მიმზიდველი იყოს, კომპლიმენტი კი იმის დასტურია, რომ მართლაც ასეთია, და, სხვათაშორის, ქალისთვის სასიამოვნოა არა მხოლოდ მამაკაცის, არამედ ქალის კომპლიმენტიც. ის, რომ ზოგიერთი ქალი კომპლიმენტს შეურაცხყოფად იღებს, მამაკაცთა მხრიდან დამამცირებელი დამოკიდებულების სამწუხარო შედეგია და, იმედია ასე აღარ იქნება, როდესაც ქალი დარწმუნდება, რომ მას უყურებენ როგორც სრულფასოვან პარტნიორს, და არა ლამაზ ლეკორატიულ სათამაშოს.

ჩემი აზრით, მამაკაცების მხრიდან კომპლიმენტზე აგრესიით პასუხი უკვე მათ მიმართ არის უსამართლობა და დისკრიმინაციის ნიშნებსაც კი ატარებს.

და კიდევ ერთი: ჩემი აზრით, აგრესია არც ერთ მხარეს არ გამოადგება ამ სიტუაციაში. ის მხოლოდ ორივეს დააზარალებს. ზარალდება ასევე ოჯახი, მდგომარეობა სამსახურში, ურთიერთობა... ორივე მხარე ფსიქოლოგთან გარბის და შედეგად კი... კომპლექსები და პრობლემები.

პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზაა კომპრომისი, სადაც ორივე მხარე რაღაცას დათმობს. ოღონდ არა ის კომპრომისი, როდესაც დაზარალდება ორივეს უფლებები და ვერც ერთი მხარე ნაბიჯს ვერ გადადგამს იმის შიშით, მეორე სასამართლოში არ გაიქცეს. არა, მე ლაპარაკი მაქვს რეალურ, თანასწორ და ჰარმონიულ პარტნიორობაზე, რომელიც მხოლოდ საზოგადოებაში მომხდარი პარადიგმული გარდატეხის, ანუ მისი ცნობიერების ძირეულად შეცვლის შედეგად არის შესაძლებელი. ქალი და კაცი არ არიან მტრები, თუმცა ხშირად ცდილობენ ერთმანეთს ამ კუთხით შეხედონ. არასოდეს არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ისინი ერთი მთელია და ერთმანეთს უნდა ავსებდნენ. ერთმანეთის გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია. ესე იგი, უნდა შეძლონ, იყვნენ პარტნიორები. ამის მისაღწევად კი ორივე მხარემ მდგომარეობას გააზრებულად უნდა შეხედოს, ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე და შეაფასოს მეორე მხარის მოთხოვნები არა თავისი, არამედ მათი საერთო ინტერესების თვალსაზრისით.

ძველი ბიჭები

გაგა ნიჟარაძე

ყოველ დიდ ქალაქს უნიკალური სოციალური სტრუქტურა ახასიათებს. ათასგვარი ისტორიული, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ეთნიკური ფაქტორი ერთმანეთს ეხლართება, ურთიერთზემოქმედებს, სპეციფიკურ გარემოსა და ატმოსფეროს ქმნის, რომლის წიაღშიც ყალიბდება მხოლოდ მოცემული ქალაქისათვის დამახასიათებელი სოციალური ტიპი, თავისი სუბკულტურით, ჟარგონით, ადათ-წესებით. ასეთია, მაგალითად, ლონდონელი კოკნი. ყარაჩოხელი და კინტო – თბილისის ნაშიერები არიან. ისტორიულმა პერიპეტიებმა ძველი თბილისის ეს კოლორიტული ფიგურები აღგავეს პირისაგან მიწისა; მხოლოდღა მათი შელამაზებული ლანდები შემორჩა ქართულ კინოსა თუ მხატვრობაში.

თბილისი შეიცვალა. შეიცვალა და იცვლება თბილისელთა ტიპებიც. ეს წერილი ეძღვნება თბილისური ცხოვრების ერთ პერსონაჟს, რომლის კვლავწარმოება ახლა, თუ არ ვცდები, ეცემა; ეს პერსონაჟი, (საუბარია ძველი ბიჭის სახელით ცნობილ ფიგურაზე), ტრანსფორმაციას განიცდის. ძველბიჭობის პიკი, მისი სოციალური წარმატება 1992-94 წლებზე მოდის, როდესაც შესაბამისი გაგება მცირე ხნით ლამის გაბატონდა საქართველოში. მას მერე ძველი ბიჭი, კლასიკური სახით, გაიშვიათებას იწყებს, მაგრამ მის მოსპობაზე ლაპარაკი ნაადრევია. რა იქნება - ვნახოთ. თუ ძველმა ბიჭებმა კინტოსა და ყარაჩოხელის ბედი გაიზიარეს, არა მგონია, ამან ვინმეს გული დაწყვიტოს. მაგრამ ძველი ბიჭის მემკვიდრეები, ალბათ დარჩებიან. ასეა თუ ისე, თავს უფლებას მივცემ, იმედი ვიქონიო, რომ შემოთავაზებული ანთროპოლოგიურ-ფსიქოლოგიური ეტიუდი არ იქნება მთლად უინტერესო.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, 50-იანი წლების ბოლოდან, ქართულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში, გარკვეული მორალური ვაკუუმი გაჩნდა - კომუნისტური ღირებულებები სტალინთან ერთად წარსულს ჩაბარდა. ბუნება, მოგეხსენებათ, ვაკუუმს ვერ იტანს, ამიტომ, როგორც ეს ხშირად ხდება, ხსენებული ვაკუუმი მალე შეივსო - შეივსო პრიმიტიული ეთიკური სისტემით, სახელდობრ, დამნაშავეთა სამყაროს მორალური კოდექსიდან ნასესხები ნორმებით ანუ, ქურდული გაგებით (ოდნავ შერბილებული ფორმით). იმავე პერიოდს დაემთხვა საქართველოში ნარკოტიკების ნაკადის მკვეთრი ზრდა. სწორედ ამ ორი ფაქტორის მოქმედების პროდუქტია ძველი ბიჭის ფიგურა (თუმცა ძველ ბიჭსა და ნარკომანს შორის არ შეიძლება ტოლობის ნიშნის დასმა; ეს ორი კატეგორია, თუმცა მნიშვნელოვნად, მაგრამ მაინც მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ერთმანეთს). ფაქტობრივად, ძველბიჭობის ფენომენი ქართული კონტრკულტურის ფორმად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც საფუძვლად ედო არსებული რეალობის მიუღებლობა და უფროს თაობასთან კონფლიქტი. სხვა საქმეა, რომ გაუცნობიერებელი პროტესტი მის გამომწვევ მიზეზებზე არანაკლებ უზნეო ცხოვრების სტილში გამოიხატა.

ქურდული გაგების ძირითადი პრინციპები კი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- არავითარი თანამშრომლობა სახელმწიფო სტრუქტურებთან, მით უმეტეს კანონდამცველ ორგანოებთან. სათანადო ტერმინით მარკირებული დამსმენი უაღრესად ოდიოზური ფიგურა ხდება;
- მორალური ნორმები ვრცელდება მხოლოდ საკუთარი წრის წარმომადგენლებზე. სხვა ადამიანებს მხოლოდ გამოყენებითი ღირებულება აქვთ;

- საკუთარი შრომით თავის რჩენა უარიყოფა;
- თვით “ქურდული გაგების” წრეში იმარჯვებს ძლიერი; სუსტი განწირულია;
- ყველა პასუხს აგებს მოწმეთა თანდასწრებით წარმოთქმულ ნებისმიერ სიტყვასა თუ საქციელზე.

დაუფიქრებლად წარმოთქმული სიტყვის პოტენციური ეფექტის საილუსტრაციოდ ერთ ღიმილისმომგვრელ ამბავს მოვიყვან, რომელიც თვითმხილველმა მომიტხრო:

ციხის კამერა, ზედა ნარაზე წამოწოლილია კაემანით შეპყრობილი ქურდი. ქვევით ორ მუჟიკს შორის მიმდინარეობს კამათი თემაზე: რომელი გაასწრებს, “ჟიგული” თუ “ზიმი”.

დრო მიდის, დისკუსიის სიმწვავე კი არ ცხრება. ქურდმა ველარ მოითმინა და გაღიზიანებული ტონით მიმართა მოკამათეებს: “მოკეტეთ რა, არ იცით, რომ ორივეს ველოსიპედი გაასწრებს?!” - მაღალი ავტორიტეტით დათრგუნული მუჟიკები ჩუმდებიან.

ქურდი მოულოდნელად იძაბება და მის შუბლზე, თითქოს მორბენალი სტრიქონი ჩაირთო, ამოიკითხება შემდეგი ფიქრები: “ეხლა ეს რო წავიდეს, სადმე თქვას ველოსიპედი მანქანას გაასწრებსო, ქურდმა მითხრაო, მოწმეებიც ყავს, პირზე დამადგებიან, სიტყვაზე ატყეჩაი უნდა იყო, გამაფუჭებენ!” ამიტომ მალე გაისმის მეორე რეპლიკა: “მაგრამ... ჩვეულებრივი ველოსიპედი კი არა, მატორი უნდა ეყენოს!” აუდიტორია გასუსულია. პრობლემა კი გადაუჭრელი რჩება – ველოსიპედი, თუნდაც “მატორიანი”, მაინც ვერ გაასწრებს. ქურდი აგრძელებს: “თანაც ეგეთი... აბწეკაემი ფორმა უნდა ჰქონდეს”... და ბოლოს: “და კარგი ბენზინი უნდა ესხას!!” ამრიგად, ქურდული ღირსება დაცულია – ვერავინ იტყვის, რომ “ზიმი” გაასწრებს აქვე გამოგონებულ უცნაურ სატრასპორტო საშუალებას.

ძველი ბიჭის წინამორბედად შეიძლება ბირჟევიკი ჩაითვალოს. ბირჟების გაჩენა თბილისის სხვადასხვა უბანში, თუ არ ვცდები, 50-იან წლებში ხდება. ბირჟებზე იკრიბებოდნენ უბნის ბიჭები, საქმეებს არჩევდნენ, დროს კლავდნენ. ზოგჯერ ბირჟებს შორის კონფლიქტი ხდებოდა, მიმდინარეობდა მეტოქეობა უბნის პირველი დამრტყმელის ტიტულისათვის... მაგრამ უდავოა, რომ ბირჟევიკების თაობისათვის ქურდული გაგება და ნარკოტიკებისადმი ინტერესი არ წარმოადგენდა ცხოვრების სტილის განმსაზღვრელ ღირებულებას.

ასე, თუ ისე, 60-იანი წლების ბოლოდან თბილისის ქუჩებში გამოჩნდა საშუალოზე უკეთესად ჩაცმული, მაგრამ, რომ იტყვიან, ცუდად მოვლილი, გაუპარსავი და არცთუ ჯანსაღი სახის ფერის პატრონი პირქუში ფიგურა, დამახასიათებელი ლაპარაკის მანერითა და მიხრა-მოხრით. გავეცნოთ მას უფრო ახლოს (აქ ხშირად მომიწევს ჟარგონული სიტყვების გამოყენება; მკითხველს ვთხოვ, არ გაიგოს ეს როგორც იუმორისტული ეფექტის მისაღწევად გამიზნული ხერხი, უბრალოდ, ბევრი ცნების გამოხატვა მხოლოდ ჟარგონის გამოყენებითაა შესაძლებელი).

ასაკი – 14-დან 25 წლამდე. 25 წლის შემდეგ ძველი ბიჭების გზები იყოფა. ნაწილი “ნორმალური” ცხოვრების სტრუქტურაში ერთვება; ამასთან, ადრე ზოგი ქურდული გაგების პრინციპებს ივიწყებდა და პარტიულ თუ კომკავშირულ სამუშაოზე, ან მილიციაშიც კი ამოჰყოფდა თავს. მეორე ნაწილი პროფესიული დამნაშავე ხდებოდა თუ ხდება; მესამე – საქმოსნობას იწყებს და ა.შ.

სოციალური წარმოშობა – ფრიად მრავალფეროვანი. ძველ ბიჭებში შეხვდებით დაბალი, საშუალო და მაღალშემოსავლიანი ოჯახების შვილებს... ეს უკანასკნელები და, მით უმეტეს, გავლენიანი მშობლების მყოფი ძველი ბიჭები ღიდ ღირებულებას წარმოადგენენ ნაკლებად

ავტორიტეტული მშობლების ამარა დარჩენილებისათვის, ვინაიდან მილიცია-პოლიციასთან კონფლიქტის შემთხვევაში, დიდი კაცი, შვილი რომ გადაარჩინოს, მის ძმაცაც გამოიხსნის განსაცდელისაგან.

ჩაცმულობა. ძველ ბიჭებს არ ახასიათებთ რაიმე სპეციფიკური ტანსაცმელი ან ატრიბუტიკა (ვთქვათ, როკერებისა და ჰიპებისაგან განსხვავებით). ერთადერთი, მათ უყვართ მუქი სათვალეები, რასაც პრაგმატული საფუძველი აქვს: წამლით ამღვრეული თვალების დაფარვა. ყურადღებას კიდევ რამდენიმე დეტალი იპყრობს. როგორც უკვე გაკვრით აღინიშნა, ძველ ბიჭებს კარგი ნივთები უყვართ (რომელთაც ხშირად არცთუ პატიოსანი გზებით შოულობენ), მაგრამ მათთვის სრულიად უცხოა ელეგანტურობა და მით უმეტეს, რაიმე ექსტრავაგანტულობა ჩაცმულობაში. იგულისხმება, რომ განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი გარეგნობის, მოდის მოთხოვნათა მიმართ, “არაკაცურია”. აქედან – ასე ვთქვათ, “დაუდეგარი სტილი”, თითქოსდა უყურადღებობა ჩაცმისადმი. თუმცა ეს დაუდეგრობა მოჩვენებითია და სპეციალურადაა შექმნილი – ბევრი ძველი ბიჭი მოულოდნელ ერუდიციას ავლენს ტანისამოსთან და სხვა მოღურ აქსესუარებთან დაკავშირებულ საკითხებში.

ძველი ბიჭის ყველაზე გამორჩეულ ნიშნად სპეციფიკური ქცევითი სტერეოტიპები უნდა ჩაითვალოს – ლაპარაკის მანერა, მიხრა-მოხრა, შესტიკულაცია და ა.შ. ამ სტერეოტიპების დიდი ნაწილი მჭიდროდაა დაკავშირებული ძველი ბიჭის ცხოვრების წამყვან ფსიქოლოგიურ მოტივთან – სოციალური დომინანტობის მოპოვებისაგან სწრაფვასთან. დომინანტური პიროვნება – ეს ისეთი ადამიანია, რომელიც ისწრაფვის ძალაუფლებისაკენ, მბრძანებლობისაკენ, დამოუკიდებლობისაკენ, მაინცდამაინც არ უწყევს ანგარიშს სოციალურ ნორმებს და ავტორიტეტებს, იგი ენერგიულია და აგრესიული. რა თქმა უნდა, დომინანტობისაკენ სწრაფვა ძალზე დიდ როლს თამაშობს ადამიანთა ცხოვრებაში საერთოდ, მაგრამ ძველი ბიჭების წრეში ეს ღირებულება, კაიფს თუ არ ჩავთვლით, პრაქტიკულად მთლიანად განსაზღვრავს ცხოვრების წესს. ამასთან, დომინანტობის მიღწევის ხერხები შეზღუდულია და საბოლოო ჯამში დაიყვანება ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარამდე. ტალანტით, სიმდიდრით, ოჯახიშვილობით და სხვა ამგვარებით ძველ ბიჭებში დომინანტურ მდგომარეობას ვერ მოიპოვებ. ერთადერთი გზაა შინაგანი პიროვნული ძალის დემონსტრირება, ანუ შნო (სიტყვა შნო აქ ცვლის ფრიად კოლორიტულ ჟარგონულ სიტყვას, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ ვხმარობ ცენზურული მოსაზრების გამო; გამგები, რა თქმა უნდა, გაიგებს).

სწორედ ამგვარი, საკმაოდ პრიმიტიულად გაგებული დომინანტობის გამოხატულებია ძველი ბიჭებისათვის დამახასიათებელი ქცევითი სტერეოტიპები. მაგალითად, ტიპური პოზა: კისერი და თავი გაშეშებულია, მხრები წინაა წამოწეული, ხელები მოღუნებულია, მაგრამ ეს არაა ბრეჯი. ბრეჯი, ასე ვთქვათ, უხეში ფიზიკური ძალის დემონსტრირებას წარმოადგენს და ძველი ბიჭების თვალში პროვინციულობის ელფერს ატარებს. ერთ დროს ასეთი “აფორიზმიც” კი იყო გავრცელებული: “ეხლა მეჩვიდმეტე საუკუნე არაა, მარტო კუნთებზე რო იყურებოდე”. ძველები პოზა კი გამოხატავს ღირსებას, საკუთარ თავში დარწმუნებულობას და სამყაროს მიმართ ოდნავ ირონიანარევე ქედმაღლობას. საუბრის დროს ერთი ან ორივე ხელი იდაყვში იხრება და მოღუნებული მაჯა სიტყვების ტაქტში მოძრაობს. თუ ბაზარმა უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო, შესტები მუქარანარევე ხდება – მოღუნებული მხოლოდ შუა და უსახელო თითები რჩება, დანარჩენი თითები კი განხვევებულია და ოპონენტისაკენ მიმართული, აქცენტირდება ქვემოთკენ (ანუ მიწისკენ) მიმართული მოძრაობები.

კლასიკური ძველი ბიჭი ერთ საკმაოდ რთულ ხელოვნებას უნდა ფლობდეს – შეეძლოს კარგა ხანი იმყოფებოდეს ჩაკუზულ მდგომარეობაში. ვისაც უცდია, დამეთანხმება, რომ ეს

არცთუ იოლია. ბაზრითა და ფურთხებით გართულ ძველ ბიჭს კი საათები შეუძლია გაატაროს ჩაკუზულმა. როგორც ეტყობა, სასურველი შედეგი ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მიიღწევა და აქ ძველ ბიჭებს მხოლოდ იაპონელები თუ შეეჯიბრებიან.

ძველი ბიჭისათვის აუცილებელია რაც შეიძლება ფართო და რაც მთავარია, ავტორიტეტული ნაცნობების წრის ყოლა. ახლად გაცნობილ თანატოლთან ურთიერთობისას პირველ რიგში, ირკვევა საერთო ნაცნობების წრე – ამის მიხედვით დგინდება თანამოსაუბრის რანგი.

გასაგებია, რომ ამგვარ სიტუაციაში ბევრი უღმერთოდ იტყუება – ამა და ამ ლეგენდარული ფიგურის უახლოესი ძმაკაცი ვარო. თუმცა ეს მარტივი ხერხი არცთუ ისე ხშირად აღწევს მიზანს – გამოცდილი ძველი ბიჭი ადვილად ხვდება სიცრუესაც, მოსაუბრის ჭეშმარიტ რანგსაც და შესაბამისად ექცევა.

თავყრილობის ადგილებში, განსაკუთრებით თუ დამსწრეთა რანგი არცთუ ისე მაღალია, ძველი ბიჭი “ბებერი ლომის” როლს თამაშობს, მისი მოძრაობები ზანტი ხდება, საუბარი ნელი და სიტყვაძუნწი. ყველასათვის ცხადია, რომ მას ისეთი “გზა აქვს გამოვლილი”, ისეთი პერიპეტეიები გადახდენია, რომ მოცემული თავყრილობა მისთვის არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს და მასზე დასწრებით იგი დიდ პატივს სდებს აუდიტორიას (სინამდვილეში საქმის ვითარება უმრავლეს შემთხვევაში სწორედ რომ საწინააღმდეგოა). ამიტომ პატივცემული სტუმრის ყოველ სიტყვას დიდი ღირებულება აქვს – რასაც თვით ძველი ბიჭიც ყველანაირად უსვამს ხაზს: სიტყვებს წარმოთქვამს ცხვირში და ოდნავ ზრინწიანი, “ზანტი” ხმით. დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციას: შთაბეჭდილება ისეთია, ძველი ბიჭები ყოველი ერთი-ორი სიტყვის შემდეგ შეკითხვას სვამენ. მაგალითად ფრაზა: „მეშვიდე კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი“ – ძველი ბიჭის გადმოცემაში ასე ჟღერს (ჟარგონული და უწმაწური გამოთქმების გამოტოვებით): “მე?... სკოლაში რო ვსწავლობდი?... მეშვიდე კლასამდე?... სუ ხუთები მყავდა”...

ეს ფრაზა შემთხვევით არ მომიყვანია. საქმე იმაშია, რომ აღწერილ სიტუაციაში “ბებერი ლომი” ხშირად დიდაქტიკურ საუბარს მიმართავს, რომლის თემას ხშირად სწავლისა და განათლების აპოლოგია შეადგენს. ძველი ბიჭი სინანულს გამოთქვამს, რომ ცხოვრების უკუღმართობამ იგი ადრე მოწყვიტა ცოდნის წყაროს და დამსწრეებს მოუწოდებს წიგნები იკითხონ, ისწავლონ და ა. შ. რა თქმა უნდა, ამგვარ მოწოდებებს არც ერთი წუთით არ უყურებს სერიოზულად არც ძველი ბიჭი და არც აუდიტორია. ქვეტექსტი აქ სულ სხვაა – ისევ დომინანტობის დემონსტრირება: იგულისხმება, რომ ძველი ბიჭის “ცხოვრების გზა” რჩეულთა ხვედრია, ხოლო ბუნებით ნაკლებად დაჯილდოებულმა პირებმა თავისი შესაძლებლობის შესაბამისი ასპარეზი უნდა აირჩიონ, – მაგალითად, ისეთი არცთუ ისე რთული საქმიანობა, როგორცაა სწავლა-განათლების მიღება.

საერთოდ, მოწიწების გრძნობით გამსჭვალული აუდიტორიის წინაშე მარიაჟი ძველ ბიჭებს უდიდეს ბედნიერებას ანიჭებს. სწორედ ამ მიზნით ხდებოდა მათი კონცენტრირება სვეტურ კურორტებზე – წყნეთში, ბაკურიანში, ბიჭვინთაში და სხვა. ასეთ ვითარებაში კი პრაქტიკულად გარდაუვალი იყო შეტაკებები. და მართლაც, საკურორტო სეზონებზე საკმაო სისხლი იღვრებოდა და იღვრება. ადგილობრივ მილიციასა და ქირურგებს სამუშაო უათკეცდებოდა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, მათი მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად უმჯობესდება.

ძველ ბიჭებს საერთოდ უყვართ “კაი ცხოვრება”. მოსკოვის, ლენინგრადის, ბალტიისპირეთის დედაქალაქების საუკეთესო სასტუმროებში აუცილებლად წააწყდებოდით ჩვენთვის ნაცნობ ფიგურებს. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. 70-იანი წლების ბოლოს მოსკოვში “მონა ლიზა” ჩამოიტანეს და ამან თბილისშიც გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია. ჰოდა, ერთ საკმაოდ ჭრელ წვეულებაზე დამსწრე ძველმა ბიჭმა მოულოდნელად გამოთქვა

ნატვრა, იდუმალად მომღიმარი ქალბატონის პორტრეტის მფლობელი გამხდარიყო. მცირე პაუზის შემდეგ ვილაცამ ფრთხილად ჰკითხა, რად გინდაო, რაზედაც ამომწურავი პასუხი მიიღო: “შვიდას მანეთად გაგყიდდი და ტალინში წავიდოდიო”...

საგულისხმოა შემდეგი გარემოება: არც ერთი ძველი ბიჭი არ იტყვის საკუთარ თავზე, ძველი ბიჭი ვარო. სხვებზე იცოცხლეთ, იტყვის. როგორც ჩანს ძველი ბიჭი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ მისი ცხოვრების სტილი ფუჭია და უპერსპექტივო, მაგრამ ვინაიდან მასზე ხელს ვერ იღებს, ამიტომ ფსიქოლოგიურ თავდაცვას მიმართავს – საკუთარ თავს არწმუნებს, მე არა ვარ ძველი ბიჭი, გაცილებით უფრო ღრმა და რთული პიროვნება ვარ...

გასაგებია, რომ “კაი ცხოვრება” და განსაკუთრებით “წამალი” საკმაო სახსრებს საჭიროებს. მაგრამ სანამ ძველი ბიჭის შემოსავლის წყაროებს შევხებოდეთ, ერთი მომენტი უნდა აღინიშნოს. ყველა ზემოთ აღწერილი ქცევითი სტერეოტიპი, ლაპარაკის მანერა და ა. შ., რა თქმა უნდა, ნებისმიერი ძველი ბიჭისათვის აუცილებელია, მაგრამ მხოლოდ მათი საშუალებით შეუძლებელია მაღალი რანგის მოპოვება. საჭიროა, ჯერ ერთი, ძველ ბიჭს მართლაც გააჩნდეს პიროვნული ძალა (და არა მხოლოდ მისი დემონსტრირების უნარი) და მეორეც, გარკვეული ნიჭი, აზროვნების სისხარტე, სიტუაციის აღლოს აღების უნარი; იგი უნდა წამში გაერკვეს, სად ბოლომდე მიაწვეს, სად მინიმალური დანაკარგებით უკან დაიხიოს, სად საერთოდ არ გამოიჩინოს თავისი ძველბიჭობა და ა. შ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბაზარის ხელოვნებას. ბევრი ძველი ბიჭი ჭეშმარიტი ვირტუოზია კაზუისტიკის, დემაგოგიისა და სოფისტიკის დარგში. ილუსტრაციისთვის ერთ მაგალითს მოვიყვან.

მთავარ პერსონაჟებს პირობითად დავარქვათ „ძველი ბიჭი“, „მსხვერპლი“ და „ძმაკაცი“.

კოლიზია ასეთია: მსხვერპლმა „ორი დღით ათხოვა“ ძველ ბიჭს დანა ანუ ტისაკი, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ორი და არც ოცდაორი დღის შემდეგ უკან არ დაუბრუნდა. მსხვერპლს კარგად ესმის, რომ მიწოლის შნო არა აქვს – ძველი ბიჭის ავტორიტეტი და რანგი უფრო მაღალია. ამიტომ იგი ღრმად ჩაფიქრებულ სვლას მიმართავს – ძველ ბიჭს ეუბნება, რომ დიდი ხანია ძმაკაცს დაპირდა, ამ ტისაკს გაჩუქებო, ახლა კი ძმაკაცი დანაპირებს მოითხოვს. იგულისხმება, რომ მსხვერპლს ვითომდა ტისაკი სულაც არ ენანება (“რაა, რკინაა ბოლო-ბოლო”), მაგრამ რა ქნას, ძმაკაცს აჩუქა, დანაპირებს კი შესრულება უნდა (სიტყვის გატეხვა, როგორც ვიცით, არ შეიძლება). სინამდვილეში, რასაკვირველია, ძმაკაცი, იურიდიული ენით რომ ვთქვათ, “ცრუმაგიერი”, ანუ პადსტავნი ფიგურაა, რომელიც საფუძველს უმაგრებს მსხვერპლის პრეტენზიებს. დაინტერესებული პირები და ნეიტრალური მამყურებლები (რომელთა შორის მეც ვიმყოფები) სადარბაზოში შეიკრიბნენ. გაიმართა დიალოგი, რომელიც ტიპური ძველბიჭური სოფისტიკის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

ძველი ბიჭი: “შენ მე მაწვეები?”

მსხვერპლი: “ჰო, ძმაკაცს ვაჩუქე...”

ძველი ბიჭი: “ზნაჩიტ, ტისაკი შენი აღარაა. როგორღა მაწვეები?”

მსხვერპლი: “ძმაკაცი მაწვება, მაიტაო”.

ძველი ბიჭი (ძმაკაცს): “ძმაკაცს როგორ აწვეები, ჩემი...!” ძმაკაცი დარცხვნილია.

ძმაკაცი: “მე შენ გაწვეები?”

ძველი ბიჭი: “ძმაო, ტისაკი შენ მომეცი? არა? მაშ როგორ მაწვეები?!”

ინციდენტი ამოწურულია. ყველასათვის ცხადია, რომ მსხვერპლისა და ძმაცაცის პრეტენზიები სრულიად უსაფუძვლოა. დანა ძველ ბიჭს რჩება სრულიად “კანონიერად”.

რაც შეეხება ძველი ბიჭის მატერიალურ უზრუნველყოფას, იგი ძირითადად სამი წყაროსაგან შედგება: ელემენტარული ქურდობა (წვრილი საგნებიდან დაწყებული და ბინების გასუფთავებით დამთავრებული), აზარტული თამაშები (თაღლითური ხერხებიც ფართო გამოყენებით) და ეგრეთ წოდებული დაწერვა. ამ უკანასკნელის მექანიზმი მეტად მარტივია. ძველი ბიჭი რაიმეს (ტანსაცმელს, საათს, ფულს, ან, როგორც აღწერილ ეპიზოდში, ტისაკს და ა.შ.) “თხოვლობს” ან “სესხვლობს” დაბალ რანგიანი თანატოლისაგან და შემდეგ აღარ უბრუნებს. უსაფრთხოება ასეთ შემთხვევაში თითქმის გარანტირებულია, დაზარალებული პოლიციაში არ ჩივის (ისევ ქურდული გაგებიდან გამომდინარე), ხოლო თუ იგი დაზარალებისათვის ნაცნობ მაღალრანგიან ძველ ბიჭს მიმართავს, როგორც წესი, ზრდილობიან უარს აწყდება – აქ უკვე ძველი ბიჭის “პროფესიული ეთიკა” მოქმედებს. ისე კი აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას ძველ ბიჭს აგრეთვე მართებს “ტაქტი” – მოგეხსენებათ ცხვარი ცხვარია...

კარგად მესმის, რომ მოცემული ნარკვევი არაა სრული და ძველი ბიჭების ყოფის შესახებ კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას, მაგრამ ამ ჯერზე

თქმულით შემოვიფარგლები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში კიდევ ბევრი “თეთრი ლაქაა”, რომლებითაც ჯერ-ჯერობით ცოტა ვინმე თუ დაინტერესებულა. არადა მათ უკან ყოველთვის კონკრეტული, ცოცხალი და საინტერესო რეალობა იმალება. ისიც უდაოა, რომ “ნაცნობი უცნობები” შემოქმედებენ საერთო-ქართულ მენტალიტეტზე, ქცევის ნორმებზე და ა. შ. მაგალითად, ჩემი აზრით, ძველბიჭური რეალიები გარკვეულ გავლენას ახდენენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაზეც კი.

ცხადია, თუ გვინდა შევიცნოთ, ვინ ვართ და რა ვართ, ჩვენი საზოგადოების ყველა ჯგუფისა და ფენის თავისებურებები უნდა გავითვალისწინოთ. ძველი ბიჭებიც ამ რიცხვშია.

Ho-Won Jeong is an Associate Professor at the Institute for Conflict Analysis and Resolution, George Mason University. His primary research areas range from structural sources of conflict, macro theories on conflict to development and conflict. Dr. Jeong is the editor of the New Agenda for Development and Peace Research (1999) and Global Environmental Policies: Institutions and Procedures (2001) as well as the author of Peace and Conflict Studies: An Introduction (2000). He is also the editor of two journals, International Journal of Peace Studies (published in association with the International Peace Research Association’s Commissions) and Peace and Conflict Studies (sponsored by the Network of Peace and Conflict Studies).

Redefining Third Party Roles in Peace Building

by Ho-Won Jeong

The issues faced in a post-conflict settlement process are different from the challenges found in small group negotiation or mediation settings. Negotiated settlement does not necessarily end in an outcome which brings about a balanced relationship. High levels of violence may have been controlled, but many unresolved issues can re-generate confrontation. The major tasks involve the implementation of peace agreements and, more importantly, the reconstruction of a society

torn apart by violence. Third party intervention is essential not only because the ability to implement the agreement is hampered by the destruction of social and political functions but also the trust level between adversaries is still low.

Given its complex nature, peace building requires multiple third party roles, ranging from peacekeeping to social reconstruction. Peacekeeping components are required to monitor a cease-fire between former adversaries. In addition, peacekeeping missions in the implementation of post-conflict activities are engaged in the demobilization of regular and militia forces and the confiscation of weapons. Enforcement function is needed to prevent the breakdown of order since cooperation from warring parties is not always obtained. In the absence of a reliable political structure, the functions of peacekeeping are extended to observing elections, reforming government institutions, training personnel and establishing law and order.

International assistance is critical given that local organizations do not have technical and material capacities to meet both immediate and long-term community needs. United Nations agencies and regional organizations often provide technical training programs and deliver urgently needed services as well as documenting and implementing refugee settlement. Many international NGOs have also been involved in the economic and social rehabilitation of war torn societies where government services do not exist. Third parties can be engaged in assisting with the establishment of participatory political institutions.

In building trust and inducing cooperation, third parties help change the perceptions and behavior of the disputing parties. Resolving differences at the negotiation table does not necessarily lead to building trust at a societal level. Especially at the early stage of peace building, restoring confidence is critical in preventing a return to violence. Mediation, conciliation and arbitration can be introduced to diffuse tensions arising from conflicting claims over properties and land.

Since civil society building cannot proceed without the cooperation of adversarial communities, restructuring of the relationship has to follow the implementation of the agreement on peaceful settlement. Social reconstruction and reconciliation is geared toward building new relations within the community. Intercommunal programs bring hostile groups together to heal past wounds and search for a common future. External aid can be used to promote better relations between adversaries by lending support to new initiatives. Technical training programs can be designed to promote dialogue and exchange.

Third party intervention has been designed to achieve the goal of long term settlement and building a stable society. International communities need to identify, nature and support elements that make a peace process durable. A successful third party intervention changes the dynamics of the existing structure. In the implementation of a peace agreement, third parties bring both incentives and deterrence power so that the peace process would not derail.

Powerful third parties may threaten sanctions to control the behavior of reluctant parties and use force to impose rules. Side payments can be used to induce cooperation. The employment of economic aid as a major carrot and stick can be contingent upon the willingness of parties to continue to commit themselves to peace agreements. The nature and effectiveness of third party intervention, however, depends on such factors as the existing level of trust between adversaries and the capacities of local communities for resource mobilization.

პო უან ჟონგი და მისი მშვიდობა

წარმოშობით სამხრეთ კორეელი სოციალური მეცნიერი ჰო უან ჟონგი არის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი თანამედროვე მშვიდობის მეცნიერებაში. იგი მუშაობს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ინსტიტუტში. მისი გამოკვლევის მთავარი ფოკუსი გახლავთ კონფლიქტის სტრუქტურული მიზეზები. დოქტორი ჟონგის ხელმძღვანელობით გამოიცა “სამშვიდობო კვლევებისა და განვითარების ახალი დღის წესრიგი” (1999 წ.) და “გლობალური გარემოს დაცვის პოლიტიკა: ინსტიტუტები და პროცედურები” (2001 წ.). იგი აგრეთვე არის ავტორი “მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევის წინასიტყვაობისა” (2000 წ.). ის არის აგრეთვე ორი სამშვიდობო ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

ჰო უანის ნაშრომებში უაღრესად საინტერესოა მისი მრავალმხრივი მიდგომა, სადაც იგი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების, როგორებიცაა ეთნიკური, რასობრივი, კლასობრივი, სქესობრივი, რელიგიური თუ სხვა კონფლიქტების მიზეზების ინტეგრაციული მეთოდებით მოძიებას და გარკვეული საერთო გამოსავლის მონახვას. მის ნაშრომებში იგრძნობა აგრეთვე სეულის უნივერსიტეტის სული, სადაც 80-იან წლებში დიდი საპროტესტო მოძრაობა იყო სწორედ კლასობრივი თანასწორობისათვის და რომელმაც შორეულ აღმოსავლეთში დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ განვითარებაზე.

იმედი გვაქვს დოქტორი ჰო უან ჟონგის სტატია საშუალებას მისცემს ჩვენს მკითხველს გაეცნოს კონფლიქტების მოგვარების ახლებურ თვალთახედვას.

მშვიდობის მშენებლობის პროცესში მესამე მხარის როლის ახლებური განსაზღვრა

ჰო უან ჟონგი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი

საკითხები, რომლებიც პოსტ-კონფლიქტური მოგვარების პროცესში წამოიჭრება, თვისობრივად განსხვავდება პრობლემებისაგან, რომელთაც მცირე ჯგუფების მოლაპარაკებებისა და მედიაციის პროცესში ვაწყდებით. მოლაპარაკებების შედეგად გარკვეული შეთანხმების მიღწევა ყოველთვის არ გულისხმობს დაბალანსებული ურთიერთობების დამყარებასა და განმტკიცებას. შესაძლოა ამგვარი მოლაპარაკებების შედეგად ძალადობა და ძალისმიერი დაპირისპირება კონტროლირებადი გახდეს, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში გადაუჭრელი რჩება მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რაც კონფრონტაციის განახლების პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. აქედან, ძირითად პრობლემას მიღწეული შეთანხმების პრაქტიკაში განხორციელება და, განსაკუთრებით, დაპირისპირების შედეგად გახლეჩილი საზოგადოების რეკონსტრუქცია წარმოადგენს. შეთანხმების განხორციელების თვალსაზრისით, მესამე მხარის ჩარევა მნიშვნელოვანი და, უფრო მეტიც, აუცილებელიც არის, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ფაქტობრივად სოციალური და პოლიტიკური ფუნქციების მოშლა ამ პროცესის შეფერხებას იწვევს, არამედ იმ მიზეზითაც, რომ უშუალოდ კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის ფაქტორის აღდგენა მოკლე ვადებში ვერ ხერხდება.

თავისი რთული სპეციფიკიდან გამომდინარე, მშვიდობის მშენებლობის პროცესი მესამე მხარის როლისა და ფუნქციების მრავალმხრივობას მოითხოვს, იქნება ეს მშვიდობის დაცვისა თუ სოციალური რეკონსტრუქციისაკენ მიმართული ძალისხმევა. მშვიდობის დაცვა მესამე მხარის ფუნქციათა ის კომპონენტია, რომელიც, ძირითადად, მონიტორინგის გზით ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების შესრულებას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მშვიდობის დამცველთა მანდატი ხშირად პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში კონფლიქტის მხარეთა რეგულარული და არაფორმალური სამხედრო შენაერთების დემობილიზაციასა და მათ ხელთ არსებული საბრძოლო იარაღის მშვიდობიანი გზით კონფისკაციასაც

ითვალისწინებს. ზოგიერთ შემთხვევაში, კერძოდ მაშინ, როცა კონფლიქტის მხარეებთან თანამშრომლობა ვერ მიიღწევა, მშვიდობის დამცველთა მისია, წესრიგის შენარჩუნების მიზნით, გარკვეულ იძულების მექანიზმებსაც იყენებს. შესაბამისი პოლიტიკური სტრუქტურის არარსებობის პირობებში, მშვიდობის დამცველები ხშირად ითავსებენ არჩევნების დამკვირვებლთა და კანონიერებისა და წესრიგის დამცველთა ფუნქციებს და აგრეთვე მონაწილეობენ სახელმწიფო სტრუქტურების რეფორმირებისა და საკადრო მომზადების პროცესებში.

საერთაშორისო დახმარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პირველადი თუ გრძელვადიანი სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, იმდენად, რამდენადაც ადგილობრივ ორგანიზაციებს, ჩვეულებრივ, ამისათვის საჭირო ტექნიკური თუ მატერიალური სახსრები არ გააჩნიათ. გაეროს სტრუქტურები და რეგიონული ორგანიზაციები ხშირად ახორციელებენ ტექნიკური ტრენინგისა და პირველადი დახმარების პროგრამებს და, ამასთან ერთად, ხელს უწყობენ ლტოლვილთა განსახლების პროცესის რეგულირებას. შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების პარალიზების პირობებში, მრავალი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ასევე ჩართულია ომის შედეგად გახლეჩილი საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროცესში. მესამე მხარე აგრეთვე ხშირად მონაწილეობს და ხელს უწყობს წარმომადგენლობითი პოლიტიკური სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, მესამე მხარეს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს კონფლიქტის მხარეთა ურთიერთგანწყობისა და ქცევის მოდიფიცირებაში. უთანხმოებისა და დაპირისპირებების მოგვარება მოლაპარაკებათა მაგიდაზე, თავის მხრივ, სულაც არ ნიშნავს მშვიდობის დამყარებას სოციალურ დონეზე. ნდობის აღდგენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშვიდობის მშენებლობის საწყის ეტაპზე, რადგანაც მის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია ძალადობის განახლების პოტენციური საშიშროების აღმოფხვრა. მედიაციის, შერიგებისა და არბიტრაციის პოლიტიკის გატარების აუცილებლობა წარმოიქმნება ტერიტორიისა და საკუთრების ირგვლივ წარმოშობილი დაპირისპირების განმუხტვის მიზნით.

იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა წარმოუდგენელია მოწინააღმდეგე ჯგუფების თანამშრომლობის გარეშე, ამ უკანასკნელთა ურთიერთობების დარეგულირება მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების განხორციელებას უნდა მოჰყვეს შედეგად.

სოციალური აღმშენებლობა და შერიგება თავის მხრივ, საზოგადოებაში ახალი ურთიერთობების განვითარებას ედება საფუძვლად. ინტერკომუნალური პროგრამებით შესაძლებელი ხდება ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფების მოზიდვა, წარსულის ჭრილობების შეხორცებისა და საერთო მომავლის პერსპექტივებზე მსჯელობისათვის. მოწინააღმდეგეთა ურთიერთობების გაუმჯობესებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მესამე მხარის მხარდაჭერა ახალი კონსტრუქციული ინიციატივებისათვის. ტექნიკური ტრენინგის პროგრამები ამ შემთხვევაში შესაძლოა სწორედ დიალოგისა და თანამშრომლობის პლატფორმად იქცეს.

ამერიკელი ფსიქოლოგი მასლოუ გვთავაზობს “მოთხოვნილებათა პირამიდას”, რომელიც ქვემოდან ზემოთ იერარქიულად განალაგებს მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილებაც სჭირდებათ ადამიანებს. პირამიდა გულისხმობს, რომ დაბალი დონის მოთხოვნილებები (როგორცაა ფიზიოლოგიური და უსაფრთხოება) მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებული უნდა იყოს, რათა ადამიანს გაუჩნდეს ზედა დონის მოთხოვნილებები. (მიკუთვნებულობა და სიყვარული, საკუთარი თავის პატივისცემა, თვითაქტუალიზაცია) პრაქტიკულად ეს ასეა - თვითაქტუალიზაციაზე არავინ ფიქრობს, როდესაც მისი უსაფრთხოებისა და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები უპასუხოდაა დატოვებული. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც: ონორე დე ბალზაკმა საკუთარი რომანების უდიდესი ნაწილი შიმშილის შეგრძნებით დაწერა. ისტორია კიდევ ბევრ ასეთ ადამიანს იცნობს, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. ადამიანთა მასები კი უპირველესად ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნავენ.

რამდენადაა დღეს საქართველოში დაკმაყოფილებული ეს მოთხოვნილებები, ნათელია. როდესაც ქვეყანაში შიმშილი, სიცივე, არასტაბილური მდგომარეობაა და რეალურად მოქალაქეთა უსაფრთხოების არანაირი გარანტიები არ არსებობს, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამდენი სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა კონფლიქტები გვაქვს, რომელთა მოგვარებაზე ცოტა ვინმე თუ მუშაობს, მათ პრევენციაზე ზომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშასადამე, საქართველოში დღეს ადამიანთა უმრავლესობისათვის არცერთი დონის მოთხოვნილება არ არის დაკმაყოფილებული, რაც იწვევს აგრესიას, რომელიც თავის მხრივ, სხვადასხვა სახით გამოვლინდება კონფლიქტურ სიტუაციაში.

ქუჩის ძალადობა რომ აღმოიფხვრას, საჭიროა კონფლიქტის მოგვარება, რამდენადაც ის აქცენტს აკეთებს იმ პრობლემებზე, რომლებიც კომპრომისს არ უშვებენ, უბრალოდ, საჭიროა დაკმაყოფილდეს ადამიანის ონტოლოგიური მოთხოვნილებები. არაა საკმარისი მხოლოდ კონფლიქტური სიტუაციის განტვირთვა, საჭიროა მისი გამომწვევი მიზეზების გამორიცხვა.

ქუჩის ძალადობა სოციალური ფაქტორებით არის გამოწვეული. რა შეიძლება გაკეთდეს მისი მოგვარებისათვის? რასაკვირველია, ეკონომიკური ფონის გაუმჯობესება დიდ როლს შეასრულებს ქუჩაში არსებული განუკითხაობის მოწესრიგების საქმეში, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა ამ ფენომენის ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი – შეიძლება გადარცვო ადამიანი, მაგრამ არ სცემო, არ დაჭრა, ერთი სიტყვით, არ გაიმეტო სასიკვდილოდ. ამ ადამიანებს ფსიქიკა აქვთ დამახინჯებული, რაც განპირობებულია უმთავრესად ოჯახით, აღზრდით, გარემოთი, რომელშიც უხდებათ ცხოვრება მოზარდობის პერიოდში. გარემო აყალიბებს პიროვნებებს და სწორედ ოჯახმა უნდა შთაუწეროს მას, რომ ყველაზე მთავარი ფასეულობა დედამიწაზე ადამიანია. ქუჩის მოძალადეებისათვის ეს ღირებულება ალბათ უმნიშვნელოა, თორემ ასე ადვილად ვერ შეძლებდნენ მის გაწირვას. ამ

თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა ფსიქოლოგებისა და პედაგოგების ჯგუფს შეეძუშავებინა პროგრამა, თუნდაც ეთიკის სახით, რომელიც ჩართული იქნება სასკოლო კურიკულუმში და ადამიანებს ასწავლის ამ ფასეულობათა აღმოჩენასა და დაფასებას.

ახალგაზრდები, გამოძინარე ასაკიდან, ყოველთვის უფრო აგრესიულები და იმპულსურები არიან, მიუხედავად სოციალური ფაქტორებისა. იმ ფილმებმა კი, რომლებიც განვლილი ათი წლის მანძილზე იხილეს მათ, კიდევ უფრო გაამძაფრეს ეს აგრესია. მოზარდი უყურებს უსასტიკეს კადრებს და ეს ყველაფერი მისთვის მისაღები ხდება, მახინჯდება მისი ცნობიერება, რომლის გამოსწორება უკვე მოზარდილ ასაკში რთული და, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიც კი არის.

გარემოს დამატებული ასეთი ცნობიერება, მძიმე სოციალურ ფონთან ერთად, საკმაოდ ძლიერი ცდუნებაა, რომელიც კრიმინალური კარიერისაკენ უბიძგებს ადამიანებს, რასაც ადრე თუ გვიან ისინი მიჰყავს სასჯელადმსრულებელ სტრუქტურებამდე. აქ კიდევ ერთხელ ხდება ცნობიერების დამახინჯება, საიდანაც უკვე ჩამოყალიბებული კრიმინალები გამოდიან და საზოგადოებას ბუმერანგით უკან უბრუნდება მის ისეთივე მიერ დაშვებული შეცდომები.

დღესდღეობით ამ დარგში ხორციელდება რეფორმები, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ შეიცვალოს დამოკიდებულება პატიმრების მიმართ. არსებული შეხედულება პატიმრობაში მყოფი ადამიანებისათვის არანაირ პერსპექტივას არ ცნობს, იგი მარგინალიზირებულია საზოგადოების მიერ და მისი რეაბილიტაციის შანსებიც მინიმალურია. უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ პატიმრებიც ინდივიდები არიან, საჭიროებენ ისეთივე პატივისცემას და სიყვარულს, როგორც ნებისმიერი სხვა; უფრო მეტიც, იესო ქრისტეს მოძღვრების მიხედვით, გზასაცდენილი ადამიანებისადმი გაორმაგებული ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ და, თუ გვწამს, რომ ყველა ადამიანში არის კეთილი საწყისი, ასეთი დამოკიდებულება აუცილებლად გამოიღებს თავის დადებით შედეგებს. ნდობა და სიყვარული უმნიშვნელოვანესია ადამიანთა ურთიერთობებში, რათა მოხდეს კრიმინალური წარსულის მქონე პიროვნებათა რეაბილიტაცია. შემობრუნებულს ზურგი კი არ უნდა ვაქციოთ, პირიქით, ყველაფერში ჩვენი თანადგომა უნდა ვაგრძნობინოთ.

ზემოთ ჩამოთვლილი საფეხურები ქუჩის ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საქმეში სერიოზულ როლს თამაშობენ. თუკი მოხერხდება ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანების აღზრდა, ნორმალური ცნობიერების ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება ძალად ფასეულობათა სისტემაზე და ამასთანავე შევძლებთ უზრუნველვყოთ ისინი უსაზღვრო სიყვარულითა და ნდობით, მაშინ თვით ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი გაცილებით ნაკლები რაოდენობისა და სისასტიკის ძალადობა იქნება თბილისის ქუჩებში.

ჩემი მშვენიერი ლედი - რიან აისლერი

ჩემი მშვენიერი ლედი - რიან აისლერი

რიან აისლერი არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აღიარებული ფემინისტი, ფუტურისტი ქალი მოღვაწე, სოციალურ მეცნიერებებში. მისმა ნაშრომმა “თასი და მახვილი” ნამდვილი გადატრიალება მოახდინა საკაცობრიო აზროვნებაში 80-იანი წლების შუაგულში.

რიან აისლერმა მეტად მძიმე ბავშვობა და ახალგაზრდობა გამოიარა, როგორც ახალგაზრდა ებრაელმა ქალმა. მან საკუთარი თვალთ ნახა გესტაპოსა და ჰოლოკოსტის საშინელებანი,

ნახა აგრეთვე ის, რომ დომინაციასა და სხვა ადამიანების ჩაგვრას არასდროს მოაქვს ბედნიერება. ეს მხოლოდ და მხოლოდ საფუძველს უყრის სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანის უბედურებას. ის მოდელი, რომელსაც ბოლო საუკუნეების კაცობრიობა (და სამწუხაროდ ქალობრიობაც) ემორჩილება, რომელსაც “დომინაცია-სუბორდინაცია” ეწოდება, და რომელიც დამყარებულია ძალის პრიმატზე, სადაც ჩაგვრა და მორჩილება აუცილებელი ნაწილებია არსებული სისტემისა და არაფერს კარგს არ უქადის ადამიანებს. აისლერი ამის მაგივრად გვთავაზობს თანასწორუფლებიანი ურთიერთობების მოდელს, სადაც არც მამაკაცი, არც ქალი, არც მთავრობა, არც კორპორაციები, არც კაპიტალისტები და არც კომუნისტები არ ბატონობენ სხვებზე, სადაც ყველას აქვს შესაძლებლობა საკუთარი ადამიანობა გამოავლინოს. შეიძლება ასეთი მსოფლმხედველობა ბევრს დღეს უტოპიზმად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ალბათ ჩვენი საზოგადოების ნაკლი უფრო არის, ვიდრე თვითონ ამ თეორიისა.

რიან აისლერი არ არის ფუნდამენტალისტი ფემინისტი. ის ძირითად ესენციალურ საწყისებს ხელოვნურად არ ეჭიდება. ის არ ამბობს, რომ მამაკაცი და ქალი ბიოლოგიურად სრულიად იდენტურია. პირიქით, მისი ნაშრომი მამაკაცისა და ქალის განსხვავებულობის აღნიშნაა. უბრალოდ ის ფაქტი, რომ ქალურ საწყისს არ ეთმობა საკმარისი ადგილი დღევანდელ საზოგადოებაში, შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ ჩვენ ამდენი სახის ძალადობის მოწმეები ვართ, დაწყებული პირდაპირი ძალადობით, დამთავრებული სხვადასხვა სახის სტრუქტურული თუ კულტურული ძალადობით. მისი ფუტურიზმი მეტად იმედისმომცემია, სადაც ის მეტად გასაკები ენით გვთავაზობს საზოგადოების უარესად საინტერესო მოდელს, სადაც ადამიანებს შორის ჩაგვრა არ არის აუცილებელი ელემენტი და ჩვენ გვაქვს ამის ალტერნატივა. სხვათა შორის ძალიან საინტერესოა გაივლოს პარალელები ოთარ იოსელიანის ფილმთან “და იქმნა ნათელი” რომელიც დაახლოებით იმავე პერიოდში შეიქმნა, როცა “თასი და მახვილი”. აქ ჩვენ გვაქვს საზოგადოების მოდელი, რომელიც არ არის არც ტოტალიტარული კომუნისტური სახელმწიფო და არც ბიურგერულ-ფილისტერული დასავლური კულტურა. რიან აისლერიც ეძებს ასეთ მესამე გამოსავალს, რომელიც არც დასავლურია და არც აღმოსავლური, თავისი კულტურული და სტრუქტურული იმპერიალიზმით, არამედ სხვაა, რომელიც უფრო ოპტიმალურ მოდელს დასახავს. ეს ნაწარმოები თავისი სუფთა მეცნიერული ღირებულებით უდავოდ უმაღლეს საფეხურზე დგას და იმსახურებს უდიდეს ყურადღებას, როგორც სოციალურ მეცნიერებაში, ასევე ზოგადად ჩვენი ცხოვრების წესის შეფასებისას.

თასი და მახვილი

რიან აისლერი

შესავალი

ამ წიგნით კარი იღება. მისთვის გასაღების მორგებაზე მრავალი ადამიანის შრომა დაიხარჯა. კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა და უამრავი ნაშრომის დაწერა დასჭირდება ამ კარს შიგნით მდებარე სივრცეების ბოლომდე შესწავლას. ამ კარის შეღებისთანავე უკვე გამოჩნდა ახალი მიმზიდველი ცოდნის სივრცე ჩვენს წარსულზე და – ახალი თვალსაზრისი ჩვენს მომავალზე.

ჩემთვის, ამ კარების ძიება მთელი ცხოვრების საქმე იყო. მე ადრევე შევნიშნე, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები სინამდვილეს – იმას, რაც სინამდვილეში ხდება - განსხვავებულად ხედავდნენ. ასევე ადრეული ასაკიდან გამიჩნდა ადამიანებისადმი ძლიერი თანაგრძნობა. როცა ჯერ კიდევ სულ პატარა ვიყავი, სამყარო, რომელიც მყუდრო და

უსაფრთხო მეჩვენებოდა, ჩემს თვალწინ დაიმსხვრა. ეს მაშინ მოხდა, როცა ნაცისტებმა ავსტრიის ოკუპაცია მოახდინეს. მე ვნახე, როგორ მიჰყავდათ მამა. როდესაც დედაჩემმა საოცრებით შეძლო მამაჩემის გესტაპოდან გამოხსნა, ჩვენ გავიქეციით.

რატომ ვდევნით ერთიმეორეს? რატომაა ჩვენი სამყარო სავსე მამაკაცთა უსულგულობით სხვა მამაკაცებისა და ქალების მიმართ? რატომ არიან ადამიანები ასე სასტიკნი თავის მსგავსთა მიმართ? რა გვიბიძგებს მუდმივად ძალადობისკენ და არა სიკეთისკენ, ომისკენ და არა მშვიდობისკენ, ნგრევისკენ და არა შენებისკენ?

სიცოცხლის არსებული ფორმებიდან მხოლოდ ადამიანს აქვს უნარი თესოს და აილოს მოსავალი, წეროს ლექსები და მუსიკა, ეძიოს ჭეშმარიტება და სამართლიანობა, ასწავლოს ბავშვს წერა-კითხვა, იცინოს და იტიროს. ჩვენი უნიკალური უნარი, წარმოვსახოთ ახალი რეალობები და სულ უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიებით განვანოვოთ ისინი, გვაძლევს საშუალებას, მონაწილეობა მივიღოთ საკუთარ ევოლუციაში. მიუხედავად ამისა, ეს უნიკალური არსება დღეს თითქოს მიისწრაფვის ბოლო მოუღოს არა მარტო საკუთარ განვითარებას, არამედ მთლიანად სიცოცხლეს დედამიწაზე, ემუქრება რა ეკოლოგიური კატასტროფით და ბირთვული განადგურებით.

დრო მიდიოდა. მე ჩემს პროფესიულ საქმიანობას ვაგრძელებდი, გავხდი დედა. თანდათანობით ჩემმა საქმიანობამ და პუბლიკაციებმა მთლიანად თავი მოიყარა მომავლის კვლევების გარშემო. ჩემი წარმოდგენები გაფართოვდა და გაღრმავდა. სხვათა მსგავსად, მივედი იმ მოსაზრებამდე, რომ უკვე ძალიან ახლოს ვდგავართ ევოლუციის გზაჯვარედინთან და რომ არასოდეს ყოფილა მომავალი გზის არჩევანი ასეთი მნიშვნელოვანი. მაგრამ რა გზას ავირჩევთ?

სოციალისტები და კომუნისტები ამტკიცებენ, რომ ჩვენი პრობლემების და უბედურებების მიზეზი კაპიტალიზმია; კაპიტალისტების აზრით კი სწორედ სოციალიზმი და კომუნიზმი დაგვკლუპავს; ზოგიერთნი სიძნელეებს ჩვენ მიერ არჩეული “ინდუსტრიული პარადიგმით” ხსნიან, თვლიან, რომ ყველაფერში ჩვენი “მეცნიერული მსოფლმხედველობაა” დამნაშავე. სხვანი ჰუმანიზმს, ფემინიზმს, სეკულარიზმს სდებენ ბრალს და ამტკიცებენ, რაოდენ აუცილებელია დაუბრუნდეთ “ძველ, კარგ დროს”, როდესაც ყველაფერი მარტივი და რწმენით განმსჭვალული იყო.

თუმცა, რას ვხედავთ ყოველდღიურად ტელევიზორიდან ან გაზეთებიდან? – კაპიტალისტური, სოციალისტური და კომუნისტური ქვეყნებიც ერთნაირად ეჯიბრებიან ერთმანეთს შეიარაღებაში და სხვა მსგავს სიგიჟეში, რომელიც ჩვენც გვემუქრება და ჩვენს გარემოსაც. ხოლო თუ ჩვენს წარსულს გადავავლებთ თვალს – სასაკლაოებს, რომლებიც ჩვეული საქმე იყო ჰუნებისთვის, რომაელებისთვის, ვიკინგებისთვის და ასურელებისთვის, საზარელ ხოცვა-ჟლეტას, რომელიც მოიტანეს ქრისტიანულმა ჯვაროსნულმა ომებმა და ინკვიზიციამ, - დავინახავთ იმასაც, რომ ძველად, წინამეცნიერულ და წინაინდუსტრიულ საზოგადოებებში ძალადობა და უსამართლობა კიდევ უფრო მეტი იყო.

რადგან უკანსვლა არ არის გამოსავალი, მაშ, როგორ ვიმოდროთ წინ? ახალ ერაზე, ჯერ უნახავ ტრანსფორმაციაზე ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ კონკრეტულად რას ნიშნავს ეს ყოველივე? საიდან სად გადასვლას ვგულისხმობთ, როდესაც ტრანსფორმაციაზე ვლაპარაკობთ? რა შეიცვლება ან შეიძლება შეიცვალოს კონკრეტულად ჩვენს ყოველდღიურობაში და კულტურულ ევოლუციაში? რეალურია კი, ქრონიკული ომების, სოციალური უსამართლობის, ეკოლოგიური არასტაბილობის სისტემიდან გადასვლა იმ სისტემაზე, სადაც გამეფებულია მშვიდობა, სოციალური სამართლიანობა და ეკოლოგიური

წონასწორობა? და ყველაზე მთავარი, სოციალური სტრუქტურის როგორი ცვლილებები გახდის შესაძლებელს ამგვარ ტრანსფორმაციას?

ამ კითხვებზე პასუხის ძიებამ მაიძულა სხვა თვალთ შემეხედა ჩვენი წარსულისთვის, აწმყოსთვის და მომავლისთვის და ეს საფუძვლად დაედო ამ წიგნს. “თასი და მახვილი” ნაწილობრივ წარმოადგენს ამ ახალ მიდგომას ადამიანთა საზოგადოების შესწავლაში. იგი განსხვავდება კვლევათა უძრავლესობისაგან იმით, რომ მასში გათვალისწინებულია კაცობრიობის მთელი ისტორია (პრეისტორიული ხანის ჩათვლით) და კაცობრიობის ორივე ნახევარი (მამაკაცებიც და ქალებიც).

წიგნში “თასი და მახვილი” ხელოვნების, არქეოლოგიის, რელიგიის, სოციალური მეცნიერებების, ისტორიის და ცოდნის სხვა სფეროთა მონაცემებიდან იქმნება ახალი სურათი, რომელშიც მშვენივრად თავსდება ყველა მისაწვდომი ფაქტი. წიგნი ახლებურად ჰყვება ჩვენი კულტურული ძირების ისტორიას. მასში ნაჩვენებია, რომ ზოგადად ომი, და კერძოდ “სქესთა ომი”, არ წარმოადგენს ღვთაებრივ ან ბიოლოგიურ აუცილებლობას. მასში მოყვანილია იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ უკეთესი მომავალი შესაძლებელია – და რომ ამის სანდო საბუთები ჩვენი წარსულის დრამატულ მოვლენებში უნდა ვეძიოთ.

ადამიანური შესაძლებლობები: ორი ალტერნატივა

ყველასათვის კარგადაა ნაცნობი ლეგენდები უფრო ჰარმონიულ და მშვიდობიან ხანაზე. ბიბლია მოგვითხრობს ბაბზე, სადაც მამაკაციც და ქალიც ჰარმონიაში ცხოვრობდნენ ურთიერთთან და ბუნებასთან - იქამდე, სანამ მამა-ღმერთმა (მამაკაცმა) არ დაადგინა, რომ ამიერიდან ქალი მამაკაცის მსახური იქნება. ჩინურ დაო-დე-ძინში მოთხრობილია ისეთ დროებაზე, როდესაც ინზე, ქალურ საწყისზე, ჯერ კიდევ არ ბატონობდა იანი, მამაკაცური საწყისი, როდესაც დედობრივ სიბრძნეს ჯერ კიდევ უმაღლეს პატივს მიაგებდნენ. ჰესიოდე წერდა “ოქროს რასაზე (თაობაზე)”, “რომლებიც იყვნენ სპეტაკნი სულით და მშვიდად და უდარდელად ამუშავებდნენ მიწას”, სანამ სხვა, უფრო მდაბალი რასა არ მოვიდა თავისი ომის ღმერთით. და თუმცა მეცნიერები თანხმდებიან იმაში, რომ ეს ამბები დიდწილად ნამდვილ წინაისტორიულ მოვლენებს ეფუძნება, იმ დროის ხსენება, როცა ქალები და მამაკაცები თანხმობის და თანამშრომლობის პრინციპებით ცხოვრობდნენ, ტრადიციულად გამონაკონად ცხადდება.

ჯერ კიდევ არქეოლოგიის სიყმაწვილის პერიოდში ჰაინრიჰ და სოფია შლიმანების გათხრებმა დაადასტურა ჰომეროსისეული ტროას რეალობა. დღეს, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები, თანამედროვე მეთოდების მეშვეობით, ძველის ხელახლა გააზრება უჩვენებს, რომ ისეთი სიუჟეტები, როგორც ედემის ბაღიდან განდევნა, ასევე უხსოვარ დროში რეალურად მომხდარ მოვლენებს ეყრდნობა. მისი ფესვები იმ პირველი მიწათმოქმედი საზოგადოებების ხალხურ მენსიერებაშია, ვინც დედამიწაზე პირველი ბაღები გააშენა. ასევე, (როგორც ბერძენმა არქეოლოგმა სპირიდონ მარინატოსმა თითქმის ორმოცდაათი წლის წინ ივარაუდა) ლეგენდა იმაზე, თუ როგორ ჩაიძირა ატლანტიდის ოდესღაც ბრწყინვალე ცივილიზაცია, იყო სახეშეცვლილი მოგონება ეგეოსურ ცივილიზაციაზე, რომელმაც, როგორც დღეს ვარაუდობენ, შეწყვიტა არსებობა საშინელი მიწისძვრების და წყალდიდობების შედეგად.

იმის აღმოჩენამ, რომ დედამიწა არ არის ბრტყელი, კოლუმბის დროს ახალი, უჩვეულო სამყაროს აღმოჩენის შესაძლებლობა მოიტანა, ის კი ყოველთვის არსებობდა. ამის მსგავსად, არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა, რომლებსაც ინგლისელმა არქეოლოგმა ჯეიმს მელაარტმა ნამდვილი არქეოლოგიური რევოლუცია უწოდა, ფართოდ გაგვიღეს კარი ჩვენს დამალულ და არაჩვეულებრივ წარსულში. ჩვენს თვალწინ გადაიშალა აყვავების ხანგრძლივი ხანა, როცა ჩვენი სოციალური, ტექნოლოგიური და კულტურული ევოლუცია აღმავლობის გზით

მიდიოდა: ათასწლეულების მანძილზე, იქმნებოდა ცივილიზაციისთვის ძირითადი ტექნოლოგიები და იქმნებოდა ისინი იმ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცი არ დომინირებდა, სადაც არ იყო ძალადობა და იერარქია.

სხვა მტკიცებულებას იმის სასარგებლოდ, რომ არსებობდა ჩვენგან განსხვავებული ორგანიზაციის საზოგადოებები, წარმოადგენს ქალური ღვთაებები, რომელთა არსებობა სხვაგვარად ვერ აიხსნება. მათ სახეებს ჩვენ ვხვდებით უძველეს ხელოვნებაში, მითოლოგიაში და ისტორიულ თხზულებებში. არსებითად, წარმოდგენამ სამყაროზე, როგორც გულუხვ დედაზე, ჩვენამდეც მოაღწია, მართალია, ერთგვარად სახეშეცვლილი სახით. ჩინეთში ქალ ღვთაებებს მა ციუს და ხუან ინს დღემდე თაყვანს სცემენ, როგორც გულუხვ და კეთილ ქალღმერთებს. ანთროპოლოგი სანგრენი აღნიშნავს, რომ “ხუან ინი ჩინეთში აშკარად ყველაზე პატივსაცემი ღვთაებაა”. ამის ანალოგიურად ძალიან გავრცელებულია მარიამ ღვთისმშობლის კულტი. თუმცა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ თეოლოგიაში მას არაღვთაებრივი პერსონაჟის სტატუსი აქვს, მისი ღვთაებრივი ბუნება იმპლიციტურად აღიარებულია მის სახელში- “ღვთისმშობელი”, ასევე იმაში, რომ მილიონობით ადამიანი ნუგეშისა და დახმარებისთვის ყოველდღიურად ლოცვას აღავლენს მის მიმართ. უფრო მეტიც, ქრისტეს დაბადების, სიკვდილის და აღდგომის ამბავი საოცრად გვაგონებს უფრო ადრეულ “მისტიკურ კულტებს”, რომელთა ცენტრს წარმოადგენდნენ დედობრივი ღვთაება და მისი ვაჟი, ან როგორც დემეტრას და კორას შემთხვევაშია - მისი ქალიშვილი.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ყველაზე ადრეული წარმოდგენები ღვთაებრივ ძალაზე, განსახიერდებოდნენ ქალის და არა მამაკაცის სახით. როდესაც ჩვენმა წინაპრებმა დაიწყეს მუდმივი შეკითხვების დასმა (სად ვიმყოფებოდით, სანამ დავიბადებოდით? სად მივდივართ, როდესაც ვკვდებით), მათ უნდა შეემჩნიათ, რომ სიცოცხლე ქალისგან ჩნდება. მათთვის ბუნებრივი იყო სამყარო წარმოედგინათ დედის სახით, რომლის სხეულიდანაც ჩნდება ნებისმიერი სიცოცხლე და სადაც, მცენარეთა ციკლის მსგავსად, ყველაფერი ბრუნდება სიკვდილის შემდეგ, რათა კვლავ დაიბადოს. ბუნებრივია ასევე, რომ ისეთ საზოგადოებებს, სადაც სამყაროს განმგებელ ძალაზე ამგვარი წარმოდგენა არსებობდა, განსხვავებული სოციალური სტრუქტურა უნდა ჰქონოდა, იმ საზოგადოებებთან შედარებით, სადაც თაყვანს მამა ღვთაებას სცემდნენ, რომელსაც ხელთ ელვა ან ხმალი ეპყრა. სავსებით ლოგიკურია, თუ დავასკვნით, რომ ქალებს არ ეკავათ დაქვემდებარებული მდგომარეობა იმ საზოგადოებებში, სადაც სამყაროს განმკარგავი ძალა ქალის სახით იყო წარმოდგენილი. ასევე ნათელია, რომ ისეთ “ქალურ” თვისებებს, როგორიცაა ზრუნვა, თანაგრძნობა, არაძალადობა, ძალიან მაღალი ღირებულება უნდა ჰქონოდა ამგვარ საზოგადოებებში. ამასთან, არავითარი საფუძველი არ არის დავასკვნათ, რომ იქ, სადაც მამაკაცები არ იმორჩილებდნენ ქალებს, ქალებს დაემორჩილებინათ მამაკაცები.

მიუხედავად ამისა, როცა მეცხრამეტე საუკუნეში აღმოაჩინეს ასეთი საზოგადოებების არსებობის პირველი მოწმობანი, გადაწყვიტეს, რომ ამ საზოგადოებებში “მატრიარქატი “იყო. ხოლო როცა მონაცემებმა ეს ფაქტები არ დაადასტურეს, საყოველთაოდ გავრცელდა აზრი, რომ ადამიანთა საზოგადოებაში მამაკაცი ყოველთვის იკავებდა და დაიკავებს გაბატონებულ მდგომარეობას. თუმცა, თუ კი მოვშორდებით სინამდვილის აღქმის ჩვეულ მოდელებს, ნათელი გახდება, რომ არსებობს კიდევ ერთი ლოგიკური ალტერნატივა: სავსებით დასაშვებია ისეთი საზოგადოების არსებობა, სადაც განსხვავება აუცილებლად არ გულისხმობს უპირატესობას ან არასრულფასოვნებას.

სქესთა როლების თვალსაზრისით ადამიანთა საზოგადოებაზე ახალი შეხედულების შედეგად გაჩნდა კულტურული ევოლუციის ახალი თეორია. ეს თეორია, რომელსაც მე კულტურული

ტრანსფორმაციის თეორია ვუწოდებ, ამტკიცებს, რომ ადამიანთა კულტურების ზედაპირული მრავალფეროვნების შიგნით დევს საზოგადოების მოწყობის ორი ამოსავალი მოდელი.

პირველი მოდელი, რომელსაც მე ბატონობის მოდელს ვუწოდებ, ჩვეულებრივ, ატარებს ან პატრიარქატის ან მატრიარქატის სახელს. მეორე მოდელს, – რომელშიც საზოგადოებრივი ურთიერთობანი ეფუძნება, ურთიერთკავშირს და არა იერარქიას, შეიძლება ვუწოდოთ პარტნიორობის მოდელი. ამ მოდელის ფარგლებში განსხვავებანი, დაწყებული ყველაზე ძირეული განსხვავებით ქალებსა და მამაკაცებს შორის, არ არის გაიგივებული არასრულფასოვნებასთან ან უპირატესობასთან.

კულტურული ტრანსფორმაციის თეორია ამტკიცებს ასევე, რომ ჩვენი კულტურული ევოლუციის გეზი თავდაპირველად იყო პარტნიორობა, მაგრამ ქაოსის პერიოდის შემდეგ და კულტურის თითქმის სრული განადგურების შემდგომ, მოხდა ღრმა სოციალური გარდატეხა. დასავლური საზოგადოებების შესახებ მონაცემთა არსებული სიჭარბე (დასავლური სოციოლოგიის ეთნოცენტრული ხასიათის შედეგად) გვაძლევს საშუალებას უფრო დაწვრილებით გავაღვიწხოთ თვალი ამ გარდატეხას დასავლური კულტურული ევოლუციის ანალიზის გზით. თუმცა, არსებობს მინიშნებები იმაზე, რომ პარტნიორობიდან ბატონობის მოდელზე გადასვლას პარალელურად დედამიწის სხვა ადგილებშიც ჰქონდა ადგილი. სათაური “თასი და მახვილი” დაკავშირებულია იმ კატაკლიზმებთან, რომელიც მოსაბრუნებელ პუნქტად იქცა დასავლური ცივილიზაციისთვის ჯერ კიდევ წინაისტორიულ ხანაში, როცა ჩვენი კულტურული ევოლუციის მიმართულებამ ფაქტიურად საპირისპირო გეზი აიღო. ამის შედეგად, იმ საზოგადოებათა კულტურული ევოლუცია, სადაც თავყვანს სცემდნენ სამყაროს მაცოცხლებელ და მასაზრდოებელ ძალებს, და რომელთა სიმბოლოსაც დღემდე თასი ან გრავალი წარმოადგენს, შეწყდა. პრეისტორიულ პერიოდში ჩნდებიან პლანეტის პერიფერიებიდან მოსული დამპყრობლები. მათ მოაქვთ სოციალური ორგანიზაციის სრულიად განსხვავებული ფორმა. როგორც კალიფორნიის უნივერსიტეტიდან მარია გიმბუტასი წერს, ეს ადამიანები ეთაყვანებოდნენ “მახვილის მომაკვდინებელ ძალას”. იმ ძალას, რომელიც კი არ აძლევს, არამედ ართმევს სიცოცხლეს. იმ ძალას, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია ბატონობის ურთიერთობების დამყარება.

ევოლუციის გზაჯვარედინები

დღეს ისევ გზაჯვარედინზე ვდგავართ და ჩვენს არჩევანზე შეიძლება იყოს დამოკიდებული ჩვენი ბედი. ახლა, მილიონჯერ გამრავლებული მახვილის მომაკვდინებელი ძალა, ბირთვული იარაღის მეგატონებით ემუქრება კაცობრიობის მთელ კულტურას. “თასში და მახვილში” მოწოდებული უახლესი აღმოჩენები ძველი და ახალი ისტორიის შესახებ, მხოლოდ ისტორიის ახალი გვერდი როდია, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ეს ცოდნა უდიდეს ინფორმაციას გვაძლევს ჩვენს აწმყოზე და შესაძლო მომავალზეც.

საუკუნეების მანძილზე მამაკაცები ომობდნენ, ხოლო მახვილი მამაკაცურ სიმბოლოდ რჩებოდა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ძალადობა და სისხლისმსმელობა მამაკაცის ბედისწერაა. დამწერლობითი ისტორიის ხანაშიც ჩვენ ვხვდებით მშვიდობისმოყვარე მამაკაცებს, რომელთაც ძალადობა ზიზღს ჰკვრიდა. ცხადია, რომ წინაისტორიული საზოგადოებები, სადაც თასი, განასახიერებდა მაცოცხლებელ და მასაზრდოებელ ძალას და რომელსაც უმაღლესი ღირებულება ჰქონდა დასახლებული იყო როგორც ქალებით, ასევე მამაკაცებით. პრობლემის არსი არაა მამაკაცი, როგორც ერთ-ერთი სქესი. პრობლემა იმ სისტემაშია, სადაც მახვილის ძალა გაიდულებულია, სადაც კაცებიც და ქალებიც სწავლობენ, რომ ვაჟკაცობა იგივეა რაც ძალადობა და რომ მამაკაცები, რომლებიც ამ იდეალს არ შეესაბამებიან ჩაითვალონ “ზედმეტად რბილებად” და “ქალურებად”.

უმრავლესობისთვის ძნელია იმის დაჯერება, რომ შესაძლებელია ადამიანთა საზოგადოების განსხვავებულად სტრუქტურირება, განსაკუთრებით თუ ივარაუდებენ, რომ ჩვენი მომავალი დამოკიდებული იქნება რაიმეზე, რაც ქალებს ან ქალურობას უკავშირდება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ მამაკაცთა დომინაციის საზოგადოებებში ყველაფერი, რაც ქალთან არის ასოცირებული, ავტომატურად აღიქმება მეორეხარისხოვნად, ან “ქალურ პრობლემად”, რომელიც თუ გადასაჭრელია, მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანთა გადაჭრის შემდეგ. მეორე მიზეზი ის შეიძლება იყოს, რომ ჩვენ არ ვფლობთ საკმარის ინფორმაციას. მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობა ორი ნახევრისგან შედგება (ქალებისა და მამაკაცებისგან), ადამიანთა საზოგადოების კვლევების უმრავლესობაში მთხრობელიც და მოქმედი პირიც მხოლოდ მამაკაცია.

იმის შედეგად, რასაც გადაჭარბების გარეშე “მამაკაცთა კვლევა” შეიძლება ეწოდოს, სოციოლოგების უმრავლესობას უხდებოდა მეტად არასრული მონაცემებით მუშაობა, რომელიც ნებისმიერ სხვა დარგში არასანდო ფაქტობრივ საფუძვლად იქნებოდა მიჩნეული. დღესაც კი, ინფორმაცია ქალების შესახებ მოთავსებულია ერთგვარ ინტელექტუალურ გეტოში. მეორეს მხრივ, ფემინისტური მოძრაობის წარმომადგენელთა კვლევებიც თითქმის მხოლოდ ქალებისთვის არის განკუთვნილი, რაც გასაგებია, რადგან ქალთა პრობლემები უშუალოდ ქალთა ცხოვრებას ეხება.

მოცემული წიგნი იმით გამოირჩევა, რომ იგი იკვლევს, თუ როგორ გავლენას ახდენს სოციალურ სისტემაზე მთლიანად კაცობრიობის ორი ნახევრის ურთიერთობათა ხასიათი. ნათელია, რომ ამ ურთიერთობათა სტრუქტურას სერიოზული შედეგები მოაქვს პირად ცხოვრებაში, როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის, განსაზღვრავს რა ჩვენს როლებს და შესაძლებლობებს. თუმცა მნიშვნელოვანია ასევე სხვა რამ, რაც ძირითადად უგულებელყოფილია, მაგრამ რისი გამოხატვაც ღირს სიტყვებით. კერძოდ, ის, თუ როგორ ვაყალიბებთ ადამიანთა ურთიერთობიდან ყველაზე ფუნდამენტურს (რომლის გარეშეც სახეობის შენარჩუნება არ მოხდება), ძირეულ გავლენას ახდენს ყველა ინსტიტუტზე და როგორც შემდგომ ვაჩვენებთ, კულტურული ევოლუციის მიმართულებაზე, კერძოდ იმაზე, იქნება იგი მშვიდობიანი თუ ომებით სავსე.

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ არსებობს ქალურ და მამაკაცურ ნახევრებს შორის ურთიერთობის ორი ძირითადი სახე. ყველა არსებულ საზოგადოებაში ხორციელდება ან ბატონობის მოდელი, რომელშიც საბოლოო ჯამში იერარქია შენარჩუნებულია ან შიშით ან შიშის მუქარით, ან პარტნიორობის მოდელი, ან კიდევ მათი შუალედული ჰიბრიდული ვარიანტი. თუ ახლებურად შევხედავთ და მხედველობაში მივიღებთ როგორც მამაკაცებს ასევე ქალებს, აღმოვაჩინოთ დომინაციის (ბატონობის) და პარტნიორობის სოციალური ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელ მთელ რიგ სისტემურ ნიშნებს.

მაგალითად, ჩვეული შეხედულებით, ჰიტლერის გერმანია, ჰომეინის ირანი, სამურაების იაპონია, ატტეკების ამერიკა სრულიად განსხვავებულ საზოგადოებად წარმოგვიდგება რასობრივი, ეთნიკური, ტექნოლოგიური განვითარების და გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით. მაგრამ, თუ კულტურული ტრანსფორმაციის თეორიის კუთხით შევხედავთ, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მამაკაცთა დომინირების საზოგადოებრივი სტრუქტურების სისტემური ნიშნები, ჩვენ დავინახავთ გასაოცარ მსგავსებას. ეს, ყველა თვალსაზრისით განსხვავებული საზოგადოებები არა მარტო იმით ხასიათდება, რომ მათში მამაკაცი დომინირებს, არამედ იმითაც, რომ მათში ყოველთვის იერარქიული და ავტორიტარული, სოციალური სტრუქტურები იქმნება და აღინიშნება სოციალური ძალადობის, კერძოდ კი საომარი აგრესიის მაღალი დონე.

ამის შესაბამისად, საზოგადოებები, სადაც სქესთა შორის უფრო ეგალიტარული ურთიერთობებია, მიუხედავად მრავალი სხვა სახის განსხვავებისა, საოცარ მსგავსებასაც ამჟღავნებენ. აღსანიშნავია, რომ ასეთი – პარტნიორულ მოდელზე დამყარებული საზოგადოებები, გარდა იმისა, რომ უფრო მშვიდობიანია, ნაკლებ იერარქიულნი და ავტორიტარულნიც არიან. ამას ადასტურებს ანთროპოლოგიის მონაცემები (ბამბუტი და კუნგი), სექსუალურად უფრო ეგალიტარული თანამედროვე საზოგადოებების (მაგ. სკანდინავიური ნაციების, კერძოდ შვედეთის) მახასიათებლების შესწავლა და ასევე წინაისტორიული და ისტორიული მონაცემები, რომელთაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

სოციალური ორგანიზაციების მიმართ ბატონობის და პარტნიორობის მოდელების გამოყენებით, მათი აწმყოს და მომავლის ანალიზისთვის, ჩვენ შეგვიძლია ახლებურად გავიაზროთ ჩვეული პოლარიზაცია მემარჯვენეობასა და მემარცხენეობას შორის, კაპიტალიზმსა და კომუნიზმს შორის, რელიგიურობასა და სეკულარიზმს შორის და თუნდაც მასკულინიზმსა და ფემინიზმს შორის. უფრო ზოგადი პერსპექტივიდან ჩანს, რომ ყველა თანამედროვე განმანათლებლობის შემდგომი მოძრაობები: სოციალური სამართლიანობისთვის, რელიგიურობისა თუ სეკულარიზმის, ისევე, როგორც ფემინისტური, მშვიდობის (პაციფისტური) და ეკოლოგიური მოძრაობები, შეგვიძლია განვიხილოთ ბატონობიდან პარტნიორობაზე გადასვლის ფართო ფრონტის ნაწილებად. ამას გარდა, დღევანდელი უპრეცედენტოდ მძლავრი ტექნოლოგიების ფონზე, ეს მოძრაობები განასახიერებს ჩვენი სახეობის ევოლუციურ ბრძოლას გადარჩენისთვის.

თუ გადავხედავთ ჩვენი კულტურული ევოლუციის მთელ პერიოდს, კულტურული ტრანსფორმაციის თეორიის შუქზე, დავინახავთ, რომ ჩვენი გლობალური კრიზისების ფესვები ჩადის იმ ძირეული გარდაქმნების დროში, რომელიც წინაისტორიულ პერიოდში მოხდა და რომელმაც მოიტანა კოლოსალური ცვლილებები, არა მარტო სოციალურ სტრუქტურაში, არამედ ტექნოლოგიურ განვითარებაშიც. ეს იყო ძვრა იმ ტექნოლოგიებიდან, რომლებიც აუძვობეს ბენ და მხარს უჭერენ სიცოცხლეს, ტექნოლოგიებზე, რომლებსაც განასახიერებს “მახვილი”, რომელთა დანიშნულებაც არის განადგურება და დამონება. ამგვარი ტექნოლოგიური გარდატეხა დამახასიათებელია დოკუმენტირებული ისტორიის უდიდესი ნაწილისთვის. სწორედ ეს გარდატეხა, და არა საკუთრივ ტექნოლოგია უქმნის საფრთხეს სიცოცხლეს დედამიწაზე.

აუცილებლად აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იტყვიან, რომ თუკი წინაისტორიულ ხანაში მოხდა გადასვლა პარტნიორობის მოდელიდან, ბატონობის მოდელზე, მაშასადამე ის უფრო პროგრესული იყო. მაგრამ არგუმენტი, რომ თუ რაღაც მოხდა, ე.ი. ეს ევოლუციის სასარგებლო იყო, არ არის მართებული, როგორც, მაგალითად დინოზავრების შემთხვევაში. ყოველ შემთხვევაში, ადამიანთა კულტურული ევოლუცია ისეთი ხანმოკლეა ევოლუციის კრიტერიუმებით, რომ რაიმე განაჩენის გამოტანა ჯერ ადრეა. რეალური პრობლემა იმაშია, რომ ბატონობის მოდელი დღევანდელი მაღალგანვითარებული ტექნოლოგიების გათვალისწინებით ძალიან ხისტი და შეუსაბამო აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, ბატონობის მოდელმა თავისი განვითარების ყველა რესურსი ამოწურა, მრავალი ქალი და მამაკაცი უარყოფს სოციალური ორგანიზაციის საუკუნოვან პრინციპებს, მათ შორის სქესთა სტერეოტიპულ როლებსაც.

ბევრისთვის ეს ცვლილებები მხოლოდ იმის სიგნალია, რომ სისტემა დაინგრა და ახლოვდება ქაოსი, რომელსაც, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, თავი უნდა დავაღწიოთ. მაგრამ სწორედ ასეთი სწრაფი ცვლილებების გამოა, რომ სულ უფრო მეტი ადამიანი მზადაა დაინახოს

ახალი ალტერნატივები.

“თასი და მახვილი” შეეცდება გვიჩვენოს ეს ახალი ალტერნატივები.

ქაოსი თუ ტრანსფორმაცია

კვლევას, რომელიც საფუძვლად უდევს “თასს და მახვილს”, სოციალური მეცნიერები ქმედებათა ანალიზს უწოდებენ. ეს არა მარტო იმის კვლევაა, თუ რა იყო, არის და შეიძლება ყოფილიყო, არამედ იმ გზების აღმოჩენა, რომლებითაც უფრო ეფექტურად მოვახდენთ ზემოქმედებას კულტურულ ევოლუციაზე.

აქამდე კულტურული ევოლუციის კვლევათა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებდა ტექნოლოგიური და სოციალური განვითარების სვლაზე უფრო მარტივიდან რთული დონეებისკენ. განსაკუთრებით აღნიშნული იყო რადიკალური ტექნოლოგიური ძვრები, ისეთები, როგორცაა მიწათმოქმედებაზე გადასვლა, ინდუსტრიული რევოლუცია, ან სულ ახლახან, პოსტინდუსტრიულ ან ბირთვულ-ელექტრონულ ერაზე გადასვლა. განვითარების ამ ასპექტს ნამდვილად აქვს მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიური შედეგები, მაგრამ იგი კაცობრიობის ისტორიის მხოლოდ ნაწილს გვიჩვენებს.

ისტორიის მეორე ნაწილს შეადგენს მოძრაობის განსხვავებული ტიპი: სოციალური ორგანიზაციის გადახრა პარტნიორობის ან ბატონობის მოდელისკენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურული ტრანსფორმაციის თეორიის ცენტრალური თეზისი ის არის, რომ კულტურული ევოლუციის მიმართულება პარტნიორულ და ბატონობის საზოგადოებებში მეტად განსხვავებულია.

ეს თეორია ნაწილობრივ ამოდის მნიშვნელოვანი განსხვავებიდან, რომელიც თითქმის არ ყოფილა გათვალისწინებული. საქმე ის არის, რომ ტერმინს - ევოლუცია გააჩნია ორი მნიშვნელობა. მეცნიერებაში იგი აღწერს ცოცხალ არსებათა ბიოლოგიურ და უფრო ზოგადად, კულტურულ ისტორიას. ევოლუცია ასევე, ნორმატიული ცნებაა. მართლაც, ის ხშირად პროგრესის, ანუ დაბალიდან მაღალ დონეზე სვლის, სინონიმად იხმარება.

სინამდვილეში, თვით ტექნოლოგიური ევოლუციაც კი არ იყო ასეთი სწორხაზოვანი, მოძრაობა დაბლიდან, უფრო მაღალი დონეებისკენ. ეს უფრო იყო პროცესი, რომელიც ხასიათდებოდა მასშტაბური უკუსვლებით, ისეთებით, როგორც იყო საბერძნეთის ბნელი ხანა ან ევროპის შუა საუკუნეები. მიუხედავად ამისა, აშკარაა, რომ პროცესის დომინანტას წარმოადგენდა სწრაფვა უფრო მეტი ტექნოლოგიური და სოციალური სირთულისკენ. შეიძლება აღინიშნოს ასევე ადამიანის სწრაფვა უფრო მაღალი მიზნებისკენ:

ჭეშმარიტებისკენ, სილამაზისკენ, და სამართლიანობისკენ. მაგრამ ბარბაროსობა, სისასტიკე და აგრესიულობა, რომელიც ახასიათებს წერილობით ისტორიას, აჩვენებს, რომ ეს სვლა არ იყო პირდაპირი. როგორც ფაქტები უჩვენებს, აქაც შეგვიძლია ვილაპარაკოთ მასშტაბურ რეგრესიებზე.

როდესაც ვაგროვებდი ფაქტებს, ვადგენდი ცხრილებს, ვატარებდი ექსპერიმენტებს, ვსწავლობდი სოციალურ დინამიკას, მე თავი მოუწყარე მონაცემებს სოციალური და საბუნებისმეტყველო თეორიებიდან, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სფეროებს ეხებოდა. ყველაზე გამოსადეგი ორი წყარო აღმოჩნდა: ფემინისტების ბოლოდროინდელი ნაშრომები და ახალი მეცნიერული თვალსაზრისი ცვლილებათა დინამიკაზე. წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ ჩნდებიან, ცოცხლობენ და იცვლებიან სისტემები სწრაფად ვრცელდება და ფენს იკიდებს მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს ისეთი ნაშრომები, როგორებიცაა: ნობელის პრემიის ლაურეატის ილია პრიგოჯინის და იზაბელ სტენჯერსის ნაშრომი ქიმიის და სისტემათა ზოგად თეორიაში, რობერტ შოს და მარშალ ფეიგენბაუმის ნაშრომი ფიზიკაში, უმბერტო მატურანა და ფრანსისკო ვარელა – ბიოლოგიაში. ახალი

თეორია და მისი შესატყვისი ფაქტები ზოგჯერ გაიგივებულია ცნებასთან - “ახალი ფიზიკა”, რომლის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ფრიტიოფ კაპრას წიგნებმა “ფიზიკის დაო” და “მობრუნების პუნქტი”. ამ თეორიას ზოგჯერ “ქაოსის” თეორიასაც უწოდებენ, რადგან პირველად, მეცნიერების ისტორიაში, მისი ყურადღების ცენტრში ექცევა მოულოდნელი და ფუნდამენტური ცვლილებები - ისეთები, რომლებსაც ჩვენი სამყარო სულ უფრო ხშირად შეიგრძნობს.

განსაკუთრებით საინტერესოა ევოლუციური ცვლილებებისადმი მიძღვნილი ახალი ნაშრომები ბიოლოგიასა და პალეონტოლოგიაში. ასეთებია ვილმოშ ჩანის, ნაილს ელდრიჯის, სტივენ ჯეი გულდის კვლევები. ასევე საინტერესოა ერიკ იანჩის, ერვინ ლასლოს და დევიდ ლოის წვლილი “ქაოსის” თეორიაში კულტურული ევოლუციისთვის და სოციალური მეცნიერებებისთვის. ამ აღმოჩენებს მივყავართ იმ ვარაუდისკენ, რომ ადამიანთა კულტურული ევოლუცია ბიოლოგიური ევოლუციის მსგავსია. მაგრამ მიუხედავად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის, და იმ საშიშროებისა, რომ არ მოხდეს მექანიციკური რედუქციონიზმი, არსებობს ასევე მსგავსებანი, რომლებიც სისტემების ცვლილებებსა და სისტემების თვითორგანიზაციას ეხება.

ყველა სისტემა ფუნქციობს სისტემის კრიტიკულ ნაწილებს შორის კავშირების ურთიერგადლიერების ხარჯზე. შესაბამისად, ამ წიგნში წარმოდგენილი კულტურული ტრანსფორმაციის თეორია და “ქაოსის” თეორია, რომელიც განავითარეს სპეციალისტებმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან და სისტემათა თეორიიდან, მსგავსია იმის აღწერისას, თუ რა მოხდა და რა შეიძლება კიდევ მოხდეს სისტემების კრიტიკული პუნქტების განშტოებებში, როდესაც მთელი სისტემა შეიძლება მყისიერად შეიცვალოს.

მაგალითად, ელდრიჯი და გულდი ვარაუდობენ, რომ ევოლუცია თანდათანობითი ზესვლის სტადიებს კი არ გაივლის, არამედ იგი შედგება წონასწორობის ხანგრძლივი მონაკვეთებისგან, ან იმ პერიოდებისგან, როცა არ ხდება დიდი ცვლილებები. ამ პერიოდებს შორის მოთავსებულია ევოლუციური განშტოებების პუნქტები, სადაც მშობლიური სახეობის არსებობის არეალის საზღვრებთან ჩნდებიან ახალი სახეობები. და მიუხედავად იმისა, რომ ახალი ბიოლოგიური სახეობების შექმნასა და ერთი ტიპის საზოგადოებიდან მეორეზე გადასვლას შორის აშკარა განსხვავებებია, არის გასაოცარი მსგავსებანიც ელდრიჯის და გულდის “პერიფერიული იზოლირებული ელემენტის” მოდელთან და “ქაოსის” და ევოლუციური თეორიების სხვა ცნებებთან, რომლებიც გვიხსნიან რა მოხდა და რა შეიძლება მოხდეს ჩვენს კულტურულ ევოლუციაში.

ფემინისტური მეცნიერების წვლილი კულტურული ევოლუციის მთლიანობით კვლევაში, რომელიც მოიცავს კაცობრიობის მთელს ისტორიას და კაცობრიობის ორივე ნაწილს, კიდევ უფრო აშკარაა: იგი შეიცავს მონაცემებს, რომლებსაც ვერ ვხვდებით ოფიციალურ წყაროებში. ამ წიგნში მოცემული ჩვენი წარსულის, აწმყოსა და მომავლის ხელახალი შეფასება შეუძლებელი იქნებოდა, ისეთ მეცნიერთა ნაშრომების გარეშე, როგორებიც არიან: სიმონა დე ბოვუარი, ჯესი ბერნარდი, ესტერ ბოსერაპი, გიტა ზენი, მერი დელი, დეილ სპენდერი, ფლორენს ჰოუი, ნანსი ჩოდოროუ, ადრიენ რიჩი, ქაით მილეთი, ბარბარა გელპი, ალის შლეგელი, ანეტ კუნი, შარლოტ ბანჩი, ქეროლ ქრისტე, ჯუდიტ პლასკოვი, კატარინა სტიმპსონი, როზმარი რადფორს რუეთერი, ჰანელ ჰენდერსონი, კატარინა მაკკინონი, ვილმა სკოტ ჰაიდი, ჯინ ბეიკერ მილერი, ქეროლ გილიგანი და მრავალი სხვა. მონაცემთა ეს სიმრავლე გროვდება ჯერ კიდევ აფრა ბენიდან, XVII საუკუნეში და საბოლოოდ გამოიკვეთა უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე. მკვლევარ-ფემინისტთა კონცეფცია, “ქაოსის” თეორიის მსგავსად, მეცნიერებისთვის ახალ პერსპექტივებს გვიშლის. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად განსხვავებული წარმომავლობისაა (ერთი ტრადიციულად მამაკაცური

მეცნიერებიდან, ხოლო მეორე ქალური გამოცდილებიდან), მათ შორის ბევრი მსგავსებაა. ოფიციალური მეცნიერება ორივე დისციპლინას მეცნიერებაში დასაშვების ზღვარზე მყოფ საიდუმლო აქტივობად აღიქვამს. ორივე ეს მიმართულება, აკეთებს რა აქცენტს ტრანსფორმაციაზე, იზიარებს შეხედულებას იმის შესახებ, რომ ახლანდელი სისტემა ირღვევა და ჩვენ ახალი მომავლისკენ ახალი გზები უნდა ვეძიოთ.

ერთი ცნების გარკვევისათვის

დალი ბერეკაშვილი

ამ ბოლო დროს ისევ (მერამდენეჯერ!) შეიძლება დავაკვირდეთ ინტელიგენციისადმი ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვის ტენდენციებს. თავი რომ მოვუყაროთ ძირითად ბრალდებებს, ინტელიგენცია კორუმპირებულია, ანგაჟირებულია მთავრობისაგან, ხელს უშლის პროგრესს, ყველაფერი მისი ბრალია და, საერთოდაც, არ არსებობს, ამ სიტყვას კი აზრი არა აქვს.

თქვენ თქვით, ბატონებო, მე კი გავიგონე...

ერთი ანეკდოტია: მეზობელი ეუბნება მეზობელს, ჩემი ჭურჭელი რომ გათხოვე, გატეხილი რატომ დამიბრუნეო. ის კი პასუხობს, ჯერ ერთი, არაფერი გათხოვია ჩემთვის, მეორე, მთელი დაგებრუნე და, მესამე, უკვე გატეხილი მომეცო. ჰოდა, ამ ანეკდოტს მაგონებს ეს ყველაფერი. წარმოვიდგენიათ, რა მანე უნდა იყო, რომ არ არსებობდე და მაინც ახერხებდე, რომ ასეთი ცუდი იყო?!

სინამდვილეში, ამ აბსურდს მარტივი ფსიქოლოგიური ახსნა მოეძებნება: არ უნდათ, რომ იყოს, და ეს წინასწარ წამოსცდებით ხოლმე (არც ამაშია რამე ახალი, მაგალითად, ხუნვეებიანებსაც არ უნდოდათ ინტელიგენცია რომ არსებულიყო და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს ამ მიმართულებით. პოლ-პოტის რეჟიმმა კი, საერთოდ, ასპროცენტთან წარმატებას მიაღწია: მაგალითად, ქვეყანაში არც ერთი ექიმი და არც ერთი მასწავლებელი არ დატოვა).

ისე, ეჭვი მაქვს, რომ ინტელიგენციაზე მოსაუბრე ბატონებს მართლაც არა აქვთ წარმოდგენა, რაზე საუბრობენ. აქედან კი მორიდებულად ასკვნიან: რადგან ჩვენ არ ვიცით, მაშასადამე, არ არსებობსო.

დავაზუსტოთ ცნებები, როგორც ისინი მოითხოვენ, რადგან, თურმე, კონფუციმ თქვა, რომ ყველა უბედურება ამქვეყნად ცნებების აღრევიდან მოდის. ცნება “ინტელიგენცია” (არა “ინტილიგენცია”, ან “ინტელეგენცია” და არც “ინტლიგენცია”) წარმოდგება... მაგრამ ამაზე იმდენს ლაპარაკობენ, რომ ყველამ იცის, საიდან წარმოდგება... და იცით რა? დიდი მნიშვნელობა არა აქვს, თუ საიდან წარმოდგება. მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ენაში შემოსული ეს ცნება რა მნიშვნელობით იხმარება დღეს. საქმე ისაა, რომ არსებობს მეცნიერული ცნება (რომელსაც ზუსტი განმარტებაცა აქვს) და ყოველდღიური ცნება (რომელსაც ასეთი არ გააჩნია და არც სჭირდება).

ზუსტი ცნებების მოყვარულებისთვის: ერთი ანეკდოტია – შერლოკ ჰოლმსი და უატსონი საჰაერო ბურთით მოფრინავენ, არ იციან, სად იმყოფებიან და გადაწყვეტენ გაარკვიონ. ქვემოთ ვიღაც კაცს დაინახავენ, ცოტა დაბლა ეშვებიან და ეკითხებიან: “ზომ ვერ გვეტყოდით, სერ, სად ვიმყოფებით?” კაცი ამოჰხედავს და პასუხობს - “კალათში!” „ოჰ, ეს მათემატიკოსები”, ამოიოხრებს ჰოლმსი. “როგორ გაიგეთ, ჰოლმს, რომ ეს კაცი

მათემატიკოსია?!“ - განცვიფრდება უატსონი. „მხოლოდ მათემატიკოსს შეუძლია ასეთი ზუსტი და ყოვლად უსარგებლო პასუხის მოცემა“, პასუხობს ჰოლმსი.

თუ ამ ანეკდოტის მორალი ჩვენს სათქმელთან ვინმემ ვერ დააკავშირა, ავხსნი: ყოველდღიური ცნება, თუ კი იგი ცოცხალი ენის ნაწილია, შესანიშნავად ფუნქციობს ზუსტი განმარტებების გარეშე. ხოლო მისი არსებობა ენაში ნიშნავს ამ ცნებით აღნიშნული მოვლენის არსებობასაც.

ცნების წარმომავლობის გარკვევა კი შეიძლება, თავისთავად, საინტერესო იყოს, მაგრამ ცნების მნიშვნელობასთან უშუალო კავშირი არა აქვს: მაგალითად, “რაინდობის” ცნება დღესაც არსებობს და არავის სჭირდება იმის ახსნა, თუ რას ნიშნავს. დღეს თუკი ვინმეზე ამბობენ რაინდული კაციაო, სულაც არ გულისხმობენ იმას, რომ ამ კაცს თავზე რკინის ქოთან ახურავს და ყველა გამვლელს ორთაბრძოლაში იწვევს თავისი ქალბატონის სიმშვენიერის დასამტკიცებლად. ხოლო, როცა ლაპარაკობენ, რომ კაცი ინტელიგენტია... ჰო, ნეტა რას გულისხმობენ? ძალიან კარგად იცის ყველამ, რასაც გულისხმობენ: რომ ის, ფაქტიურად, კარგად იქცევა – მაგალითად, თუ მანქანა ჰყავს (რაც უფრო საეჭვოა, მაგრამ შესაძლებელი) ყვავილნარზე არ დააყენებს, იმიტომ, რომ უფროსი ილტვა მცენარეებს და სხვის შრომას, გარეგნულად კი, ნაკლებ წამოსადგენია, რომ გამომწვევად გამოიხატოს უზარმაზარი ღიპი, სახეზე კი მაძლარი თვითკმაყოფილება ეწეროს. ხოლო, “კორუმპირებული ინტელიგენტი” აბსურდია, იმიტომ, რომ კორუმპირებული პირი იმთავითვე არაინტელიგენტურად იქცევა.

გაიგეთ, ბატონებო, რა არის ინტელიგენცია? ვერა? ინტელიგენტური ადამიანი არის... არა, ჯობია, მოგიყვებით ერთ ადამიანზე, რომელიც აბსოლუტურად ინტელიგენტური იყო და მოკვდა... იმიტომ, რომ ვერ წარმოედგინა, თუ როგორ უნდა ჩაერთო რეფლექტორი და გამთბარიყო, თუკი ელექტრონის ფულს არ გადაიხდიდა, ხოლო მის გადახდას პენსიით ვერ ახერხებდა; როგორ უნდა ეყიდა საჭმელი, რადგან ვერ წარმოედგინა, რომ შეიძლება იმათხოვრო, როცა მთელი ცხოვრება პატიოსნად, მთელი ძალების დაძაბვით, სიხარულით იმუშავე (მუსიკას ასწავლიდი და ყველა შენი მოწაფე ბედნიერი იყო შენს გაკვეთილზე) და ახლა, სიბერეში, მცირეოდენი პენსია მაინც გეკუთვნის; როცა, მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს ავიწყდებოდა არც ერთი ნაცნობის დაბადების დღე და აუცილებლად ულოცავდა, ვერავისგან მიიღებდა შველას, იმიტომ, რომ არავისი შეწუხება არ უნდოდა, ტვირთად არავის დააწვებოდა, იმიტომ... რომ იმიტომ.

არა, ერთ რამეში ბატონი ინტელიგენციის უარყოფილები მართლაც არიან: ფიზიკურად ძალიან ძნელია, თუ შეუძლებელი არა, ნამდვილი ინტელიგენტის არსებობა. მაგრამ ისინი ხომ ამას არ დარდობენ. პირიქით, ინტელიგენტური სულის გაქრობა და ამოძირკვა უნდათ. ნულა ეწყინებათ, თუ ხუნვეიბინებს, პოლ-პოტელებს, ფაშისტებს, კომუნისტებს, ზვიადისტებს და სხვა მსგავს “მშვენიერებას” შევადარებ. ეს მათ სავსებით დაიმსახურეს. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ძალიანაც გაუხარდეთ.

მე მიყვარს ელაიზა დულიტი ან ორი სიტყვა კლასობრივი შოვინიზმის შესახებ

შალვა კელია

ეს წერილი არის გამოხმაურება რატი ამაღლობელის მეტად საინტერესო ფილოსოფიური ნარკვევისა, რომელიც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნდა. ამ სტატიას სხვადასხვა სახის რეაქცია მოჰყვა და, როგორც აღმოჩნდა, ეს თემა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის

მეტად მტკივნეული საკითხია. მეც ვეცდები, ამ ფაქტის გათვალისწინებით, მორიდებულად გაგიზიაროთ საკუთარი შეხედულებები. აქ აპრიორულად ლაპარაკია ჩემს სუბიექტურ პოზიციასზე და არა მაქვს ობიექტურობის პრეტენზია.

კორპორატიზმი და სხვადასხვა სახის შოვინიზმი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დამლუპველი ავადმყოფობაა. მე არ შემიძლია გვერდი ავუარო პატრიარქალურ შოვინიზმს, გვაროვნულ შოვინიზმს, დახურდავებულ კუთხურ პატრიოტიზმს, თბილისურ ფაშიზმს და აგრეთვე კლასობრივ შოვინიზმს. როდესაც ბენიტო მუსოლინიმ კორპორატიზმის საფუძვლები შეიმუშავა გასული საუკუნის 20-იან წლებში, იმ იდეის ძირითადი არსი იყო, რომ არსებობს ადამიანთა დაჯგუფება, კორპორაცია, რომელიც აპრიორულად აღმატებულია ადამიანთა სხვა ჯგუფებზე. ეს ბიოლოგიურ-გენეტიკური დეტერმინიზმი საფუძვლად იქცა სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ფილოსოფიებისა, რომელთაც, მათ ულტრამემარცხენე კოლეგებთან ერთად, მილიონობით ადამიანს მოუსწრაფეს სიცოცხლე მე-20 საუკუნეში. შოვინიზმის ყველაზე გავრცელებულ ფორმად მოგვევლინა ნაციზმი გერმანულ განსახიერებაში, მაგრამ ამავე დროს ჩაისახა სხვადასხვა სახის კორპორატივისტული ფილოსოფიები. ამ ფილოსოფიების თანახმად, ამ ქვეყანაზე უპირატესობა უნდა მიენიჭოთ გარკვეული ტიპის ადამიანებს (ნამდვილ არიელებს, კაი ტიპებს, კარენიონი ქალაქელებს, ინტელიგენტებს, ქურდებს, ცეკას მდივნებს და ასე შემდეგ). ეს ადამიანები უნდა იყვნენ გამარჯვებულნი სოციალურ კონკურენციაში არსებობისათვის. ჩვენში ფაშისტური აზროვნება ძალიან მტკიცედ არის გამჯდარი. ხშირად გაიგონებთ გამოთქმებს “ქალი საჭესთან არც უნდა დასვა და არც სახელმწიფოს სათავეში“ (თამარ მეფე ხომ ნამდვილი ქალი არ იყო), სოფლელების ანუ “გოიმების” ხელისუფლებაში მოსვლა არ შეიძლება (თუმცა 30 წელია სოფლელი შევარდნაძე მართავს საქართველოს და ქალაქში დაბადებულ და გაზრდილ გამსახურდიას მხოლოდ 8 თვე აცალეს მართვა). კლასობრივი შოვინიზმი ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, რომელზედაც თითქმის არ იწერება და არ ითქმება არაფერი. რატი ამაღლობელი ერთ-ერთი პირველია, ვისაც ეყო ვაჟკაცობა, რომ ამ თემას შეხებოდა.

თავისთავად ნებისმიერ საკითხში ინტელიგენტური მიდგომა ყველანაირად მისასაღმებელია ჩემთვის. რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლი განათლების უკმარისობა და ის შინაგანი სიბნელეა, რომელიც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დროს დაიკარგა ქართულ ინტელიგენციაში ილია ჭავჭავაძისეული ლიბერალიზმის მარცვალი და „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვირივის“ სული. 30-იანი წლების რეპრესიების შემდეგ ეგრეთწოდებული ინტელიგენცია კომპარტიისა და ნომენკლატურის იდეოლოგიურ დანამატად იქცა და იშვიათი გამონაკლისების გარდა, არსებული რეჟიმის ყურმოჭრილ მონად გვევლინებოდა. ამის სანაცვლოდ ის იღებდა გარკვეულ პრივილეგიებს, რომელიც გამოიხატებოდა სხვადასხვა მატერიალურ წახალისებაში. რა თქმა უნდა, ამის თქმა ყველაზე არ შეიძლება, რამეთუ ამ ინტელიგენციის დაახლოებით 20 პროცენტამდე მაინც რჩებოდა საკუთარი სინდისისა და ინტელიგენტური ცხოვრების სტილის ერთგული. მაგრამ, დანარჩენმა ნაწილმა თავი გამოაცხადა კლასად და ნამდვილად დაიჯერა, რომ მათ ეკუთვნოდათ ის პრივილეგიები. მაშინ, როდესაც დასავლეთში ისეთი პოეტები, როგორებიც იყვნენ ალენ გინზბერგი, ჯეკ კერუაკი, უილიამ ბეროუზი და სხვები თავიანთი ქვეყნის სისტემას „სისხლს უშრობდნენ“, ჩვენი ორდენოსანი ინტელიგენცია ხელისუფლების ხოტბით იყო დაკავებული. საინტერესო და ნიშანდობლივია ერთი ფაქტი 60-იანი წლებიდან. ეგრეთწოდებული „ბიტნიკების“ თაობის მწერლები ეწვივნენ მაშინდელ საბჭოთა კავშირს და ერთი დღით თბილისშიც ჩამოვიდნენ. ისინი ჩვეულებრივად ჩაცმულნი იყვნენ და თან ზოგ მათგანს ხელში ვისკის ბოთლიც ეჭირა საკუთარი ბოჰემური ცხოვრების შესაბამისად. თბილისის აეროპორტში მათ საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგაცია დახვდა საბჭოთა ვოლგებითა და სუფთა შარვალ-კოსტუმებში გამოწყობილი. ალენ გინზბერგსა და მის კოლეგებს დაახლოებით ისევე დახვდნენ, როგორც სამთავრობო

დელეგაციებს ხვდებოდნენ. ქართველ დამხვედრ მწერალთა დელეგაციას აწ განსვენებული ბატონი მაშინდელი თავმჯდომარე ხელმძღვანელობდა, რომელსაც იუმორის გრძობა ნამდვილად არ აკლდა. როდესაც გინზბერგმა მისთვის მეტად უჩვეულო შიკი და ექსტრავაგანზა დაინახა, მან ქართველი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გვერდზე გაიყვანა იმის გასარკვევად, თუ ვინ იყო ის ოცამდე გამოწვეპილი ფუნქციონერი, რომელიც მათ მაშინდელ თბილისის სამთავრობო აეროპორტში დახვდა. „ჩვენ ღარიბი ამერიკელი მწერლები ვართ, საკუთარ მთავრობას სულ კრიჭაში ვუდგავართ და აქ მთავრობის წევრების სანახავად ნამდვილად არ ჩამოვსულვართ. ჩვენ აქ ჩამოვედით პოეტების, მწერლების, პროსტიტუტებისა და ჰომოსექსუალისტების სანახავად“, ცოტა ირონიულად შეუქცია გინზბერგმა. მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე არ დაბნეულა. „ბატონო გინზბერგ, ეს აზიური მხარეა და ღია ჰომოსექსუალისტები არ გვყავს, მაგრამ დანარჩენზე უარს რაფერ გეტყვით. აი, ამ გამწკრივებულ ოც კაცს ხო ხედავთ, ეს ყველანი პროსტიტუტები არიან, რომელთაც თავი ან პოეტი ჰგონიან ან მწერალიო“. ამ ხუმრობაში ძალიან კარგად გამოინახა მაშინდელი ინტელიგენციის რაობა. თითქმის ყველას საკუთარი სულიერი ღირებულებების გაყიდვა უწევდა, რაშიც ძნელია მათი მთლიანად გამტყუნება, მაგრამ, ამავე დროს მათი განსაკუთრებულ რანგში აყვანა და მათთვის დიდი ოდენობით ღოტაციების მოთხოვნა ნამდვილად კლასობრივი შოვინიზმის გამოხატულება იყო. ცივილიზებულ საზოგადოებაში არსებობს გრანტების სისტემა და აგრეთვე აუდიტორიის მოთხოვნილება ინტელექტუალთა შრომაზე, რაც საუნივერსიტეტო გარემოში გამოინახატება. ხელოვნების მოღვაწეები კი საკუთარ ნამუშევრებს ბაზარზე ჰყიდიან. რა თქმა უნდა, ხელოვნებისა და მეცნიერების კომერციალიზაცია არ არის იდეალური ვარიანტი, მაგრამ, უინსტონ ჩერჩილისა არ იყოს, მითხარით ამაზე უკეთესი სისტემა და ორივე ხელით თქვენთან ვარო. საბჭოთა ნომენკლატურული ფეოდალიზმი, რომელიც ხელოვნების მოღვაწეებსა და ინტელექტუალებს ვასალურ მდგომარეობაში ავდებს, არანაირად არ არის უკეთესი საბაზრო ურთიერთობებზე. იდეოლოგიზაციას ისევ კომერციალიზაცია სჯობია, და ყველაფერს ისევ ცივილიზებული ევროპული ქვეყნების მაგალითი მირჩენია სადაც კულტურაზე საკმაო თანხები გამოიყოფა, მაგრამ არა დამშეული და გაუბედურებული მოსახლეობის ხარჯზე, არამედ მას შემდეგ, რაც სოციალური უსაფრთხოება მოსახლეობის უმრავლესობისათვის მიღწეულია.

მე, მაგალითად, ბობ დილანი ან ჯერი გარსია სულაც არ მიმაჩნია ხუტა ბერულავაზე, ან თამაზ წიწვივაძეზე ნაკლებ ხელოვანებად. მაგრამ, ამ ჩვენი ორდენოსანი ინტელიგენციისაგან განსხვავებით მათ ბევრად ნაკლები სახელმწიფო ღოტაციები აქვთ აღებული არც პასკვილების და არც უნიჭო ლექსების საწერად. მე არ მინდა კონკრეტულ პიროვნებებზე შევიჩერდე, მაგრამ ის, რომ დღეს ჩვენთან ზოგიერთი ძველი თაობის ნომენკლატურის ჯიბის ინტელიგენციის ჯგუფი ძალიან მსუყე ღოტაციებს ითხოვს სახელმწიფოსაგან, მაშინ, როდესაც უბრალო ადამიანები მატერიალურად, საშინელ დღეში არიან სულაც არ მიმაჩნია ინტელიგენტურ საქციელად. მათგან განსხვავებით, საქართველოს ყოველთვის ჰყავდა ნამდვილი ინტელიგენტები, რომლებიც არასდროს ითხოვდნენ დიდ ღოტაციებს და საკუთარ თავსაც რაღაც გაურკვეველ პრივილეგიებულ კლასად არ მიიჩნევდნენ. ეს ნამდვილი ინტელიგენტები, მათთვის რომ გეკითხა, იმის კადნიერებასაც არ იჩენდნენ რომ საკუთარი თავისათვის ინტელიგენტი ეწოდებინათ. სწორედ ეს იყო მათი ინტელიგენტობის მთავარი მახასიათებელი. ასეთი ნამდვილი ინტელიგენტები დღესაც არსებობენ და რატი ამალლობელი ჩემთვის უეჭველად ერთ-ერთი მათგანია, ოღონდ ეს ინტელიგენტები კლასს არ აყალიბებენ და წყნეთში აგარაკებს არ ითხოვენ მას შემდეგ, რაც ეღუარდ შევარდნაძეს, ან რომელიმე სხვა ნომენკლატურისა თუ ნეობურჟუაზიის გავლენიან წევრს ლექსს ან ფილმს მიუძღვნიან.

რაც შეეხება იმას, რომ ხალხი ვინც ინტელიგენციას ლანძღავს და მათ ადანაშუალებს, ამ ხალხშიც არის განსხვავება. ზოგი მათგანი უეჭველია, აჭარბებს და ზედმეტად ერჩის

საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილს, ზოგსაც ალბათ აქვს საკმარისი მიზეზი, რომ გააკრიტიკოს ისინი. ნამდვილი ინტელიგენტი ყოველთვის მოხარულია, როდესაც მას აკრიტიკებენ, რადგანაც ეს სტიმულია შემოქმედებითი ზრდისათვის. ინტელიგენციის კლასი კი სწორედ ისეთი ხალხის ჩამოყალიბებულია, ვისაც არ უყვარს კრიტიკა. მაგალითებად შეგვიძლია მოვიყვანოთ ლენინი, სტალინი, მათ ძე ღუნი, პოლ პოტი და ასე შემდეგ. ეგრეთწოდებული კულტურული რევოლუციაც სწორედ ასეთი მორჩილი ინტელიგენციის ჩამოყალიბების მცდელობის ერთ-ერთი მაგალითი იყო. ზოგს უფრო დასცალდა ამის განხორციელება, ზოგსაც ნაკლებად. მაგრამ გასული საუკუნის დიქტატორულ რეჟიმებს ყველას ახასიათებდა ინტელიგენციის გამოყენება, როგორც საკუთარი იდეოლოგიური იარაღისა. მე ვერ შევერთდები იმ აზრს, რომ ზვიად გამსახურდია იმავე კატეგორიის პოლიტიკოსი იყო. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაზე გადასვლაა და არ მინდა ძირითად საკითხს ჩამოვცილდე.

ჯორჯ ბერნარდ შოუ თავის ცნობილ „პიგმალიონში“ კლასობრივ შოვინიზმთან ბრძოლის ცივილიზებულ და ჰუმანისტურ რეცეპტს იძლევა. ელაიზა დულიტლი არის მტკიცება იმისა, რომ ბიოლოგიურ თუ გენეტიკურ დეტერმინიზმს არა აქვს მყარი საფუძველი. თუმცა დასავლეთშივე არსებობს ხალხი ვინც კატეგორიულად არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და ბერნარდ შოუს მემარცხენე ხელოვანად მიიჩნევს. ილია ჭავჭავაძის “გლახის ნაამბობი” აგრეთვე კარგი მაგალითია. რა თქმა უნდა, ასეთ ნაწარმოებებს და ამ აზრის მატარებლებს შეგვიძლია ლიბერალები ვუწოდოთ. მე, პირადად, არ მრცხვენია ლიბერალობის ამ შემთხვევაში და ბევრად უფრო მეტ პატივს ვცემ ილია ჭავჭავაძის ანდა ბერნარდ შოუსნაირ ინტელიგენტებს, რომლებიც საკუთარ თავს კლასს არ უწოდებენ და არც დამშეული ხალხის ხარჯზე სთხოვენ მთავრობას უზარმაზარ თანხებს მხატვრული ხოტბა დიდების საფასურად.

მე კი მიყვარს ჩემი მშვენიერი ლედი ელაიზა დულიტლი და მიმაჩნია, რომ რაც მეტი ჰენრი ჰიგინსი გვეყოლება, მით უფრო ინტელიგენტური საზოგადოება ვიქნებით.

ბლუზი ომის მერე

გიო მგელაძე

ხეხილში ჩაფლული ორსართულიანი სახლი. ჩიტების ჟღერტულში საბეჭდი მანქანის ხმა სხვადასხვა ხანგრძლივობის პაუზებით ხან იჭრება, ხან ქრება. მაგიდას მარჩელო მისჯდომია და საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებს. სახე კარგა ხნის გაუპარსავი აქვს, თვალები დალილი და ჩამავებული, მაგრამ ანთებული, რომელთა გამოძეტყველება მათი პატრონის არა ხეხილში ჩაფლული ვერანდის რეალობაში, არამედ წარმოსახვის რეალობაში არსებობაზე უფრო მეტყველებს. ვედრომ ვერ დაიტია დაჭმუჭნული ფურცლები და ახლა ისინი მთელს ვერანდაზეა მიმოფანტული. საფერფლე ნამწვავებით არის სავსე, რომელმაც ასევე ვერ გაუძლო ნამატის სისწრაფის ისტერიულობას.

მარჩელო ბეჭდვას წყვეტს. საბეჭდი მანქანიდან ფურცლებს იღებს. მაგიდიდან რამოდენიმე გვერდს ამატებს, დგება. ვერანდაზე ბორგვას იწყებს, თან თავის ნამოქმედარს მისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციური, მიმიკური ბუნებრივი არტისტულობით კითხულობს. კითხვას ამთავრებს.

ფუი – აფურთხებს პირიდან სიგარეტის ფილტრს. ფურცლებს ჭმუჭნის და ვერანდის კუთხეში აგდებს.

მარჩელო მაცივარს აღებს. მაცივარი მთლიანად გამოცარიელებულია. ყავის ყუთს თავსახურს მოხდის, რომელიც ასევე ცარიელი ხვდება. პორტსიგარიდან სიგარეტს იღებს და მოუკიდებს.

ეზოში ხიდან რამოდენიმე ვაშლს წყვეტს.

გაზქურაზე გზაბნეული ტარაკანა დარბის. ვაშლს მოკბენს და ტარაკანას დაუგდებს. ტარაკანა წამით გაჩერდება, მერე ვაშლის ნაჭრის საწინააღმდეგო მიმართულებით გარბის.

- ნუ ხოცავ ტარაკანებს, დედა. ტარაკანა ვაშლის ნაჭერს არის მიმჯდარი.

მარჩელო ეზოს კარებს მიიხურავს. ხელში ჩანთა უჭირავს. გზას მიუყვება.

მარჩელო სასაფლაოს გზაზე მიდის. გაკვირვებული ათვალეურებს ჯვრებისგან დაცლილ საფლავეებს. თვალს მოკრავს, ორნი ერთ გადარჩენილ ჯვარს ხსნიან. მარჩელო შეჩერდება და მათ მიაშტერდება. ერთ-ერთი მათგანი შენიშნავს მარჩელოს, მეორეს ანიშნებს, სამუშაოს წყვეტენ.

- რას გამტერებულხარ, გაიარე, გაიარე.

მარჩელო ვერ ხვდება, რა ხდება.

- ე, არ გესმის შენ, გაიარე, წადი აქედან.

ერთ-ერთი თოფს აიღებს და მარჩელოს მიუშვერს.

- დროზე! – დაუყვირებს.

მარჩელოე როგორღაც ხვდება, რომ ეს ყველაფერი მისი მიმართულებით არის ნათქვამი. უხმოდ ტრიალდება და გზას აგრძელებს. უჯვროდ დარჩენილი სასაფლაოს ერთ-ერთი საფლავიდან ბოლო ჯვარს ხსნიან და გააქვთ.

მარჩელო სოფლის ცენტრშია. გაკვირვებული უყურებს მძიმე ტექნიკას და თოფებით შეიარაღებულ ხალხს. მარჩელო სადალაქოსთან ჩერდება.

- ჯუზეპე, ჯუზეპე!

სადალაქოდან დალაქი გამოდის.

- ვაა, მარჩელო!

- რა ხდება ჯუზეპე?

- რა ხდება? რა უნდა ხდებოდეს? ახალი არაფერი. შენსკენ რა ხდება? სად დაიკარგე?

მარჩელო სადალაქოს კიბის საფეხურზე ჩამოჯდება. ჯიბიდან პორტსიგარს იღებს, იქიდან სიგარეტს.

- მე სახლში ვიყავი, ვმუშაობდი. ესენი ვინ არიან? – მარჩელო შეიარაღებულ ხალხზე ანიშნებს.

- მოიცა, შენ რა ორი კვირაა სახლიდან არ გამოსულხარ? არ იცი, აქ რა ხდება?

- ორი კვირა? ალბათ, ვინ არიან ესენი?

დალაქი მარჩელოს გვერდით მიუჯდა.

- მომაწვევინე ერთი სიგარეტი. – უწვდის. უკიდებენ.
- ვინ არიან და ლეონარდისტები, რაფაელისტებმა მაგრა შემოუტიეს, ესენი უკან იხევენ. ორი კვირის წინ შემოვიდნენ. ჯერჯერობით აქ აპირებენ გამაგრებას.
- რა, ლეონარდოც აქ არის?
- არა, კაცო, ლეონარდო კაცმა არ იცის, სად არის.
- ამათი აქაური მეთაური იცი ვინ არის?
- არა, ვინ არის?
- ფედერიკო ტავიანი. გახსოვს ეგეთი ტიპი. აქ დაბადებული და გაზრდილი.
- ფედერიკო ტავიანი?
- ხო, ფედერიკო ტავიანი, რა იყო ხომ არ იცნობ?
- როგორ არ ვიცნობ, ჩემი კლასელია.
- მიდი?

- რა მიდი, მართლა ჩემი კლასელია.

- ესე იგი შენი კლასელი განაგებს ახლა აქაურობას.

მარჩელო ჩაფიქრდება. სადალაქოსთან ორი შეიარაღებული ტიპი მოვა.

- პარიკმახერი რომელია? – კითხულობს ერთ-ერთი.
- მე ვარ, რით შემოიძლია გემსახუროთ.
- რით უნდა გვემსახურო, გაგვკრიჭე და გაგვპარსე.
- მობრძანდით, - პასუხობს ჯუზეპე და შეიარაღებულ ტიპებს სადალაქოში შეუძღვება.

ერთხანს მარჩელო ასე ჩაფიქრებული კიბეზე რჩება, მერე თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, წამოდგება, ჩანთებს სადალაქოს კარებთან მიაწყო.

- ჯუზეპე, ჩანთებს კარებთან ვტოვებ.

მარჩელო შეიარაღებული ხალხით და სამხედრო მძიმე ტექნიკით გარშემორტყმულ შენობას უახლოვდება.

- საით? - ეკითხება ერთ-ერთი სამხედრო.
- გამარჯობათ.

- საით?
- მე ფედერიკო ტავიანის ნახვა მინდა.
- ვინა ხარ და რა საქმე გაქვს?
- მე ვარ მწერალი მარჩელო პირანდელო, ფედერიკო ტავიანის ბავშვობის მეგობარი.
- მერე?
- აუცილებელი და გადაუდებელი საქმე მაქვს.
- საბუთები!

მარჩელო ჯიბეებს მოიხსრეკს.

- იცით, საბუთები თან არა მაქვს. თქვენ უთხარით ფედერიკოს ჩემი ვინაობა და ის აუცილებლად მიმიღებს.
- კარგი, აქ დამელოდეთ.

სამხედრო შენობისკენ მიდის.

მარჩელო პორტსიგარს ხსნის, სიგარეტს იღებს. მერე პორტსიგარს იქვე მდგომ სამხედროს უწვდის.

- ხომ არ მოწევ?
- რატომაც არა.

სიგარეტს უკიდებენ.

- ტყვეები ბლომად გყავთ? – კითხულობს მარჩელო.
- ისე რა.

ხანმოკლე პაუზის მერე მარჩელო ისევ კითხვით მიმართავს სამხედროს.

- სიკვდილმისჯილები გყავთ?
- რა ვიცი, ალბათ, თუ მოიტოვეს ვინმე.
- მარჩელო პირანდელო!

მარჩელო შემოტრიალდება. მის წინ ფედერიკოსთან წასული სამხედრო დგას.

- წამობრძანდით, ფედერიკო გელოდებათ.

სამხედრო და მარჩელო შენობაში შედიან. დერეფანს გაივლიან. დერეფნიდან ეზოში გადიან.

- აქ დამელოდეთ. – ეუბნება სამხედრო მარჩელოს და უჩინარდება.

მარჩელო დგას და დაბნეული ეზოს ათვალიერებს. ეზოში ორ სამხედროს ნაცემი, ხელბეჭეტი ოციოდე წლის ბიჭი გამოყავს. მათ უკან კიკინიანი და ბლანჟიანი კაცი მოყვება, რომელიც მარჩელოს აათვალ-ჩათვალიერებს. მარჩელო შეშინდება. ტყვეს სარდაფში ჩაიყვანენ. მარჩელო სარდაფიდან გამომავალ სარკმელთან მივა და დაინახავს, როგორ აუკრავენ ტყვეს თვალებს, დააჩოქებენ, კიკინიანი პისტოლეტს ძალით როგორ ჩათხრის პირში და გამოჰკრავს. მარჩელო სარკმელს სასწრაფოდ მოსცილდება.

- სინიორ მარჩელო, გთხოვთ გამოძვეთ. -

მარჩელო მეგზურ სამხედროს მიჰყვება.

კიბეებზე აღიან. მეორე დერეფნის ბოლოს შეჩერდებიან. სამხედრო კარზე აკაკუნებს. შემდეგ შეაღებს.

- სინიორ ფედერიკო, მარჩელო პირანდელი. –

- ღიას.

სამხედრო მარჩელოს უბრუნდება.

- გთხოვთ.

მარჩელო ოთახში შედის, სადაც ფედერიკო ეხვევა.

- მარჩელო!

- ფედერიკო!

- ჰეჰ, დაჯექი! – მაგიდას შემოუსხდებიან.

- რას შვრები ძმაო, მარჩელო, როგორ ცხოვრობ, რით ცხოვრობ, სად ცხოვრობ?

- ვცხოვრობ ისევ აქ, ისევ ვწერ, ისევ მარტო ვარ. შენ რას შვრები, თუმცა შენ...

- მეე?.. მე ვომობ, როგორც ხედავ, როგორც ყველა. შენ, შენ არ ომობ?

- არა... მე ვწერ.

- ოო, წერ. ეგ ხომ მითხარი. ძალიან კარგია, რომ წერ, მაგრამ თან რომ წერო, თან იომო?..

- რა ვიცი, არ მიფიქრია.

ფედერიკო სიგარეტს უკიდებს.

- გეხუმრები, კარგია, კაცო, ვილაცა მაინც ნუ იომებს და მარტო წეროს, რაზე წერ, ომზე?

- არა, ომზე არა, ფედერიკო. ერთი თხოვნით მოვედი შენთან, თუ შეიძლება, დამეხმარე.

- თხოვნას გააჩნია, ჩემო ძმაო, თუ შეეძლება, რაზეა ლაპარაკი!

- დიდი ხანია ერთი რომანის დაწერა მინდა, წლების განმავლობაში ამ რომანს ვატარებ ჩემში, წლების განმავლობაში ამ რომანით ვცხოვრობ და აი, როგორც იქნა, დავიწყე წერა და თითქმის ბოლომდე ჩავედი. “წითელი და თეთრი”, ასე ჰქვია რომანს. მარჩელო სიგარეტს უკიდებს.

- მერე?

- ჩემს გმირს სიკვდილით სჯიან. ის უდანაშაულო სიკვდილმისჯილია.

ფედერიკო ჩაახველებს.

- ჩანს ეს არ არის ჩვეულებრივი ბანალური ისტორია უდანაშაულო სიკვდილმისჯილზე.

- ეს ძალიან თავისებური და საინტერესო რომანი იქნება, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. მაგრამ, თუ შენ შეძლებ და დამეხმარები.

- რა იყო, შენი გმირისთვის კასაციას ხომ არ მთხოვ?

- არა, არა, – გაედიმება მარჩელოს, – საქმე იმაშია, რომ უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ის სიკვდილმისჯილია, მაგრამ არაფერი არ გამოძის. ვერაფრით ვერ აღვწერე მისი სულიერი მდგომარეობა...

- რას აწვალე იმ უბედურს ორი კვირა, პირველივე დღეს დაგეხვრიტა, ისიც მოისვენებდა და შენც. მარჩელო კვლავ ნერვიულად ჩაიცინებს.

- ფედერიკო, გყავთ ახლა სიკვდილმისჯილი?

ფედერიკო ჩაფიქრდება, მცირე პაუზის შემდეგ:

- უნდა იყოს ერთი, თუ არ დახვრიტეს ამ დილას. რა იყო?

- იქნებ, თუ, რა თქმა უნდა, უკვე დახვრეტილი არ არის, მომახვედრო მასთან. ერთი დღე-ღამით. ვითომ მეც როგორც სიკვდილმისჯილი.

ფედერიკო ერთხანს გაკვირვებული უყურებს მარჩელოს. ესე იგი სიკვდილ-მისჯილის განცდების და ქცევების შესწავლა გინდა, არა? სწორედ გავიგე?

- კი.

- ვნახოთ, ვნახოთ, თუ შესწავლის ობიექტი უკვე არ დატოვა მისმა შესასწავლმა სულმა თავისი გაცდებით, კი ბატონო...

ფედერიკო სიგარეტს უკიდებს. წამოდგება და ფანჯარასთან მივა.

მცირე ხანს ფანჯრიდან უყურებს და შემდეგ მარჩელოს შემოუტრიალდება:

- ოღონდ ერთი პირობით.

- ყველაფერზე თანახმა ვარ. – სწრაფად პასუხობს მარჩელო.
- ჩვენი შეთანხმების შესახებ მხოლოდ ჩვენ ორს გვეცოდინება. სხვისთვის ყველასთვის, ჩემი ბიჭებისათვის შენ ჩვეულებრივი სიკვდილმისჯილი იქნები.
- კი, ბატონო, რაზეა ლაპარაკი.
- დანიელ, დანიელ. – ყვირის ფედერიკო.

ოთახში ახალგაზრდა, სამხედრო ფორმაში ჩაცმული ბიჭი შემოდის.

- დანიელ, ის პიდარასტები დაიხვრიტა უკვე?
- ხულ ახლახან, ხორხე ველოდებით ბრძანებას.
- მოკლედ ესე, დახვრეტა ხვალ დილისთვის გადაიტანეთ, ეს ნაბიჭვარი ჩათრიეთ და იმასთან შეაგდეთ. ხვალ ორივეს ერთად დახვრიტავთ გასაგებია?!
- გასაგებია.
- გაათრიეთ. – ზიზღით იძახის ფედერიკო.
- ადე, წავედით!

მარჩელო მორჩილად ადგება. მადლობის მთქმელ თვალებს წამით ფედერიკოს მიაპყრობს და დანიელთან ერთად გადის. უავეჯო ოთახი სარკმელიდან შემოსული დილის მზის სხივებით, გისოსებად არის დალუქული. კუთხეში იატაკზე, მხარბეჭიანი, ოდნავ შემელოტებული, წვერმოშვებული, სახედალილავებული, ფორმაშემოხეული, დაახლოებით ოცდაათი წლის კაცი ზის. კარები იღება და ოთახში სახედასისხლიანებულ მარჩელოს შემოაგდებენ. მარჩელო იატაკზე ეცემა. მასპინძელი მაინცდამაინც გაკვირვებული არ ჩანს დაუპატიჟებელი სტუმრის ასეთი ფორმით მობრძანების გამო. მარჩელო კენესით წამობობლდება და კედელს მიეყრდნობა, ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და სახიდან სისხლს იწმენდს. მასპინძელი სიგარეტის ნამწვავს უკიდებს და მარჩელოს აკვირდება. მარჩელო ნელ-ნელა გონს მოდის. ცემისგან დაკარგული მახსოვრობა უცბად უბრუნდება. ხვდება სად არის და რა ხდება.

- გამარჯობათ, – ესალმება მასპინძელს.
- გაგიმარჯოს. -

მცირე უხერხული პაუზის შემდეგ მარჩელო საუბრის გაგრძელებას ასე ცდილობს:

- როგორც სახეზე გეტყობათ, თქვენც არა ნაკლებად გაგიმეტეს.
 - ბატონო? – მასპინძელი ვერ ხვდება მარჩელოს ნათქვამის შინაარსს. მარჩელო კი ხვდება მის მიერ წამოროშილი კრეტინობის ხარისხს.
 - არა, არაფერი, უბრალოდ იმის თქმა მინდოდა, როგორ გაიმეტეს ხალხა მეთქი, მაგრამ არა უშავს, ადამიანის გამმეტებელს ღმერთი გაიმეტებს.
- ოთახის მასპინძელი გაკვირვებული შესცქერის მარჩელოს.

- მე... მარჩელო პირანდელო ვარ.

- ძაან სასიამოვნოა... სინიორ მარჩელო პირანდელო, თქვენც ჩემთან ერთად უნდა დაგხვრიტონ, თუ თქვენ აქ შემთვევით მოხვდით?

- არა, არა, თქვენთან ერთად, ხვალ დილით. -

- ხვალ დილას? -

- დიახ, ხვალ დილას... მე მგონი ხვალ დილას, თუ, რა თქმა უნდა, არ ვცდები.

მასპინძელი, თითქოს მარჩელომ დაინტერესაო, ფეხებს ირთხამს და კითხვისთვის ემზადება.

- სინიორ, მარჩელო პირანდელო, როდიდან და სად იბრძვი?

- არა, მე მეომარი არა ვარ, მე მწერალი ვარ, მე კალმით ვიბრძვი.

- და რას ებრძვი კალმით?

- რასდა, რა თქმა უნდა, უსამართლობას... ე.ი. ამათ.

- რაღაც არ მახსოვს, მარჩელო პირანდელო, ამათთან კალმით მეომარი.

- არა, საიდან გეხსომებათ, მე არ გამოვქვეყნებულვარ.

- არ გამოქვეყნებულხარ და ისე ებრძვი ამათ? მაშინ დასახვრეტი კი არა, კალმის წვერი გქონია მოსატეხი.

მასპინძელს მარჩელოსადმი ინტერესი გაუქრა და ოთახის კუთხეში, მისადმი ზურგმოქცევით მიწვა.

ოთახში სარკმელიდან შემოსული ფანრის შუქი იპარება. მარჩელო ოთახის მარცხენა კუთხეში მიყუჟულა და მისკენ ზურგშექცევით მწოლიარე სიკვდილმისჯილს შესცქერის, რომელიც რამდენიმე საათის განმავლობაში არც კი განძრეულა. ოთახის კარები იღება. სამხედრო სალაფავით სავსე ორ ჯამს, ორ ნაჭერ პურს და ორ კოვზს იატაკზე დებს, კარებს იხურავს და გარედან რაზავს. რამოდენიმე დღის დამშეული მარჩელო ჯამს მუხლებზე იდგამს და თავისი წილი სალაფავის ჭამას ისტერიული ტემპით უდგება.

მასპინძელი სიკვდილმისჯილი, რომელსაც არანაირი რეაქცია არ ჰქონია კარების გაღებასა და დახურვაზე, მარჩელოს თქვლეფის ხმაზე მისკენ გადმოტრიალდება და მზერას მიაპყრობს. მარჩელო ხვდება, რომ მისი საქციელი არ შეეფერება სიკვდილმისჯილისას.

- ნერვიული ჭამა ამივარდა. – თავს იმართლებს მარჩელო.

- თქვლეფა, – უსწორებს მასპინძელი, – ნერვიული თქვლეფა, – კუჭი მაინც თავისას მოითხოვს, იძახის – სიკვდილსაც გამძლარი უნდა შეხვდე.

მარჩელო ჯამს უხერხულად იქვე დგამს.

- მე ხორხე მქვია.

- მარჩელო პირანდელო.

- მარჩელო პირანდელო, გარდა იმისა, რომ გამოუქვეყნებლად ამათ ებრძოდი, კიდევ თუ წერდი რამეს.

მარჩელოს სახეზე სიწითლის გადარბენასთან ერთად ნერვიულობისაგან ოფლიც დაასხამს.

- კი, რა თქმა უნდა.

- მაინც რაზე წერდი?

- ... სიცოცხლეზე და სიკვდილზე... ძირითადად... მე მგონია, სიკვდილის შიში და მასთან შეხვედრა ეს ერთადერთი პრობლემა აქვს ადამიანს გადასაჭრელი. დანარჩენი სხვა თითიდან გამოწოვილია ამ პრობლემის წინაშე... და თუ სიკვდილს ხვდები, არა როგორც სიკვდილს, არამედ როგორც ცხოვრებას, როგორც ერთი რეალობიდან სხვა რეალობაში გადასვლას, თუ შენი სულიერი და ხორციელი არსებობით ემზადებოდი იმისთვის, რომ ეს გადასვლა ტკივილის მინიმალური განცდით მომხდარიყო და, თუ ამისათვის მზად ხარ, შენ კაცობრიობის ეს ერთადერთი პრობლემა გადაჭრილი გაქვს, მოხსნილი, ე. ი. შენ მიდიოდი განთავისუფლებისაკენ და აქაური ცხოვრების ბოლოს ხარ თავისუფალი. როგორც ვთქვი, ამ რეალობიდან იმ რეალობაში შენი გადასვლა იქნება მსუბუქი... მაპატიეთ, ჩემი სულელური ფილოსოფიური ბოდვა. ყველაფერი ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ითქვა. მის შემდეგ, რელიგიურ თუ ფილოსოფიურ მოძღვრებებში, ლიტერატურაში ხშირი იყო იმ ერთხელ თქმულის მრავალნაირი ინტერპრეტაცია, უმეტეს შემთხვევაში უნიჭო, მილიონ შემთხვევაში ერთხელ ნიჭიერი, მაგრამ ერთხელ თქმულთან შედარებით არაფრის მთქმელი. მეც ჩემს თავს მწერლად ვთვლი და მივეცი თავს უფლება ვწერო ამ ერთადერთ პრობლემაზე...

მარჩელო მიხვდა რომ ძალიან გაუგრძელდა თავისი მსოფლმხედველობრივი კრელოს ახსნა სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ ნამდვილ სიკვდილმისჯილთან და ბოდიშის მოხდის მიზნით წაილულლულა:

- მაპატიეთ, ისევ ნერვები.

ხორხემ ყურადღებით მოისმინა მარჩელოს დამოკიდებულება ადამიანის ერთადერთი პრობლემის მიმართ და წამომჯდარმა ჰკითხა:

- როგორ გგონია, მარჩელო პირანდელო, მზად ხარ ხვალ დილას მიიღო სიკვდილი ისე როგორც ცხოვრება?

კითხვით დათრგუნულმა მარჩელომ მცირე პაუზის შემდეგ უპასუხა:

- არ ვიცი.

- მე კიდევ ვიცი, სიკვდილი სიკვდილია, ხვალ დილას მორჩება ყველაფერი და ისიც ვიცი, რომ არც ერთი წამი არ მეშინია სიკვდილის.

ხორხემ ეს ისეთი თავდაჯერებულობით თქვა, რომ მარჩელოს მის მაგივრად შეეშინდა ხვალინდელი დილის...

ხორხე ჩვეულ პოზაში, ე. ი. სახით კედლისკენ და ზურგით მარჩელოსკენ იწვა. მარჩელო კითხეში მოკუნტული, ხელებში სახეჩარგული იჯდა. კარსიქიდან ხმაურმა შემოაღწია,

რომელიც ნელ-ნელა გაძლიერდა. ვიღაცების ყვირილი გაურკვეველ ბგერებად აღწევდა სიკვდილმისჯილთა ოთახში. მერე სხვა სიტყვებთან ერთად ორი სიტყვაც გამოიკვეთა: მოკლეს... ფედერიკო...

მარჩელო ჯერ შეკრთა, ყურთასმენა დაძაბა, მთლიანად დაიძაბა. ხორხეც გადმოტრიალდა, წამოჯდა და შეეცადა კარსიქიდან შემოსული სიტყვების გარკვევას.

- რაო?- მარჩელო წამოხტა, - რაო, ფედერიკო ტავიანი მოკლესო? - ჰკითხა ხორხეს.

- მე მგონი, მოიცა ერთი წამი...

- რა ხდება, რა ამბავია?! - ისმის კარსიქით მბრძანებლური ტონის მქონე ხმა. ყაყანი წყდება.

- ფედერიკო მოკლეს! - ისმის პასუხი.

- ფედერიკო მოკლეს?! - იძახის სასოწრკვეთილებამდე მისული მარჩელო. - ფედერიკო მოკლეს?! არა! ეს შეუძლებელია. - მარჩელო მთელი ძალით იწყებს კარებზე მუშტების ბრაგაბრუვს, თან ღრიალებს:

- გააღეთ კარები. კარები გააღეთ, ღროზე!

კარებს სალაფავის მომტანი ალებს.

- რა ამბავია? რაშია საქმე?!

- ფედერიკო ტავიანი მოკლეს?

- შენი რა საქმეა?

- არა, უბრალოდ, ყური მოვკარი, გარეთ იძახდნენ მოკლესო.

- შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მოკლეს თუ არა, ააა? ძაან გინდათ, რომ მოკლან. არ გამოგივათ. - სამხედრო გასვლას აპირებს.

- აბა, ეს ლაპარაკი გარედან რომ ისმოდა?

- მე არ ვიცი, შენ რა ხმები გესმის! - პასუხობს სამხედრო, კარებს მიიხურავს და გარედან რაზავს.

- ე. ი. არ მოუკლავთ? - ყვირის მარჩელო.

- მოკლეს, მოკლეს. - კარსიქიდან პასუხობს სამხედრო.

ხორხე ამ ყველაფერს საკმაოდ გაკვირვებული უყურებს.

- მოკლეს? - ღრიალებს მარჩელო

- ნუ გეშინია, თქვენც იგივე გელით დილით. - პასუხობს სამხედრო.

- მომისმინეთ, გააღეთ კარები! გააღეთ კარები! მე ფედერიკოს კლასელი ვარ! ჩვენ ერთ მერხზე ვისხედით! გააღეთ კარები, დაუძახეთ. – მარჩელო ღრიალსა და ბრაგაბრუგს წყვეტს და თავისთვის იძახის : – ჩვენ შეთანხმება გვქონდა. ჩემი გმირისთვის სიკვდილმისჯილის განცდა მინდოდა.

ოთახში დილის მზის პირველი სხივია შემოპარული. მარჩელო ხორხესკენ ზურგით და კედლისკენ სახით წევს. ხორხე წამომჯდარა, საღვაც ნახშირი უპოვნია და კედელზე ხატავს ქალაქის სახურავებს.

ესე იგი წითელი და თეთრი არა? შენი გმირით შენც უდანაშაულო სიკვდილმისჯილი ხარ. ესე იგი მსხვერპლი, რომელიც უზნეობის გამოსყიდვას ეწირება... ბედნიერი კაცი გამოდინარ, შენი გმირით. მე კიდევ წითელი, თავიდან ფეხებამდე სისხლში გათხვრილი შენი წითელი გმირით, არა? ახია შენზე, მარჩელო პირანდელო. სიზმარით აგიხდა საკუთარი რომანი. – ხორხე სახურავების ხატვას მორჩა და ახლა ორი ადამიანის ფიგურას ხატავს, რომლებსაც საჭაერო ბუშტები ცაში მიააქროლებენ.

- სიკვდილის არ მეშინია მეტეი, რომ ვითხარი, მართლა აღარ მეშინია, იცი რატომ, ისე მეშინოდა, ყველას და ყველაფერს, რაც ოდნავ შეირხეოდა, ვესროდი, იქიდან რომ არ დაეწრო სროლა. ბოლოს და ბოლოს ისე შემეშინდა, შიშის გრძობა დავკარგე. ეს ცხოველური უშიშროებაა. ვისაც მართლა არ ეშინოდა და თან შიშის გრძობა არ დაკარგა, ისინი პირველები დაიხოცნენ.

კარებს იქიდან ნაბიჯების ხმა კარებს უახლოვდება. ხორხე სიტყვას წყვეტს. მარჩელო არ ინძრევა. კარები იღება.

- მღვდელი ხომ არ გინდათ? – კითხულობს სამხედრო.

- მე, მე მინდა. – წამოილულულა მარჩელომ და წამოჯდა იატაკზე.

სამხედრო გადის. კარები იღება, შემოდის აბატი, რომელიც სიკვდილმისჯილებს პირჯვარს გადაწერს და სამხედროს მიერ შემოტანილ სკამზე ჯდება.

- მამაო, აღსარება მინდა ვითხრა, – ეუბნება მარჩელო მამაოს, რომელსაც სახეს “კაპიუმონი” უფარავს.

- თქვი, შვილო, ყველაფერი თქვი, არაფერი დამალო, აღსარების თქმისას დამალული ცოდვა უფრო მძიმდება. არსარებული კი მჩატდება, ან მიგეტყვება.

მარჩელო ძალებს იკრებს.

- ცოდვილი ვარ, მამაო. ათი მცნებიდან არა კაც კვლას გარდა, ყველა დამირღვევია. მაგრამ ეხლა სიკვდილმისჯილს დავცინე. დავცინე ისე, რომ თვითონ გავხდა მისი სიკვდილით დასჯის თანამონაწილე.

მარჩელო ჩერდება.

- უფრო გასაგებათ მითხარი, შვილო ჩემო, თორემ...

მარჩელომ თითქოს ენერგიის მოზღვავება იგრძნო. წამოდგა და მამაოს წინ დაიჩოქა.

- უფრო გასაგებად? – და მარჩელომ მამაოს თვალეში შეხედა. მის წინ კიკინიანი და ბლანჟიანი ჯალათი იჯდა.

- შენ, შენ ვინა ხარ?

- როგორ თუ ვინა ვარ? – მამაომ გაკვირვებულმა შეხედა.

- შენ ჯალათი ხარ! გუშინ სარდაფში... – და მარჩელო მამაო ჯალათს ყელში წვდა.

- ჯალათი! – ღრიალებდა მარჩელო.

- მიშველეთ! – ხრიალებდა ჯალათი.

ხორხე წამოხტა და მარჩელოს მიეშველა.

ოთახში შემოცვენილი ჯარისკაცები თოფების ტარებით სიკვდილმისჯილებს სასტიკად გაუძასებინდლდნენ. ჯალათი გაიყვანეს. მარჩელომ მისი ყურის ბიბილო გადმოაფურთხა პირიდან. დასისხლიანებული სიკვდილმისჯილები ხორხეს მიერ კედელზე ნახშირით დახატული ქალაქის სახურავების ქვეშ ერტმანეთს გვერდით სხედან და სველი ნაჭრით ნაიარევებს იწმინდავენ. ხორხე წარბიდან წამოსული სისხლით ცერა თითს ისველებს და ცაში აფრენილი ორი ფიგურის ერთ ერთ ბუშტს წითლად ღებავს.

ოთახი დილის მზით შუქით გისოსებად არის დალაქული. გარედან ნაბიჯების ხმა ახლოვდება. ურდულის ახსნის ხმაურს კლიტეში გადტრიალებული გასაღების ხმა მოჰყვება. ოთახში ხუთნი შემოდიან. ორი მარჩელოს დაადგება თავზე, ორიც ხორხეს.

- ხელი არ მახლოთ, მე თვითონ წამოვალ – ამბობს და მძიმედ დგება.

მარჩელოც იგივეს იმეორებს, თან საოცრად აჩქარებული სისხლის მიმოქცევის და გულისცემის გარდა არაფერი ესმის.

გრძელ დერეფანს ბოლო არ უჩანს. წინ ორი სამხედრო, გვერდით ხორხე, უკანაც სამნი, გულისცემა და სისხლის მიმოქცევა. მარჩელო მხარზე ხელის დადებას გრძნობს. ჩერდება, მიიხედავს, მის უკან ფედერიკო ტავიანი დგას. მარჩელო მისკენ შემოტრიალდება. ფედერიკოს წინ ერთ დღეში დაბერებული კლასელი დგას. მარჩელო გაყინული თვალებით მიშტერება მას.

- ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს, მარჩელო! სიკვდილმისჯილის გრძნობები შენს გმირს, ჩემგან საჩუქრად. – ეუბნება ფედერიკო და ხორხეს მიმართულებით მიდის.

მარჩელოს ორი სამხედრო ხელებს უყრის და საპირისპირო მიმართულებით მიჰყავთ. გზად ყურშეხვეული ჯალათი შეეჩხება, რომელიც შეაჩერებს და ეტყვის:

- როცა ჯალათს შეეხები, შეეცადე ათქმევინო, თუ რისთვის იბარებდა ის ყოველი სიკვდილმისჯილისაგან ჯერ აღსარებას, მერე კი ხვრეტდა. პირველი, აღსარებით თითქმის ათავისუფლებდა მათ ჩადენილ ცოდვათაგან, მერე კი თავისი ხელით კლავდა. სხვისი ხელით მოკლული კი ასევე თავისუფლდება ცოდვებისგან, ე. ი. ჯალათის მიერ ყველა დახვრეტილის ცოდვებს ჯალათი იღებს თავის თავზე და მისი ხელიდან წასულებს თავისუფალს ისტუმრებს საიქიოს. ასე, რომ დაფიქრდი, მწერალო, იქნებ მე ღვთის მისიასაც კი ვასრულებ.

სადალაქოს კიბეებზე ჯუზეპე ზის, ვაშლს ჭამს და აკვირდება აფორიაქებულ სამხედროებს, რომლებიც რაფაელისტების შეტევის შიშით სოფელს ტოვებენ და პანიკაში ჩქარობენ, რადგან ამბობენ, რომ რამდენიმე საათში მათი მტრები დაიკავებენ სოფელს. ლეონარდისტები გადიან, რაფაელისტები შემოდინან. სადალაქოს მარჩელო გაუსწორდება.

- ჰეი, მარჩელო.

მარჩელო ჯუზეპეს გამოხედავს.

- მარჩელო, რა მოგივიდა? – ეკითხება გაოგნებული ჯუზეპე. მარჩელო ხელით ანიშნებს არაფერი და სადალაქოს გასცდება.

- მარჩელო, შენი ჩანთები.

მარჩელო ხელს ჩაიქნევს.

უჯვარო სასაფლაოზე მარჩელო გაივლის.

მარჩელო თავისი სახლის კარებს აღებს. კიბეებით ვერანდაზე აღის, შაღებში ეხვევა და სავარძელში ჯდება, პორტსიგარიდან სიგარეტს იღებს და უკიდებს.

ხორხეს კედელთან აყენებენ.

მარჩელო ნაფაზს არტყამს.

ხორხეს თვალებს უკრავენ.

მარჩელო ნაფაზს არტყამს.

ხორხეს აკრული თვალებიდან ცრემლები მოსდის.

მარჩელო ნაფაზს არტყამს.

ჯალათი ხორხეს პისტოლეტის ლულას პირში ჩათხრის და გამოკრავს. ხორხე უსულოდ ეცემა.

ხეხილში ჩაფლული ორსართულიანი სახლი. ჩიტების ჟღერტულში საბეჭდი მანქანის ხმა სხვადასხვა ხანგრძლივობით, ხან იჭრება, ხან ქრება.

ცათამბვჯენზე უზარმაზარი ოთახი. მაგიდას აქეთ-იქიდან რეჟისორი და პროდიუსერი უსხედან. რეჟისორი სცენარის მოყოლას ამთავრებს. პროდიუსერი სიგარეტს უკიდებს, ღებება, ფანჯარასთან მიდის და გარეთ იყურება. ფანჯრიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს.

- ძალიან კარგია, სერიოზულად გიმუშავია, მაგრამ სიკვდილმისჯილის განცდები, მაინც, ცოტა არ იყოს, არ არის დამაჯერებელი. როგორც ჩანს, მართლა უნდა მოგისაჯონ სიკვდილი და დახვრეტის წინ შეგიწყალონ, თუ გინდა... – პროდიუსერი ვერ ასწრებს სიტყვის დამთავრებას, ფანჯრის მიღმა ხედავს უშველებელი წითელი კვამლის ნაკადს, რომელიც ცისკენ მიემართება და რომელსაც უშველებელი თეთრი ნაკადი მიჰყვება ოდნავ ჩამორჩენით. პროდიუსერი ფანჯრებს აღებს და უკვე რეჟისორთან ერთად უყურებს წითელი და თეთრი კვამლის ნაკადებს, რომლებიც თითქოს გასწრობანას თამაშობენ, ისე მიჰქრიან ცაში. მერე ერთმანეთში ირევიან, იფანტებიან და რჩება ღრუბლებით დაფოთლილი ცა.

წარწერა კედელზე

მაგდა ჩინიჯიშვილი

საწოლმა გამცნობის როლი ითამაშა.

საწოლამდე ქალი არ იცნობდა კაცს და კაცი არ იცნობდა ქალს. ორივეს ერთი ოთახი ეჭირათ, ერთი ჭურჭლით სარგებლობდნენ. ერთი სავარცხლით ივარცხნიდნენ თმას, ერთი პირსაბანიდან იბანდნენ და ერთ საწოლში იწვნენ, ერთმანეთს კი არ იცნობდნენ...

ქალმა არ იცოდა, თუ ღამით იმ ლოგინში წვებოდა, სადაც დღისით მამაკაცს ეძინა. ქალი მთელი დღე მუშაობდა. შებინდებისას შინ დაბრუნებული ცოტას წაიხემსებდა და ძილად მიეკვებოდა. დილით, აღრიანად გარბოდა სამსახურში. მამაკაცზე არასოდეს უფიქრია. ფიქრის არც თავი ჰქონდა, არც დრო...

...და დილით, როცა ქალი სამსახურში გარბოდა, ნახევარ საათში მამაკაცი გააღებდა ოთახის კარებს. მამაკაცს არ სძაგდა ქალები, თუმცა არც მას უფიქრია ოდესმე, ირგვლივ მდგომი უცნაური სუნი ქალისა თუ იყო... მოვიდოდა კაცი და მასაც დაბინდებამდე ეძინა, საღამოს კი კვლავ ძველ გზას მისდევდა.

ქალი დილის ცვლაში მუშაობდა, კაცი-ღამისაში. ისინი ყველას ცოლ-ქმარი ეგონა და მათ ბელს შენატროდნენ. ყოვლისმცოდნე მეზობლებს, არც მოაზრებიათ, მათი უცნობობა.

კვირას, როცა სეირნობდნენ, ისინიც მიჰყვებოდნენ ხალხის ტალღას. ქუჩაში ხვდებოდნენ, მაგრამ ორივე თავის გატკეპნილ ბილიკს მიუყვებოდა, ერთმანეთს ვერც ამჩნევდნენ, ერთ საწოლში კი იწვნენ. კვირას კაცი არ ბრუნდებოდა შინ, როგორც მარტოხელა კაცებს სჩვევიათ და რატომღაც ქალიც მთელ ღამეს თეთრად ატარებდა. არ ოხრავდა, მხოლოდ საწოლი ირწეოდა ნელა, სულ ნელა...

ქალი მოელოდა რაღაცას, კაციც მოელოდა და ღუძღდა...

არცერთს არ გასჩენია სურვილი ენახათ: ქალს? – როგორი დღე იცოდა, კაცს? – როგორი ღამე.

მათ ერთ მხარეზე უყვარდათ ძილი, ერთი სარკმელი მოსწონდათ, ერთ საკიდელს ხმარობდნენ ტანსაცმლისთვის, ჭიქის ერთი კუთხიდან სვამდნენ წყალს და ერთნაირ, თითქმის ერთნაირ სიზმრებს ხედავდნენ, ოღონდ კაცი დღე, ქალი – ღამე.

ერთხელ, სამსახურიდან დაბრუნებულმა ქალმა კედელზე დაწერა: “მე ვარსებობ”. არადა, ორივე ერთ საწოლში იწვნენ...

ისინი დღესაც არ იცნობენ ერთმანეთს. წარწერა კედელზე კი უპასუხო რჩება...

დაულაგებელი ამბავი

შენ გქვია კაცი, თუმცა კაცად არ დაბადებულხარ. მინდა გითხრა, იშვიათად ვხუმრობ, მაგრამ

ხშირად ვიციანი. ახლაც მეცინება! აბა, რატომ გეჩვენება მზე ასე დიდი, შეხედე, ხელის გულზე დაეტევა ადამიანს.

თუმცა, შენ ხომ კაცად არ დაბადებულხარ!

როცა ამ მიწის გადაღვლილ მკერდზე დადინარ. ვნებით, თვალთმაქცობით ეფერები მის თეთრ ძუძუებს. “შენია ეს სხეული” – ჩაგესმის ხმა და იკრავ გულში, გადამეტებული სიყვარულით კი არა, ავხორცობით, უფრო მეტი სიამე რომ გამოსწოვო...

ღმერთო, რა ლამაზია!

ნუ იცქირები ფარდების ჩრდილებს შუა. ამაყად მოდი. მეცინება, ვიდრე შორს იდექი, მარჯვენა ხელის ორი თითით გეჭირა რეზინის ზონარზე გამობმული სამყარო. ათამაშებდი იმ სათამაშოსავით, ბოშა ქალები, რომ ყიდდნენ ღვინისწაულებზე: ჭრელებს, დახაზულებს... (რა შავები იყვნენ მაშინდელი ბოშა ქალები. ჰქონდათ შავი კანი და სევდიანი ყვითელი თვალები... და შეიცვალეს მას შემდეგ ფერი ბოშა ქალებმა)... ვიდრე შორს იდექი გეკრძალებოდი, ახლოს მოხვედი და შენგან ერთი სიტყვა “შიში” დარჩა... მერე შენ, ჩემს თვალში დაპატარავდი, რეზინის ზონარზე დაკიდებული სამყარო კი დაპატარავდა...

გსიამოვნებს, როცა დედამიწასთან მრუშობ? ამ დროს ღრუბლები ეშვებიან ციდან ქვევით... იწმინდება ცა ისე, რომ ცისფერიც აღარაა. გავიწყდება რაა ცისფერი და ცის ადგილას ჩნდება წარწერა: “შენ კაცად არ დაბადებულხარ”... ესეც ნუგეშია ჩემთვის!

რა საბრალო ხარ ადამ! რა სუსტი ხარ! ფუ, რა ჭუჭყის სუნი აგდის სხეულზე. მიწა, ბალახი, წითელი ჭიაყელა... ცალ-ცალკე ყველა სურნელოვანია. შენ რატომ აგდის ჭუჭყის სუნი ადამ?

ვინ იფიქრებდა რაიმეს შექმნა თუ შეგეძლო. მე შენი კი არა მარტოობის ნაყოფი ვარ, მარტოობა კი შენ შექმენი...

რა საბრალო ხარ! გგონია ღმერთს ატარებ შენი სხეულით? მისმინე: საფრთხობელა უზარმაზარი იყო. იგი გასცქეროდა ოთხივე მხარეს და ხედავდა დედამიწის გულს. მარად უძრავად იდგა, მისი ტანი შიშს ბადებდა, თავი კი ღრუბლებს დაეფარათ...

მაგრამ საფრთხობელა თავიდან სულაც არ ყოფილა ხის ოჩოკონი, ისევე, როგორც შენ არ ყოფილხარ კაცი. იგი დედამიწის უზენაისი ძალა იყო. შექმნა სამყარო, მერე მოსწყინდა და ყველაზე საცოდავ არსებად იქცა. დედამიწის შუაგულში აღიმართა, როგორც ყველაზე საშინელი სიმახინჯე. აზრად არავის მოსდიოდა, ირგვლივ მოხეტიალე სიმახინჯე მისი ნაყოფი თუ იყო. ჯერ ებრალებოდათ, მერე შეზიზღდათ. მიხვდა საფრთხობელა, რომ მასაც სჭირდებოდა შეცოდება და თავად შეიცოდა საკუთარი თავი. დაიწყო დაშლა. ღრუბლებიდან ქვევით ჩამოიწია, ბოლოს დაირღვა. ხალხმა გაიტაცა ნაწილები: ზოგმა ის ნაწილი წაიღო, რომელმაც ანგელოსი შექმნა, ზოგმა ის, რომელმაც გველი... გადანაწილდა საფრთხობელა ათასებს შორის და დედამიწამ მიიღო საფრთხობელას სახე...

მას შემდეგ ჰგონიათ ადამიანებს, ღმერთს ატარებენ საკუთარი სხეულით, შენსავით ჰგონიათ, ადამ!

ზღაპარს მრავალსიტყვაობა უყვარს, ნამდვილი ამბავი ორი სიტყვით ითქმის.

შენ გქვია კაცი, თუმცა კაცად არ დაბადებულხარ. გსიამოვნებს, როცა მრუშობ და გავიწყდება, მიწიდან რომ ხარ შექმნილი.

მინდა გითხრა, იშვიათად ვხუმრობ, მაგრამ ხშირად ვიცინი... ახლაც, ეს მზე, ასე ღიდი და ბრწყინვალე რომ გეგონა, უკვე ჩავიდა... შენს ჭუჭყის სუნში კი, საბედნიეროდ, ისევ ურევია ღმერთის სულების სუნი... მე ეს შემძლია ვიგრძნო... ესეც ჩვენი დაულაგებელი ამბავი...

სეთი

სულების ოკეანე ღიდა და მღელვარე, სულთა დინება ჩქარი და შეუძინევი. უამრავი პატარა მდინარე უერთდება მას. ყველა შენაკადი განსხვავებულია, მაგრამ არის არხები, თავს რომ უყრის ყველა განსხვავებას. ეს სეთია, ოკეანისკენ რომ მიჰყავს სულები. მისი რატომღაც უნდა ემინოდეთ. ეს არის სეთის ყველაზე ღიდი სასჯელი.

მამაჩემს არ უყვარს ძაღლები, განსაკუთრებით ამბუნებულ ძუკნებს ვერ იტანს. მე ვალმერთებ მამას, მაგრამ ეს ძაღლები ვერ დამათმობინეს.

ერთხელ უპატრონო, ლეკვებიანი ქოფაკი მოვიყვანე სახლში. იგი არც ღიდი იყო, არც პატარა, შავ-ყავისფერი ბეწვი და ძალიან ჭკვიანი თვალები ჰქონდა...

“ოჯახს რომ ძაღლი შეეკედლება, კარგიაო”- თქვეს მეზობლებმა და ახალი ბინადრის ჯიშს დაუწყეს დადგენა. ჩემი მეგობარი კი აშკარად უჯიშო იყო, ხმა ზარივით მჭექარე, ოღნავ ყმუილნარევი და ფიცხი ჰქონდა. თვალები კი თბილი, თბილი, სევდიანი და ჭკვიანი... საოცარი იყო ერთი, ძალიან შეუყვარდა მამაჩემი, კაცი, რომელიც ძაღლებს ვერ იტანდა, განსაკუთრებით კი ძუკნებს.

სეთს მუცელი ეძრა. შავი ძუძუები დაებერა და რძით აევსო, მძიმედ სიარული დაიწყო. ვერ იყო ისეთი სწრაფი, როგორც წინათ. სულების ოკეანე კი სტუმრებს ელოდა და ბობოქრობდა. ძლივს დაბუნებულა მუცელდაშვებული შავი ძაღლი. მასზე ბრაზობდა მრისხანე სიკვდილის ღმერთი და უფრო ღიდ სასჯელს ამზადებდა, ვიდრე შიშია...

ერთხელ იმ ნაპირზე, სადაც სულები ჯერ კიდევ ადამიანები არიან, სეთამ საშინელი ტკივილი იგრძნო, მაგრამ ეს ტკივილი გაცილებით ტკბილი იყო, ვიდრე სულთა გადაყვანისაგან დაღლილი, ნაგვემი სხეულის მტვერევა. ამ ტკივილს იქით იბადებოდა ცოცხალი არსება, რომელიც არ ენახა აქამდე სეთის, და, რომლითაც შეიცნო სიცოცხლე და სიყვარული.

ჩემს ძაღლს არასოდეს ყოლია ჭრელი ლეკვი, ყოველთვის შავი ან რუხი ფერის ლეკვები უჩნდებოდა. მამაჩემს გული უკვდებოდა მათი “გაძიძავებისაგან”. ყოველთვის მთხონელთა რიგი იდგა ჭიშკართან. მამაჩემი არიგებდა და არიგებდა ლეკვებს, მაგრამ ძაღლს იგი მაინც უყვარდა.

ერთხელ მამამ ძაღლი სახლიდან წაიყვანა. როცა უცნობი ქუჩები გამოჩნდნენ, ცხოველი მძლოლის საზურგეს გადაეგლო და გაიქცა. საღამოს შინ დაბრუნდა და მამის ფეხებთან დაწვა. სევდიანი თვალებით ახედა, მაშინ მამამ პირველად გაუღიმა მას.

სიკვდილის ღმერთმა დასაჯა სეთი. ერთ საღამოს, როცა მზე ჩაესვენა, სეთიმ სიცოცხლის სანაპიროდან, სულების ოკეანისკენ თავად წაიყვანა თავისი პაწაწინა ლეკვები. ტკივილისაგან დაიყმუვლა. პირველად დაინახა სიკვდილი და მიხვდა, რატომ ეშინოდა მისი.

გულადი იყო ჩემი ძაღლი, მაგრამ ერთხელ, როცა მკვდარი ლეკვი გაუჩნდა, დავინახე, როგორ გაურბინა ცეცხლმა თვალებში, კბილებით ფრთხილად აიღო პაწაწა, დაკრუნჩხული არსება და ბუნაგიდან გაიტანა. თხილებთან თავად ამოთხარა თათებით ორმო, შიგ ჩააგდო ლეკვი. მიწის მიყრამდე კი თავი მოაჭამა პატარას. ვეღარ ვეფერებოდი ძაღლს. ერთს კი მივხვდი: გულადი იყო ჩემი ძაღლი, მაგრამ სიკვდილის ძალიან, ძალიან ეშინოდა თუ სძულდა...

მას შემდეგ სეთმა მრავალი სხვისი შვილი გადაიყვანა სულთა საუფლოში, მრავალი მშობელიც. სეთს უკვე სევდიანი თვალები ჰქონდა და ყბოილი უყვარდა. ყბოლა ყველა სულის გამოჩენისას და სწყინდა, მარადიული სიცოცხლე რომ ჰქონდა მისჯილი...

იმ ღამეს სეთს ერთი კაცის სული უნდა გადაეყვანა ოკეანეში. კაცისა, რომელიც ძაღლებს ვერ იტანდა, განსაკუთრებით კი ძუკუნებს. სეთმა დაინახა იგი და არ დაუყმუილა. მხოლოდ შეხადა და ცარიელი გაბრუნდა უკან, მომავალ სულს რომ დალოდებოდა.

ამბობენ, ძაღლები მიცვალებულებს გრძნობენ და ყმუიანო. ალბათ იმიტომ, რომ ყველა ძაღლში სეთი ბინადრობს. მათი უმძიმესი სასჯელი ყმუილისადმი ადამიანების შიშია...

დედის ღიმილიანი სურათი

ღილით მამჩემმა მიწისფერი მიიღო. გუშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, წვალობდა. ბევრი არაფერი დაუტოვებია: ერთი ძველისძველი სახლი - საიდუმლოთი მოცული, დედის ღიმილიანი სურათი და ბევრზე ბევრი მიწა...

მიწა...

მიწა...

მიწა...

მიწა არასოდეს გაუყიდა, არც თოხნისთვის უნლია არასოდეს ხელი. ახლა სასახლეშია და მიწისფერი ადევს. კუბოს ირგვლივ დარბიან ჩემი შვილები, დაჭერობანას თამაშობენ. მიხარია, რომ არ ემახსოვრებათ ბაბუა... სასახლეში განსაკუთრებულ ჯიშს სძინავს. ხვალ, იქნებ ზეგ, ჩემი ძმა ჩამოვა და შავი ღიპლომატით ჩამოიტანს მამის გასვენებას.

აცრემლდება. საღამოს დამასაჩუქრებს. მომაკვდავს ასე კარგად ვუვლიდი და იძულებული იქნება ბოლო წუთამდე დარჩეს: ხალხისგან მიიღოს სამძიმარი. მანამდე მაამბობინებს – როგორი იყო მამაჩვენი, ვიდრე მიწისფერს მიიღებდა და მეც დავიწყებ:

“გუშინ, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, წვალობდა...”

“ბევრი არაფერი დაუტოვებია – განაგრძობს ის – ძველი სახლი და ბევრი მიწა”.

ჩამონათვალში გამომრჩება დედის ღიმილიანი სურათი.

რადგან ჯერ ჩემი ძმა არ ჩამოსულა, მეც მარტო ვდგავარ მამის ცხედართან. ხუთშაბათს წაიღებენ, ხუთშაბათამდე ხუთი დღეა. მოვითმენ.

ბავშვობიდან ვითმენდი...

მიწა...

მიწა...

მიწა დაგვიტოვა. რაც არ გიყვარს, ვერასოდეს მოიხმარ. თვითონაც არ უყვარდა. ან უყვარდა, ავადმყოფურად: დადიოდა ტყეში ჯოხით, ბეჭებში მოხრილი, ამოწმებდა საზღვრებს, ეჩვენებოდა ნაჯახის ხმა და ეძახოდა და უცხო ბელურასაც კი...

საბრალო ელე დაიღალა ერთი საღამოს სამძიმრით. პანაშვიდზე შევხედე და გავშრი: ასეთი ქალი შავებში და მკერდდახურული...

მიწა აკითხავს მემიწეებს... გასვენების შემდეგ სასტუმრო ოთახში მივუჯდები მრგვალ მაგიდას, დავლევ ჩაის იმ ვერცხლის ჭურჭლით, არასოდეს რომ არ მჭერია ხელში. მუხლზე დავისვავ ელეს და რატომღაც ბედნიერი სახით გამოვუცხადებ ჩემს სუფთად პირგაპარსულ ძმას: “კიდევ კარგი მოკვდა. ბევრი არაფერი დაუტოვებია: დედაჩემის ღიმილიანი სურათი...”

მას გაუკვირდება: “კი მაგრამ სახლი და მიწები?”..

სერაფიტა

ყველაფერი, რაც ჩემამდე იყო, იყო დიდი ხნის წინათ. ხოლო ის, რაც დიდი ხანია აღარ არის, ადამიანის გონებაშიც თანდათან ქრება. მხოლოდ უძველესი ხელნაწერები, რომლებსაც თავიანთი არსებობაც აღარ ახსოვთ მოგვითხრობენ მათზე და ისევ ჩნდება ახალი კითხვა: ყველაფერი, რაც ჩემამდე იყო, ის, რაც იყო დიდი ხნის წინათ, როგორ იყო?

.. და სადღაც ქვევით, მკერდთან ახლოს მესმის ყრუ კვნესა: “მე ვარ ის, ვინც შენ იყავი. ვინც იყავი დიდი ხნის წინათ... მე ვარ სერაფიტა... მე ვარ სერაფიტა...”

გამახსენდა გამჭვირვალე, მკვნესარე ღამე. ღამე, რომელიც მშობიარობდა. მშობიარეს ყოველ ამოსუნთქვაზე, ახალი ვარსკვლავი ჩნდებოდა ცაზე. დედამიწა ირწყვებოდა შავი ცრემლებით. დედამიწა ღამის და მთვარის ბავშვს ელოდა. დედამიწა იქნებოდა მისი გამზრდელი. მშობიარობდა შავი ღამე. იბადებოდა სერაფიტა: თავად ტანჯვა, თავად ტკივილი...

ჩვენ ვიბადებით ...

ჩვენ ვიბადებით ...

ჩვენ ვიბადებით ...

ჩვენ ვიბადებით და ვკვებით დაბადებისთანავე, ხოლო როცა ვკვებით, ვიბადებით კიდევ დაბადებიდან სიკვდილამდე დავცინით იმას, რაც იყო ან რაც მოგველის.

თქვენ გჯერათ ბედისწერის? – მეც. ბედისწერა არ არის სიტყვა, არც სიზმარი. იგი ცხოვრობს სიკეთესა და ბოროტებას შუა... ბედისწერა შუალედია. ბედისწერა შუალედია და ჩვენთან ერთად იბადება.

... და ერთ სხეულში ვზივართ ორნი: მე და ბედიწერა.

მე ვარ სერაფიტა, განმარტოვებით მოტირალი სასახლის უზარმაზარ დარბაზებში...

მე ვარ სერაფიტა, ასული ღამის და მთვარის. ღამესავით ბნელით მოცული, მთვარესავით ნათელი და ახლობელი.

მე ვარ სერაფიტა, დედამიწაზე გადმოსული სითბო და ალერსი, ვნება და სათნოება, ცრემლი და ღიმილი.

მე ვარ სერაფიტა, ზეცისა და მიწის ნაზავი და ზავი მიწასა და ზეცას შორის.

მაგრამ არც ერთი ზავი ხომ არ არის მარადიული, არც ერთი კერპი შეუმუსრავი.

მე ვარ სერაფიტა: ტკივილი და ცრემლი და თავად სიკვდილია ჩემი ბედისწერა. ამიტომაც, ვტირი განმარტოვებით სასახლის უზარმაზარ დარბაზებში.

დავტირი იმ წუთს, მე რომ დავიბადე.

დავტირი მამას ჩემსას - მთვარეს და დედას - ღამეს.

დავტირი ჩემს დედობილს - დედა დედამიწას.

დავტირი ჩემს გამზრდელს - ზევანს.

დავტირი საქმროს - იოდმანგანს.

დავტირი ჩემს სიკვდილს - ბედისწერას ჩემთან ერთად რომ დაიბადა.

სხეულში ვზივართ ორნი: მე და ბედისწერა.

მე ვადგენ ჩემი სიცოცხლის საზღვრებს და ვაფერადებ ცხოვრებას ათასი ღამაში ფერით. ამ დროს, ბედისწერა მხოლოდ იცინის.

მე განვაგრძობ: ჩემით იწყება ყველაფერი დედამიწაზე. მე ვარ პირველწყარო სიყვარულის, ერთგულების, სიკეთის... მერე შვილები... ახლა ისინი არიან პირველწყარონი ერთგულების, სიყვარულის, სიკეთის...

ბედისწერა ისევ იცინის.

ბედისწერა შუალედია, მე კი ადამიანი. მე ადამიანს, არ მსურს ვიყო შუალედში და სადღაც ვხვდები, რომ ერთ სხეულში ორნი ვერ ვიქნებით: ან მე, ან ბედისწერა... ვიწყებთ ბრძოლას და გვავიწყდება, რომ ის, ვისაც ვებრძვით ჩვენთან ერთად დაიბადა და ჩვენთან ერთადვე მოკვდება.

მე ვარ სერაფიტა. ჩემი სხეული მოციმციმე ცეცხლის ალია, ჩემი სული გამჭვირვალე ჰაერი, ხოლო ის, რაც სული და სხეულია მთლიანობაში, მიწას ეკუთვნის.

მე ვარ სერაფიტა და დღეს ქორწილია ჩემი.

იოდმანგანი მაღალია, როგორც განმარტოებით მდგარი ალვა, მისი თვალები შავია, როგორც დედაჩემის უმთვაროდ ყოფნა.

მისი ხელები, მაგარია, როგორც ფოლადის სატევრები. მაგრამ იოდმანგანე შენში არ არის ცეცხლი, არც ჰაერია... იოდმანგანი მხოლოდ მიწაა. მე კი მიყვარს იოდმანგანი და ბედისწერა ვიცი დამსჯის, დამსჯის მიწა რომ შევიყვარე...

და ხმამ, რომელმაც კენესით მითხრა: “მე ვარ ის, ვინც შენ იყავი”. გამანდო ერთი საიდუმლო, თუ გამახსენდა: სერაფიტა იყო თურმე ქორწილის დღეს ულამაზესი და როდესაც საქორწილო სარეცელზე იოდმანგანის ცხელი სუნთქვა ახლოს მოესმა, იქვე გადნა და ოქროს ტახტზე, მომაკვდავმა წაიჩურჩულა: “მე ვარ ბედისწერა”...

ოქროს კუბოთი დაასაფლავეს არმაზის ხევში და მგლოვიარე იოდმანგანმა არ იცოდა, რომ ბედისწერას დაუდგა ბილინგვა: “მე ვარ სერაფიტა... ის, ვინც იყო იმდენად მშვენიერი და კარგი, არავინ იყო მსგავსი მისი სილამაზისა. გარდაიცვალა ოცდაერთი წლისა”...

ყველაფერი, რაც ჩემამდე იყო, ალბათ, იყო დიდი ხნის წინათ. ბილინგვები დღესაც იდგმება, ბედისწერა კი ყოველთვის შუალედში რჩება.

ფოტოშედევი

- რატომ მივდივართ ფოტოგრაფთან ბატონო ჩემო?
- იმიტომ რომ, ჩვენი წამიერი ცხოვრება დავაფიქსირეთ.
- დავაფიქსირეთ? არა, იმიტომ, უფრო ადრე რომ დავებრდეთ და ხშირად ვიგრძნოთ ჩვენი უბედურება.

ეს ქალი, სურათიდან რომ იცქირება, სიცოცხლის დასასრულამდე უცნაური იყო. ყველა ამბობდა, ლამაზიაო. აქ კი... აბა, ლამაზია ეს ქალი? შავი თმა, წვრილი წარბები, შავი თვალები, თხელი ტუჩები და უზარმაზარი ნაოჭი თეთრ, ლამაზ შუბლზე. ასეთი ქალი უყვარდა ბევრს, ის კი ყველაზე უღირსთ ირჩევდა.

ქალს ბავშვი უჭირავს ხელში. გაწეწილი, ბუთხუზა, ლოყაზე საუზმის კვალით. პატარას დედისათვის ჩაუკიდია ხელი საყელოში. დედის თვალები იცქირება სადღაც, შვილისა – სადღაც...

უბედური ფოტოგრაფი, მას არვინ უყურებს...

ეს პოზაა სურათისათვის?

ეს ცხოვრებაა.

ტრაგიკულად ბედნიერი ქალი. რომ ჰკითხოთ უბედურება რაა არც იცის. თავის ცხოვრებაზე არაფერს ამბობს, არადა მის წარსულს, აწმყოსაც და მომავალსაც უბედურება ჰქვია.

თავისებური ქალი, რომელმაც დიდხანს ვერ იგუა ნიშნობის ბეჭედი. მოიხსნა თუ არა, გაყიდა და დარჩა ერთადერთი სამკაულის გარეშე.

მისი ცხოვრების მიღმა ორი მამაკაცი იდგა. ერთი საშუალო, ქერა, ცისფერთვალება.

სლაგური გარეგნობის, მეოჯახედ დაბადებული, მაგრამ სუსტი...

მეორე მაღალი შავგვრემანი, რუსეთის ტრამალებზე შეყვარებული. კაცი, რომელიც აჩენდა და ტოვებდა შვილებს. ორივეს ქმარი ერქვა. ბედმა ქალს ხელი შეაშველა და ორთავე

მანსოვრობის მიღმა აღმოჩნდა.

ქალმა დახუჭა თვალები და როცა გაახილა, არ ანსოვდა არც ქერა-ცისფერთვალემა, არც მაღალი შავგვრემანი. მის ცხოვრებაში ორი მამაკაცი კი არ იყო, არა იყო რა...

ცოლობანას თამაშის დამთავრების შემდეგ, არც ერთი კაცის ცხელ გამოხედვას არ უპასუხა. ქუჩაში დადიოდა ამაყად, ზედ არ უყურებდა უფრო ლამაზებს და მალლებს. შავი პატარა ბერეტი, ბეწვიანი ლაბადა. თავი მოჭქონდა კრიალა სახის კანით და იკვებნიდა, რომ არასოდეს არაფერი გამოუყენებია.

გზა იყო მისი. მისგან იწყებოდა ყველაფერი: ცა, მიწა, ომი, ღიმილი და მისი შვილებიც... ზოგი ქერა-ცისფერთვალემა, ზოგი მაღალი შავგვრემანი. არც ერთი არ ჰგავდა დედას, ქალს არც უნდოდა მათი მსგავსება... მასზე ამბობდნენ ლამაზი და ისიც უყოფდა ამ სილამაზეს... აღარ დაირქვა ცოლის სახელი, არც საყვარლის... ის, უბრალოდ იყო, ქალი და სხვა არაფერი...

ღამით, ღამით დიდხანს იკრუნჩხებოდა ცივ ქვეშაგებში. სურდა სიცივეს მოეკლა სიცხე – მისი უხილავი მტერი... მზად იყო ეკვილა: “მიმიფურთხებია”... ოღონდ, ღმერთისთვის არასოდეს...

... ასე გრძელდებოდა წვიმები. გრძელი და ცივი წვიმები, შემოდგომის პირზე, მერე თეთრ ფანტელეზად რომ იქცევიან. გაზაფხულზე ამოდიოდნენ მისი საყვარელი ყოჩივარდები, მალე რომ ეკარგებთ ლამაზი ფერი, გაზაფხულს ყოველთვის მოსდევდა ცხელი ზაფხული.

დრო იჩქაროდა, თითქოს სახლის კიბეებზე სირბილით ეშვებოდა და აი, სადაც სამოცდამეთხუთმეტე კიბეზე წამით რომ შეჩერდა, გაახსენდა ოცდამეშვიდე საფეხურის ქარიანი სურათი: გამხმარი, ნაომარი სახე, ნაოჭები წარბებთან, ნაოჭები შუბლზე, ტუჩის კუთხეებშიც ნაოჭი. შეშინებული შავი თვალები. ხელში პატარა, ბუთხუზა ბავშვი, მისი თვალები იცქირებოდნენ შორს დედისგან. პატარას თითქმის შეესრუტა ქალი...

რომ ჰკითხოთ, უბედურება რაა, არც იცის და სძულს ეს პატარა ფოტოსურათი, სამუდამოდ რომ შემოინახა მის თვალებში ჩამდგარი შიში უბედურებისადმი, იქნებ სიბერისადმიც...

ვათვალეობით ძველ ალბომებს, ვამჩნევთ, ვბერდებით... ფოტოგრაფები კი ათასში ერთხელ ქმნიან შედეგებს, სადაც არ არის პოზა სურათისათვის, არის, უბრალოდ, მართალი ცხოვრება...

ქალის ჩანთა

მთავრდებოდა რაღაც და მე აქ წერტილი ვიყავი: ასე შევიგრძენი დღე, უცნაური ღამის შემდეგ რომ დამათენდა თავზე.

გამოღვიძებულს გამახსენდა, წუხელ მშვენიერი ცხვირსახოცი მაჩუქეს. თეთრი იყო, მოზრდილი მაქმანებით და შუაგულში სისხლიფერი მზით. მზე ამოდიოდა თუ ჩადიოდა... დამაჯერეს, რომ საგანგებოდ ჩემთვის მოატანინეს იაპონიიდან თუ ინდოეთიდან...

ეს ჩემი მზე იყო, დაბადებიდან ჩემი. მისკენ მივდიოდი ჯერ კიდევ ბავშვი. ზაფხულობით იგი წითლდებოდა და დუღდა გზა, ფეხისგულებს ველარ ვღვამდი მასზე, მწვავედა...ახლა, ცხვირსახოცზე მონატულ მზეს მაგრად ვუჭერდი თითებს, ჩემი ჩემთან იყო, მოვერიე... თუმცა ადგილი, ვერ ვუპოვე და უბეში შევინახე. მკერდზე გაიღაბნა მცხუნვარე სიწითლე. ჩემი ღონორი მზე იყო, დუღილი წვეთ-წვეთობით რომ გადამისხა სისხლში. რა თქმა უნდა, თავს ვიტყუებდი, მჯეროდა, რომ ბედნიერი ვიყავი და მეშინოდა...

ევკალიპტის ტყე შრიალებდა რუსული “იზბუშკების” უკან. პატარა ხიდი გაეღოთ რუზე. თითქმის ჰგავდა ან ძალიან ჰგავდა, მაშინ ჩემი არსებობა სხვისას. პატარები არასოდეს ფიქრობენ ამ მსგავსებაზე, არც აწუხებთ... არც მე მაწუხებდა, როცა ინა და მე ერთნაირ ქონებში ვცხოვრობდით: მე დროებით, ის სამუდამოდ...

ეკალიპტის ტყის მიღმა იწყებოდა ჭაობი, ძალზე რომ წააგავდა ინას თვალებს. ჭაობის თავზე მარადიული ზუზუნი იდგა. დედამიწის ხმაურს თითქოს აქ მოეყარა თავი. ჩვენ არ გვემინოდა ხმაურის, ვერ ვხედავდით მსგავსებას და მშობლებისაგან მალულად მივიპარებოდით ეკალიპტის ტყისკენ.

...ზოგჯერ წვიმდა, მაშინ არ ჩანდა მზე. ტალახი იზილებოდა ქოხებს ირგვლივ და ბებია ვარია, ფენსაცმელები რომ არ გაეფუჭებინა, ფენშიშველი დადიოდა, დადიოდა და დადიოდა... ფანჯარაზე შესკუპებულები ვუყურებდით მაღალი დედაბრის წვიმიან სეირნობას. ინა ამბობდა, “ვარიას სირისტიანი სული აქვსო”. მზეს ყოველთვის ემალებოდა დედაბერი კოლოებიან ოთახში და ჩვენც გვეგონა, აგერ-აგერ გამოეზრდებოდა მის ქოხს ქათმის ფეხები, შევარდებოდა ეკალიპტის ტყეში...

დედაჩემი სადილს ამზადებდა პატარა აივანზე. ინა უძრავად იჯდა, უყურებდა დედას, ჯერ თვალეში, მერე ხელებზე... ცქერა გრძელდებოდა საათები, დღეები. მაშინ წყდებოდა ჩვენი მეგობრობა, ინა იჯდა ჩუმად. მე, მოწყენილი. ყელში მიწის გემოს ვგრძნობდი და ხშირად ვიფურთხებოდი. მაშინ დედა არ მაძლევდა შენიშვნას, მგონი საერთოდაც ვერ მამჩნევდა – ელიძებოდა...

სადილობისას ინას რუს იქიდან უხმობდნენ. დედაჩემის თბილ შემოპატიჟებას ახვედრებდა გვერდაუკლებელ საბაბს – მამა ეძახდა და მიდიოდა, უფრო მირბოდა, ჩვენი საზაფხულო ბინიდან... აცილებდა დედაჩემის რალაცნაირი, თბილი და ცრემლიანი მზერა...

აკაციის ხმელი ტოტებით ვაგებდით სახლს. ვთამაშობდით დედა-შვილობანას. ინა ყოველთვის შვილი იყო, მტირალა შვილი. მე კი აღერსიანი, მზრუნველი დედა. ჩემი შვილი ითხოვდა ბევრს: გასეირნებას ჭაობის ნაპირებთან, პატარა ლეკვს, ზღვის კამერას, ტკბილეულს და ძუძუსაც კი... ყველაფერს, რასაც პატარა, ძალიან პატარა ბავშვები ითხოვენ და რაც მას არასოდეს ჰქონია... თამაში გადადიოდა ცხოვრებაში. ჭაობთან რჩებოდა ჩვენი ბავშვობა. მე ვგავდი მიტოვებულ ბავშვიან ქალს, მარტო ვეზიდებოდი თამაშის ტვირთს... მარტო ვზრდიდი შვილს, რომელსაც არ ჰყავდა მამა და მამა არც გეჭირდებოდა. უბრალოდ, ბავშვი იყო ძალიან ჭირვეული. მიდიოდა ჭაობისაკენ, ხოცავდა ბაყაყებს, ითხვრებოდა მიწაში და საერთოდ არ სურდა ჩემი დაჯერება... ერთხელ ძალიან გავბრაზდი, კაბა რომ გამიხია და გავარტყი... ინა აცრემლდა, თმებში არ მწვდა უბრალოდ, ეკალიპტის ძირში ჩავჯდა...

შემეცოდა, გამახსენდა დედა რომ ვიყავი... ნოტიო ჭაობი იცქირებოდა ინას თვალებიდან, მარტობისაგან დანესტილი მზერით. მზე ეკალიპტის ფოთლებში ჩაიხლართა და მოკვდა... ინა ქსუტუნებდა. მე თავზე ვკოცნიდი. მიყურა დიდხანს, სწორედ ისე, როგორც დედაჩემს აივანზე, სადილს რომ ამზადებდა და ამ მზერას მოაყოლა: “მე მძულს დედაშენი”. ამას მოჰყვა ტირილი. უფრო კვილს ჰგავდა. მე არ ვიცოდი, როგორ გამეჩერებინა ჩემი ჭირვეული ბავშვი... თამაშისას ასე მწამდა. არც ვიცოდი რა იყო რწმენა... ბავშვობის წასვლასთან ერთად რწმენა გავიზიარე, მაგრამ რწმენა დაკარგე კიდევ... ახლა ვხვდები, მაშინ ინას მსოფლიოში ყველა დედა სძულდა, და მაინც, რატომღაც ყველა შვილის შურდა. ჩემი მზე ნელე-ნელა ჩადიოდა ზღვაში. მე მივრბოდი მისკენ. მზე მაშინ წითელი იყო და ცხელი... წყდებოდა ზღვა. იწყებოდა ქვიშა. სანაპიროზე აღმართულ თეთრ, უზარმაზარ სვეტებზე ისხდნენ მერცხლები. ქვიშას ასდიოდა თაფლიანი ნესვის სურნელება და ზღვის ლელვა თანდათან მატულობდა ტანში.

გუშინ, როცა მზიანი ცხვირსახოცი მაჩუქეს, გამახსენდა ეს ნაპირები, გამახსენდა ინა. ცხვირსახოცმა – წითელი მზით, დავიწყებიდან ამოწვა ბავშვობა. უცნაური დღე კი თენდებოდა და თენდებოდა....

მუდმივი კატეგორიები დამთავრდა: ხელოვნების ახლებური განსაზღვრა

უშანგი ხასხასაშვილი

ინგლისურიდან თარგმნა ლელა ცისკარიშვილმა

მარსელ ღუშამბა მზა საგნები ხელოვნებად გამოაცხადა, ფუტურისტებმა სხვადასხვა ხმაურები ხელოვნებად მონათლეს – ჩემი და ჩემი კოლეგების ძალისხმევით მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რომ დავამკვიდრეთ ხელოვნებად მთლიანი მოვლენა, რომელიც შეიცავს ხმაურებს, საგნებს, მოძრაობას, ფერს და ელემენტების შერწყმის ფსიქოლოგიას იმგვარად, რომ ცხოვრება იყოს ხელოვნება.

ვოლფ ვოსტელი

ხელოვნება როგორც ცხოვრება: “ფლაქსუსი” წარმოადგენდა მხატვრების, მუსიკოსების, რეჟისორებისა და მწერლების საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც სათავეში ჯორჯ მოსიუნასი ედგა. მან მოაწყო პირველი ფლაქსუსის შეხვედრები 1961 წელს ნიუ-იორკის AG გალერეაში, შემდეგ კი ევროპაში. ფლაქსუსი გარკვეულწილად წარმოადგენდა ანტი-ხელოვნების მოძრაობას, რომელიც უარყოფდა იმ ფაქტს, რომ ხელოვნება მხოლოდ მუზეუმებისა თუ კოლექციონერების კუთვნილებაა. დადას და ღუშამბის ტრადიციების გამგრძელებელი ფლაქსუსის ავანგარდული მიდგომა მდგომარეობდა იმაში, რომ ერთმანეთში აერთიანებდა საზღვრები ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის, გადაექციათ და განესაზღვრათ ყოველდღიური მოვლენები და საგნები ხელოვნებად. ფლაქსუსის გამოსვლები შედგებოდა მინიმალური და ადვილიად ხელმისაწვდომი პერფორმანსებისაგან და მინიმალური მუსიკალური კომპოზიციებისგან, რომელსაც არტისტი ჯონ ქეიჯი “სქორებად” (კომპოზიციებად) მოიხსენიებდა. მაიქლ რაში წერს: “ფლაქსუსის მოვლენა, როგორც გერმანელ-ამერიკელი ხელოვანი ჯორჯ ბრეხტი განსაზღვრავს, წარმოადგენს სიტუაციის ყველაზე მცირე ერთეულს. მოვლენა წარმოად-გენდა უბრალოდ გამოწვევას დახურული სივრცის გასაღებად.”

მუსიკალური “კომპოზიციები” დაცლილი იყო ყოველგვარი ხელოვნურობისაგან - ორკესტრისაგან თუ წარმოდგენის გარემოსაგან და მოითხოვდა მხოლოდ ყურადღებას წუთიერი დეტალის მიმართ. ერთ-ერთი ამგვარი “კომპოზიცია”, რომელიც ჰგავდა მიეკო შიომის “გახსნილ ივენტს”, მდგომარეობდა იმაში, რომ გაეხსნათ პიანინოს კლავიატურა ხმის გამოცემის გარეშე და შემდეგ ჩუმად დაეხურათ იგი. იმისათვის, რომ აუდიტორია ჩართულიყო ხელოვნების კეთების პროცესში, ყველას თხოვეს, რომ ჩამოეწერათ თუ რა მოხდა ამ პროცესის დროს. ეს მარტივი, თანა-მონაწილეობითი აქტი გახდა განაცხადი მოდერნიზმის სერიოზულობისა და მუზეუმების ხელოვნების ამაღლებულობის წინააღმდეგ.

ფლაქსუსის მოძრაობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა გადასვლა აუდიტორიიდან მონაწილეებზე. ფლაქსუსის წარმოდგენებს ადგილი ჰქონდათ ყოველდღიური მოვლენების დროს, მაგალითად “ქუჩის გადაკვეთის” პერფორმანსი. ფლაქსუსის ხელოვანთა ჯგუფი იცდიდა ქუჩის კუთხეში და კვეთდა ქუჩას, როდესაც შექნიშანზე ფეხით მოსიარულეთათვის მწვანე შუქი ინთებოდა, მიანიშნებდნენ რა, რომ გადასვლა უსაფრთხოა. ხალხი ქუჩაზე ფლაქსუსის ჯგუფთან ერთად გადადიოდა (ხშირად ისე, რომ თვითონ არ იცოდნენ ამის შესახებ) და ამგვარად ხდებოდნენ მონაწილენი ყოველდღიური მოვლენისა - ქუჩის გადაკვეთის, რომელიც ფლაქსუსის წევრებმა განსაზღვრეს, როგორც წარმოდგენითი ხელოვნება. “ქუჩის გადაკვეთის” პერფორმანსი მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა, და თანდათან უფრო მეტი ხალხი მონაწილეობდა ამ “ხელოვნება-როგორც-ცხოვრება” წარმოდგენაში.

შემთხვევითობის მუდმივი ელემენტი წარმოადგენდა ფლაქსუსის მოძრაობის მეორე მნიშვნელოვან ასპექტს. ფლაქსუსის წარმოდგენები გამიზნული იყო სხვადასხვა ინტერპრეტაციებისათვის, ისევე როგორც შემთხვევითობისათვის. “ყველაფერი შეიძლება

მომხდარიყო წარმოდგენის დროს.” - წერს მაიქლ რაში, რაც მთავრდებოდა სხვადასხვა სახის შემთხვევითი მოვლენებით. “აუდიტორიის წევრები ხდებოდნენ მონაწილეები და აღარ იყვნენ პასიური დამკვირვებლები. ამგვარად, ფლაქსუსის წარმოდგენები გახდა იდეალური განხორციელება ღუშამპის ფილოსოფიისა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ მაყურებელი ასრულებს (ავსებს) ხელოვნების ნიმუშს. მართლაც რომ, ფლაქსუსის შემთხვევაში მაყურებელი არა მხოლოდ ავსებს, არამედ ხდება ხელოვნების ნიმუში მისი პირდაპირი მონაწილეობით ამ წარმოდგენაში.”

პიტერ მური იყო ფლაქსუსის წევრი - ფოტოგრაფი და რეჟისორი, რომლის ფილმშიც “მუსიკის გაქრობა სახისათვის” გამოყენებული იყო დიდი სიჩქარე, შენელებული კამერა, რომ დაეხასიათებინა მიეკო შიომის კომპოზიციური წარმოდგენა. მური წერს თავისი ფილმის შესახებ: “ნამუშევრის დასაწყისში პერფორმერები იღიმებიან და ნამუშევრის განმავლობაში ნელ-ნელა ცვლიან გამომეტყველებას.” ამ ფილმში გამოყენებული იყო ფლაქსუსის წევრის, იოკო ონოს სახის - პირის, ყბის და ლოყების ახლო კადრები. 11 წუთიანი ფილმი შენელებულად იყო გადაღებული.

ფლაქსუსის ვიდეო ინსტალაციის არტისტი იყენებდა იმას, რასაც მოგვიანებით ხელოვნებათმცოდნე ლუსი ლიპარდმა დაარქვა “ხელოვნების საგნის დემატერიალიზაცია”. ეს ტერმინი ეხება ხელოვნების კეთების პროცესს, რომელშიც პირველადი მნიშვნელობის არის კონცეფცია ან იდეა, ხოლო მატერიალური ფორმა მეორადის. 1963 წლის ვუპერტალის გამოფენაზე, რომელსაც პარნასის გალერეაში ჰქონდა ადგილი, პაიკმა გალერეის იატაკში ჩამონტაჟა ტელევიზორის მონიტორები, რომლებშიც აისახებოდა დამახინჯებული გამოსახულებები, იმისათვის რომ შეეშალა ხელი ტელეეკრანის წინ მყოფ მაყურებელთა სიამოვნებისათვის. პაიკი ამბობდა: “ტელევიზია იერიშს ახორციელებს ჩვენზე მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში, დადგა დრო, რომ ჩვენც ვუპასუხოთ ბრძოლით.”

გახსნილი ხელოვნება: კატეგორიებისა და კონტექსტების შეცვლა

ეს ნამუშევარი კიდევ ერთი მცდელობა იყო იმისა, რომ არაჩვეულებრივ კონტექსტში წარმოჩენილიყო პერფორმანსი და ენა, და რომ ადამიანთა ყოველდღიურისა თუ ბანალურის განცდა დარღვეულიყო. 24 საათის განმავლობაში მე ვიჯექი უნიტაზზე და ვკითხულობდი ეპიკური ჟანრის პოემას ჩემი მოგზაურობის შესახებ ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუ ვინმე რაიმე მიზეზით შემოდოდა აბაზანაში, განიცდიდა ამ ნამუშევარს. ამ და სხვა ექსპერიმენტების მეშვეობით მე დავინტერესდი “უნებლიე აუდიტორიის” წინაშე წარმოდგენის გამართვის ცნებით.

გუილერმო გომეს-პენია

